# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

შაბათი 14 დეკემბერი 1991

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გაზეთი

№ 135-136-137 (11768-69-70)


ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიხაროდენ!

ხუთშაბათს, 12 დეკემბერს მთელი ქართველი ხალხისათვის მეტად სასიხარულო ცნობა მოვიდა უკრაინიდან. უკრაინის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება აღიაროს საქართველოს

## გიხაროდენ!

რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. თავის მხრივ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ცნო უკრაინის სახელმწიფო დამოუკიდებლობა და გამოხატა საელჩოების დონეზე ორმხრივი

## გიხაროდენ!

დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების სურვილი. ვულოცავთ სრულიად საქართველოს ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას. იმედია, უკრაინას სხვებიც მიბაძავენ. მართლაც, ვინ იქნება შემდეგი?..

# ანდრია პირველწოდებულის კვალდაკვალ

საქართველოს ოდითგანვე ღვთის ძალა, მადლი და ლოცვა-კურთხევა იფარავდა და იფარავს...

საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა...

საქართველოში, მცხეთაშია დაფლული კვართი უფლისა და წმიდა ტაძარი სვეტიცხოველი მასზეა აგებული...

საქართველოში ქრისტიანობა ჯერ კიდევ I საუკუნეში ღვთისმშობლის მიერ მოვლინებულმა ანდრია მოციქულმა იქადაგა...

ხოლო IV საუკუნეში ვაზის ჯვრით შემოვიდა ნინო კაპადოკიელი და ქრისტეს მოწაფის მიერ დაწყებული საქმე დააგვირგვინა — მისი მადლით მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

წმიდა ნინოს ქადაგებასთან ერთად საქართველოში დამკვიდრდა წმიდა გიორგის — მოციქულთა სწორი ნინოს ძლევამოსილი ნათესავის სახელი....

მარიამ ღვთისმშობელი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ანდრია პირველწოდებული, წმიდა ნინო, წმიდა გიორგი....

ბიბლიურმა ისტორიამ ასე გაამდიდრა ქართლის ცხოვრება და ამიტომ ჩვენი ეკლესია მართლმადიდებლურ სამოციქულო ეკლესიად იწოდება. თვითონ სიტყვა „მართლმადიდებლობა", ანუ მართლად, სწორად დიდება ღვთისა, ქართული ეკლესიის ჭეშმარიტების დასტურია.

თვით ქართველი ერი ქრისტიანობამ ჩამოაყალიბა, ხოლო საქართველო, როგორც თვითმყოფადი კულტურის ქვეყანა, დამოუკიდებელმა ავტოკეფალურმა ეროვნულმა ეკლესიამ გამოკვეთა...

ცნობილია, უფლის ამაღლების შემდეგ დედა ღვთისმშობელს და მოციქულებს წილად ხვდათ სხვადასხვა ქვეყანაში ქრისტიანობის ქადაგება.

ხოლო ამ მოციქულების სახელებია: პირველად სიმონი, პეტრედ წოდებული და მისი ძმა ანდრია, იაკობი ზებედესი და მისი ძმა იოანე;

ფილიპე და ბართლომე; თომა და მათე მებაჟე; იაკობი ალფესისა და ლებეოსი, თადეოსად სახელდებული;

სვიმონ კანანელი და მატათა, რომელიც შეირაცხა თერთმეტ მოციქულთა შორის იუდა ისკარიოტელისაგან უფლის გაცემის შემდეგ (მათე, 10-2, 3, 4; მოციქულთა საქმე 1, 26;).

აი, გადმოცემით ამ თორმეტ მოციქულთაგან ორი: ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი, ხოლო ზოგი ავტორის მტკიცებით ოთხნი: ანდრია მოციქული, სვიმონ კანანელი, ბართლომე და მატათა არიან ქრისტიანობის პირველქადაგებლები საქართველოში.

სვიმონ კანანელი საქართველოში ეწამა და ახალ ათონის მთაზეა დაკრძალული, ხოლო მოციქული მატათა გონიოში (ძველ აფსარში) განისვენებს....

მაგრამ, როგორც იტყვიან, ისევ პირველ სიტყვას მივიდეთ, ვინაიდან 13 დეკემბერი წმიდა და ყოვლადქებული მოციქულის ანდრია პირველწოდებულის — საქართველოში ქრისტეს პირველი მქადაგებლის ხსენების დღეა...

●

გიორგი მთაწმინდელი ანდრია მოციქულს საქართველოს ეკლესიის დამფუძნებლად თვლიდა და



ანტიოქიის პატრიარქთან პაექრობის დროს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის უფლებას ამ ცნობაზე დამყარებით ამტკიცებდა.

შემდეგში ეფრემ მცირემ ეს ცნობა წმიდა ნინოს მქადაგებლობით მოღვაწეობის ფაქტს შეუთანხმა.... (ქართული ენციკლოპედია, ტ. 1. გ. 448, ივანე ჯავახიშვილი, თხზ. ტ. I).

ანდრია მოციქულის და წმიდა ნინოს მოღვაწეობის შესახებ განახლებულ საქართველოში ბევრი ითქვა და დაიწერა. განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს საპატრიარქოს ჟურნალის „ჯვარი ვაზისა" და გაზეთ „მადლი"-ს პუბლიკაციები. და, რა თქმა უნდა, ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის ნაშრომი და რუკა.

ანდრია მოციქულის გზა ქრისტეს ქვეყანაში იწყება და შავი ზღვის სამხრეთი ნაპირების გავლით ჩრდილოეთისაკენ მიემართება. ძველ ცნობებზე დაყრდნობით შედგენილ რუკაზე აღნიშნულია ტრაპიზონი, აფსარი (გონიო), დიდაჭარა, ოძრხე, აწყური, ქუთაისი, ეგრისი, სვანეთი, ოსეთი, ცხუმი, ბიჭვინტა, აფხაზეთი, ჯიქეთი, ნიკოფსია.... აგრეთვე არაქსი, დვინი, ანისი, ფარავანი, წუნდა, აწყური, ურბნისი, მცხეთა და ა. შ.

ანდრია მოციქულს საქართველოში მრავალგზის უმოგზაურია. პირველად, როგორც ჩანს, მარტო ჩამოსულა, ხოლო შემდეგ სხვა მოციქულებთან ერთად ყოფილა. მაგალითად, მარტვილის საკათედრო ტაძარი და მისი მრევლი ამაყობს იმით, რომ აქ ანდრია მოციქული და სვიმონ კანანელი — ქრისტეს ორი მოწაფეთაგანი ერთხანს ერთად ილვწოდა....

საგულისხმოა, აგრეთვე რომ აწინდელ სამცხეში — ანდრიაწმინდასა და აწყურში ერთმანეთს ხვდება ანდრია მოციქულისა და წმიდა ნინოს გზები. სოფელ ანდრიაწმინდის ძველთაძველი ეკლესია ანდრია მოციქულის სახელობისაა. ხოლო აწყურში ანდრია პირველწოდებულმა ჩამოაბრძანა ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი და დააფუძნა ცნობილი საეპისკოპოსო კათედრა...

მტკვრისპირას აზიდული აწყურის ციხე-სიმაგრე ყოველი მხრიდან იკითხება. გრანდიოზული ტაძრისაგან კი დღეს, როგორც აქ წარმოდგენილი სურათიდან ჩანს, მხოლოდ ნაშთია შემორჩენილი, მაგრამ ამ წმიდა კედლებს ახსოვთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორწმუნე სტუდენტთა გულისხმიერება და წმიდა ნინოს კვალდაკვალ ფეხით მოგზაურთა წირვა-ლოცვა...

ეს მოგზაურობა უკვე მესამედ განხორციელდა. 1 ივნისს, მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დღეს, თავფარავნის ტბისპირიდან გადმოსულ წმიდა ნინოს მსახურებს 13 ივნისს — ათორმეტთა მოციქულთა მოხსენიების დღეს ეგებება სვეტიცხოველი.

მომავალ წელს, როგორც თორმეტი მოციქულის დღესასწაულზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II ბრძანა, ასევე განხორციელდება ქართველ მორწმუნეთა მოგზაურობა ანდრია პირველწოდებულის კვალდაკვალ.

●

გადმოცემით მესხეთიდან ეგრისში გადმოსულ ანდრია მოციქულს ერთ მშვენიერ მთის ძირას აღუმართავს ჯვარი. ამიტომ მდინარე ენგურის და მდინარე მაგანის პირა სოფელს, სადაც ჯვარი ყოფილა აღმართული, სახელად ჯვარი დარქმევია.

შემდეგში, მოციქულთ სწორის წმიდა ნინოს დროს აქ აღუშენებიათ ქვიტკირის ეკლესია წმიდა გიორგის სახელობისა. საერთოდ, ჯვარის თემში სულ შვიდი ეკლესია ყოფილა.

ჩვენი საუკუნის ოციან წლებში ჯვარის ჯგეგეს — წმიდა გიორგის ეკლესია სოფლის ცდომილმა შვილებმა დაანგრიეს.

ღვთის ნებით, ქალაქ ჯვარის მორწმუნეთა ერთმა გუნდმა შარშან, გიორგობის დღეს, შექმნა საქველმოქმედო საზოგადოება და თავის უპირველეს ამოცანად დანგრეული ეკლესიის აღდგენა-აშენება და გიორგობის დღესასწაულის აღორძინება-განახლება გამოაცხადა.

მალე ოთხასზე მეტმა ჯვარელმა მორწმუნემ თავისი ხელმოწერით დაადასტურა, რომ მზად არის გაიღოს საჭირო თანხა და უშუალო მონაწილეობაც მიიღოს ამ საღვთო საქმეში.

და აი, წლეულს, გიორგობის დღეს, 23 ნოემბერს ჯვარის ჯგეგეს-წმიდა გიორგის ნაფუძარმა ყველა ჯვარელი მორწმუნე გააერთიანა.

წმიდა ადგილმა და დღესასწაულმა შეკრიბა არა მხოლოდ ქალაქის მკვიდრი, არამედ სხვა ქალაქში (მხარეში) მცხოვრები ჯვარელი და ჯვარქალაქის სხვა მრავალი გულშემატკივარი.

ქრისტეს მოწაფის — ანდრია მოციქულის მიერ ჯვარის აღმართვიდან 1940 თუ 1950 წლის შემდეგ წმიდა ადგილზე ახალი ჯვარის აღმართვის ჭეშმარიტად ქრისტიანული წესით აღსრულება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით უძღვებოდა ჭყონდიდის ეპარქიის მარტვილის საკათედრო ტაძრისა და ყაზბეგის სიონის ეკლესიის წინამძღვარი არქიმანდრიტი იოაკიმე (ასათიანი).

ეს იყო ამაღლებული, დიდებული, დაუვიწყარი სანახაობა, რამეთუ ჯვარში თავიდან იწყება ეკლესიური ცხოვრება — 70 წელიწადია აქ ჯვრიანი ღვთისმსახური არ გამოჩენილა და წირვა-ლოცვა არ აღსრულებულა...

ცნობილია, ჯვარში ღვთისმსახურებას ოდითგანვე გეთია და ჰანტურია გვარის მოძღვარნი ეწეოდნენ. უფლის ნებით ახალი ჯვარი სწორედ ერთ-ერთი მღვდლის ანტონ ჰანტურიას ნაფუძარზე შეიქმნა.

მღვდლის შვილიშვილმა ბატონმა ანტონ (ბოჩია) ჰანტურიამ, ექიმმა, საპატრიარქოს წარმომადგენელს კოლხურ ოდასახლში მღვდელმსახურ მამა-პაპათა ნათელი სურათები და ჯვარის შემქმნელი სიძე ბატონი, ჯვარის საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ენგურელი და კეთილი მეზობელი ბატონი გურიელ ქანთარია წარუდგინა.

მალე ძველთაძველი ეზო-კარი მორწმუნე ხალხმა დაფარა. ყველას ერთი წადილი ჰქონდა — ანდრია პირველწოდებულის გზა-კვალის ერთი ნაწილის აღდგენის — ჯვარში ჯვარის აღმართვის უშუალო მონაწილე გამხდარიყო.

ასეც მოხდა, ჰანტურიების საცხოვრისიდან ჯგეგეს ეკლესიის ნაფუძრამდე, ორი თუ სამი კილომეტრი, დიდმა თუ მცირემ მოწიწებით ატარა დიდი ჯვარი.

ჯგეგეს ნაფუძართან მორწმუნეთა ლაშქარს ზღვა ხალხი ელოდა. ჯვარის მობრძანებას ყველა დიდი სიხარულით შეეგება. მერმე ნორჩმა ჯვარელებმა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის საგალობელი იმღერეს. ხოლო მორწმუნე ვაჟკაცებმა ჯვარი ნაფუძარზე აღადგინეს — საკურთხევლის აღმოსავლეთ მხარეს მყარად აღმართეს და გაამაგრეს.

ხოლო არქიმანდრიტმა იოაკიმემ მუხლმოდრეკილმა აღავლინა წმიდა ლოცვები და გადაიხადა ღვთისა და ერის სადიდებელი დიდი პარაკლისი.

ამ სტრიქონების ავტორი თუმცა მოვლენის უშუალო მონაწილეა, უჭირს სიტყვით სრულად გამოხატოს ნანახი, განცდილი და მოსმენილი...

მთავარია, რომ ამ დღეს იქ მყოფთა თვალები აღვსილი იყო დიდი სიყვარულით ღვთისადმი, ბევრი მათგანი სიტყვით, სიმღერით, ნახატით, სხვა ნაშრომ-ნაღვაწით თუ გეგმა-პროგრამით წარუდგა საზოგადოებას და საღვთო თუ საერო საქმის განხორციელებისათვის თავისი მზადყოფნა გამოხატა.



ჯვარში ჯვარის აღმართვისთანავე ქრისტეს მოწაფეთა სადიდებლად მამა იოაკიმემ თორმეტი წმინდა სანთელი აანთო. ხოლო 13 დეკემბერი, ანდრია პირველწოდებულის მოხსენიების დღე, როგორც გაზეთ „ჯვარის მოამბის" რედაქტორმა ბატონმა მურად ჰანტურიამ გვაცნობა, ასევე წმინდა სანთლებით და ლოცვით აღინიშნა.

**ბვანჯი მანია**

**ავტორის და თამაზ ყურუას ფოტოები.**

# ბედნიერი ერი

„ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!"... მიუხედავად ჩვენი წმინდანის ილია მართლის ამ მწარე გულისტკივილით ნათქვამი სიტყვებისა, ჩვენ — ქართველები, ნამდვილად ბედნიერი ერი ვართ, და უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ჭეშმარიტ სარწმუნოებას — მართლმადიდებელ ქრისტიანობას ვაღიარებთ. ჩვენს რჩეულ წინაპრებს ათასი განსაცდელი გამოუვლიათ, ბევრჯერ უნახავთ მტრისგან იავარქმნილი ქვეყანა, უმძიმესი ჭირ-ვარამი დაუთმენიათ, და მაინც შესძლებიათ შეურყვნელად გადმოეცათ ჩვენთვის ჭეშმარიტი სარწმუნოება და თვით უფლის მოციქულთა მიერ დაფუძნებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის წევრნიც ვართ ყველანი — ის შესვენებული ქართველნიცა და ჩვენც, ჯერაც ამქვეყნად მავალნი. ჩვენ ბედნიერი ერი ვართ იმიტომ, რომ ამ ჩვენს ეკლესიას ჩვენსავე მიწა-წყალზეც და მისგან შორსაც მრავლად — ათობით, ათასობით უშვია წმიდა მამანი და დედანი, ახლა რომ ჩვენს სულთა ხსნისათვის ლოცულობენ. ჩვენ ბედნიერი ერი ვართ იმიტომ, რომ მიუხედავად სახელმწიფოებრივი დაკნინებისა და ამჟამინდელი მძიმე სულიერი მდგომარეობისა, ქრისტეს ეკლესია მაინც არსებობს და მოქმედებს, საქართველო კი, ფაქტობრივად, ჯერაც ტყვეობაში მყოფი, იმედით გაჰყურებს მომავალს. ძველი აღთქმის ისრაელი ერიც ხომ მთელი თავისი არსებობის მანძილზე, უმეტესწილად, ტყვეობაში ცხოვრობდა, მაგრამ მაინც ღირსეულად შეძლო ღმერთის რჩეული ერის მისიის ტარება — დაიცვა ჭეშმარიტი რწმენა, საღმრთო სჯული, შვა ერის რჩეულნი შვილნი — წმიდა მამამთავრები, წინასწარმეტყველები, მღვდლები, მართალი მორწმუნენი, სასოებით მოელოდა ცხებულ მესიას, იესუ ქრისტეს და თავისი წიაღიდან, ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამისაგან დაჰბადა კიდეც ხორციელ-ქმნილი სიტყვა ღმრთისა და ღმერთი, კაცთა მოდგმის მხსნელი ღვთაებრივი ყრმა... ჩვენ ბედნიერი ერი ვართ, რადგან ვაღიარებთ მას — იესუ ქრისტეს — ჭეშმარიტ ღმერთად, ჩვენს ერთადერთ მხსნელად და ერთადერთ ჭეშმარიტებად. და ვაი, რომ ამქვეყნად მრავალნი, არათუ ცალკეული ადამიანები, არამედ მთელი ერნიც კი არ აღიარებენ ქრისტეს ღმერთად (ზოგიერთ სახელმწიფოში ქრისტიანობა აკრძალულიცაა).

კვალად, ჩვენი ბედნიერებისავე ნათელსაყოფად, გავიხსენოთ სახარებისეული ქანაანელი დედაკაცი, რწმენით აღვსილი რომ მიეახლა უფალს და თავისი ბოროტად ეშმაკეული ასულის განკურნვას შეევედრა; დასასრულ უფალმა, რა თქმა უნდა, აღუსრულა თხოვნა, მაგრამ მანამდე ასე მიმართა თავის მოწაფეებს: „არა კეთილ არს მოღებად პური შვილთაგან და დაგებად ძაღლთა" (მათეს სახარება, თავი 15, მუხლი 26). მაშასადამე, ღმერთის „შვილნი" მაშინ იუდეველნი იყვნენ, სხვა დანარჩენნი კი, მათ შორის ქანაანელნიც — „ძაღლნი". მაგრამ შემდგომში ყველა, ვინც კი ქრისტე მიიღო, ღმერთის „შვილად" შეიქნა, ყველა ქრისტეს უარმყოფელი კი „ძაღლად" შეიძლება იწოდოს. ჰოდა, მას შემდეგ, რაც ჩვენც, ქართველობამ, ქრისტიანული სარწმუნოება მივიღეთ, ყველა სხვა ქრისტიან ერთან ერთად, ღმერთის შვილებად შევიქენით, ანუ ერად რჩეულად — საღმრთო წერილში მოხსენიებულ ისრაელად... ღმერთის შვილებად, მის რჩეულ ერად ყოფნისათვის ბევრი არ მოგვეთხოვება — უნდა ვიყოთ ნამდვილი მორწმუნენი, ქრისტეს მსოფლიო ეკლესიის წევრები და საღმრთო ერთობას ნაზიარებნი! თორემ ბევრნი იძახიან ქრისტიანენი ვართო, მაგრამ, ვაგლახ, რომ არ არიან (სხვა აღმსარებლობების მატარებლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ)! მსოფლიო ეკლესიის წევრობა, ქრისტიანული ერთობა სულაც არ ნიშნავს ეროვნულის დაკნინებას. პირიქით, როცა ქრისტიანობა შემოვიდა საქართველოში, ეროვნული სული სწორედ მაშინ აღზევდა.

მაშ, თუკი ღმერთის შვილნი ვართ, რჩეული ერი უფლისა; თუკი ჭეშმარიტი ქრისტიანები ვართ და სამართლიანად ვიმსახურებთ საღმრთო წყალობას, უფლის განსაკუთრებულ ყურადღებას, მაშინ რატომ ვართ ეგზომ „დაჩაგრულნი?" რატომ დაგვიკნინდა სახელმწიფოებრიობა? რატომ ჩვენი ქვეყანაც არ არის სხვებსავით მეტად ვრცელი, ხალხმრავალი, მდიდარი და ძლიერი? რატომ ქართულადაც არ ლაპარაკობს ნახევარი მსოფლიო? რატომ ქართულენოვანი სახელმწიფოებიც არ არსებობენ დედამიწის ყოველ კუთხეში? რა, ფერ-ხორცითა ვართ სხვებზე ნაკლებნი, თუ სხვაზე აღმატების მოშურნეობა გვაკლია? ან იქნებ ჩვენი წინაპრები იყვნენ სხვებზე ნაკლები ვაჟკაცები და გამჭრიახები?! — არა, რა თქმა უნდა, არა ამ მიზეზით მოხდა ასე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ რჩეულმა ქართველობამ სულის სიღრმემდე, სისხლხორცეულად გაითავისა საღმრთო წერილის სიტყვები: „სიყვარული სოფლისაი ამის მტერობა არს ღმრთისა" (იაკობ მოციქულის ეპისტოლე თ. 4, მ. 4). მისწრაფება ამქვეყნიური განდიდებისაკენ, სიმდიდრისა და სიამოვნებისაკენ — არ არის საღმრთო მისწრაფება, რადგან ჩვენი ვალია მხოლოდ ღმერთის სასუფეველს ვეძიებდეთ, სხვა ყოველივე კი მოგვეცემა, შეგვეძინება (მათე 6,33). აკი სწორედ ამიტომ ვერ მიიღეს ქრისტე მისმა ჯვარმცმელმა იუდეველებმა, რომ ამქვეყნიური განდიდება შეჰყვარებოდათ და ცათა სასუფეველს კი არ ეძიებდნენ, არამედ — მხოლოდ ამქვეყნიურ მეფობას, შვებასა და სიძლიერეს... მაშასადამე ესეც ჩვენი ბედნიერებისა და რჩეულობის ნიშანია, რომ ამქვეყნად განლაღებულნი არა ვართ, და ვსულდგმულობთ ასე — მოშორებულნი ამაო მედიდურობით აღსავსე ცხოვრებას!..

ბედნიერნი კი ვართ, მაგრამ მრავალი სხვა ერის მსგავსად, მანკიერება არც ჩვენ გვაკლია, სარეველა და ღვარძლი ჩვენშიც ბევრი აღმოცენებულა; ჩვენთანაც მომრავლებულან ამაქვეყნის მსასოებელი და საკუთარი ცოდვებით მოქადული, ამპარტავნებით შეპყრობილი და მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე მზრუნველი მშვინვიერი ადამიანები, რომელთაც არც ღმერთი სწამთ და არც სულის უკვდავება. ასეთ ადამიანებს ადვილად შეუძლიათ მოჰკლან სხვა ადამიანი, ცილი დასწამონ, მოიპარონ, იმრუშონ, იცრუონ და სხვაც ყოველივე ჩაიდინონ იმის საწინააღმდეგოდ, რასაც საღმრთო სჯული დაგვიდებს მცნებად. თუ რატომ არის ასე, — ამაზე ნათელ პასუხს საღმრთო წერილი გვაძლევს, რომელსაც ყველა ჩვენს კითხვაზე მოეძევება პასუხი. კერძოდ, სახარების იგავში, რომლითაც თვით უფალი დამოძღვრავს თავის მოწაფეებს, ნათქვამია, რომ ღმერთმა „კეთილი თესლი" დათესა „აგარაკსა თვისსა", ეშმაკმა კი ფარულად, როცა მსახურებმა დაიძინეს, „ღვარძლი" დათესა, ასე რომ, თავის დროზე იფქლთან — პურთან ერთად სარეველაც ამოვიდა. ამის დანახვაზე მსახურებმა ნებართვა სთხოვეს უფალს, რათა მისულიყვნენ ყანაში და ამოეგლიჯათ სარეველა; უფალმა კი არ დართო ნება, რადგან შეიძლებაო „შეკრებასა ღვარძლისასა აღმოჰფხურათ იფქლიცა" (მათე 13, 29). ამიტომაცო, „აცადეთ იგი თანა-აღორძინებად ურთიერთას ვიდრე ჟამადმდე მკისა", როცა ღვარძლს დავწვავთ, იფქლს კი ჩემს საუნჯეში შევიკრებთო (იქვე 31). როცა მოციქულებმა ამ იგავის განმარტება სთხოვეს, ქრისტემ უთხრა მათ: „აგარაკი იგი — სოფელი არს, ხოლო თესლნი იგი კეთილნი — ესე არიან ძენი სასუფევლისანი, და ღვარძლი იგი — არიან ძენი უკეთურებისანი; ...და მკაჲ იგი — არს აღსასრული ამის სოფლისაჲ, და მომკალნი იგი არიან ანგელოზნი. და ვითარცა — იგი შეკრებიან ღვარძლი და ცეცხლითა დაწვიან, ეგრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისაჲ, რამეთუ მიავლინნეს ძემან კაცისამან ანგელოზნი თვისნი, და შეკრიბნენ სუფევისაგან მისისა ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უსჯულოებისანი, და შესთხინენ იგინი საჴუმილავსა მას ცეცხლისასა" (მათე 13, 38-42). აი, გასაღები ჟაცობრიობის ისტორიის შესაცნობად! აი, რატომ არსებობს ამქვეყნად ერთმანეთის გვერდით და ერთმანეთის შერევნით ღმერთის ქალაქი და ეშმაკის ქალაქი (როგორც ნეტარი ავგუსტინე ამბობდა), ღვთის შვილთა ერთობა და ეშმაკის შვილთა — წარსაწყმედელის ძეთა ამხანაგობა...

როგორც ეკლესიის მამები გვასწავლიან, ბოროტება იმდენად არსებობს ამქვეყნად, რამდენადაც ეს ქვეყანა სიკეთესაა მოკლებული, რამეთუ სიკეთე აბსოლუტურია, არსისმიერია, ანუ ღმერთის მიერია, ბოროტება კი არ არის აბსოლუტური არსისა, ის მხოლოდ არქონაა სიკეთისა, ღვთაებრივისა. ჩვენი არასრულყოფილი ამქვეყნიური ცხოვრებაც თვით ჩვენი პიროვნული არასრულყოფილებიდან იღებს სათავეს, რომ ჩვენ მოშორებულნი ვართ შემოქმედ ღმერთს და დაგვიწყებია ჩვენი დანიშნულება ამ წუთისოფელში: დასჯილებმა ღმერთის მცნებას გარდახდომისათვის უნდა შევიგნოთ ჩვენი დანაშაული, შევინანოთ და ამ გზით დავუბრუნდეთ ღმერთს. ამიტომაც ჩვენი გარეგანი ცხოვრების სრულყოფა საკუთარი თავის სრულყოფით უნდა დავიწყოთ, ჯერ თვით უნდა გავხდეთ ღმერთის ერთგულნი და მერე ვიზრუნვიდეთ სხვა ყოველივესათვისაც. დღეს კი, როგორც უწინ, ფარისეველნი და მწიგნობარნი გვიქადაგებენ სრულიად საწინააღმდეგოს, და თვით სხვათაგან საშველი ცოდვილნი სხვათა შველას ლამობენ...

ამიტომ, რაკი ყოველ ადამიანს სურს ბედნიერი იყოს, და ერთიც კი არ არის ისეთი, ვისაც თავისთვის ბოროტი, და მით უფრო სამუდამო დაღუპვა უნდოდეს, ამიტომ მხოლოდ ერთთა უცნობლობით და მეორეთა მცნობელობით უნდა აიხსნას ის, რომ მავანს სიკეთედ თავისთვის — სიმდიდრის მოხვეჭა მიაჩნია, სხვას კი — ქონების დარიგება ღარიბ-ღლახაკთათვის; ერთი დროსტარებას ირჩევს, მეორე კი — მარხვასა და ლოცვას ღმერთის წინაშე; ერთს მხოლოდ ეს ქვეყანა შეჰყვარებია, რადგან ჰგონია შვება-სიამისთვის ვარ გაჩენილიო, სხვამ კი კარგად უწყის, რომ ამქვეყნად მისი ცხოვრება — ღმერთისაგან ადამიანისათვის დაწესებული გამოსაცდელი სასჯელია, დროებითი სამყოფელი, სადაც ოფლითა და შრომით უნდა დაჰყოს და ღმერთის რწმენით სასოებდეს მომავალ მარადიულ ბედნიერ ცხოვრებას. ერთის სიტყვით, როგორც ყველგან, საქართველოშიც ერთმანეთის გვერდით არსებობს იფქლი და ღვარძლი, ღვთის ქალაქი და ეშმაკის ქალაქი, და თქმა იმისა, რომ ერი ორად არის გაყოფილი, ვიღაცის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, თეთრებად და შავებად, — ეს სწორი არ იქნებოდა. იფქლისა და ღვარძლის, ღვთის შვილთა და წარსაწყმედელის ძეთა ერთმანეთისაგან განყოფა-გამორჩევა ხომ მხოლოდ უფლისა და მისი ანგელოზების საქმეა, აღსასრულებელი ამქვეყნიური ცხოვრების დასრულების ჟამს, ქრისტეს მეორედ მოსვლისას მისი ყოველი ძალითა და დიდებით. მანამდე კი ჩვენი ვალია რწმენით აღვივსოთ, ვიყოთ ნამდვილი მართლმადიდებელი ქრისტიანები — საქმით, და არა ოდენ სიტყვით, აღვიჭურვოთ მოთმინებით, ვიყოთ შემწყნარებელნი, დავიცვათ ქრისტეს ეკლესია და, ამგვარად, მღვიძარენი შევეგებოთ ადამიანთათვის საბოლოო ბედნიერების მოსანიჭებლად და საბოლოოვე სასჯელის დასაწესებლად მომავალ უფალს.

როგორც საღმრთო წერილი გვასწავლის, რჩეულნი მცირედნი არიან (მათე 20, 16). ამიტომაც არ უნდა გვიკვირდეს, თუკი ჩვენი თანადროული მსოფლიოს უდიდესი ნაწილი წარსაწყმედელის ფართო, ადვილად სავალ გზას დასდგომია, ქრისტეს გზა კი, როგორც ვიცით, არის ვიწრო და ძნელად სავალი, მაგრამ იგი ცხოვნებად მიგვიყვანს, და ამ გზაზე მავალნი ყოველთვის მცირედნი არიან... ერთი ძალა ბატონობს დღეს მსოფლიოში — ძალა ფულისა, საამქვეყნო მისწრაფებებისა, მამონას ოქროს კერპის ძალა. იგი ბოროტი ძალაა, განსხეულებული სხვადასხვა სახელმწიფოთა ერთობაში; მთელს ქვეყნიერებას რომ თავისი ნებისაებრ და თავისმიერი წესისამებრ წარმართავს, და ამ ძალის მეუფებას შეიძლება ის ბოროტი, კაცობრიობის ისტორიაში არნახული მეუფება ვუწოდოთ, რომელიც საღმრთო წერილის წინასწარმეტყველების თანახმად, ბოლო ჟამს უნდა გამოჩნდეს და უშუალოდ წინ უსწრებდეს ქვეყნის დასასრულს, ანუ უფლის მეორედ მოსვლას (იხ. III წიგნი ეზრასი, თავი 12, მუხლი 13).

ამრიგად, ეჭვი არ არის, რომ მიუხედავად ქრისტეს ეკლესიის არსებობისა და მოქმედებისა.—იგი ხომ უძლეველია და „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას" (მათე 16, 18), ამჟამად მთელს ქვეყნიერებაზე ბოროტი სულია გაბატონებული, მთავარი ამის სოფლისა, ჰაერთა მეუფე — ეშმაკი, და ახლა მთელის ძალით მოქმედებს „საიდუმლო უსჯულოებისა", რომლის გამოც წმიდა პავლე მოციქული გვაფრთხილებდა (II თეს. 2, 7).

უსჯულოების ამ საიდუმლოს ანუ ქრისტეს ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას ამქვეყნად ყოველთვის უღმერთო ადამიანების საშუალებით აღასრულებდა ბოროტი სული. ეს სწორედ მათი ნამოქმედარია საშინელი ომები, არსებობის მთელს მანძილზე ჭირსა და ვაებას რომ სწევდნენ კაცობრიობას, და განსაკუთრებით ჩვენს ღვთისმოსავ ქართველ ერს, რომელიც თავისი კეთილმსახურებისათვის, სხვა მართლმადიდებელი ერების მსგავსად, ყოველთვის განსაკუთრებული სამიზნე იყო, და ახლაც არის, კაცთა მოდგმის მტრისათვის. უსჯულოების ამ საიდუმლოს მსახურთა მიერაა განხორციელებული ე. წ. რევოლუციებიც — მონარქიების, ხალხის ამ სჯულიერი და ბუნებრივი დამცველების მომსპობი არეულობანი. ერთი ძალა, ერთი მსახრვალი ხელი წარმართავდა საფრანგეთს 1789 წელს და რუსეთს 1917 წელს (აკი ლოზუნგებიც მსგავსი ჰქონდათ)! უმთავრესი მიზანი კი მათი ერთი იყო — ამქვეყნად უღმერთობის დამკვიდრება და დაუძინებელი ბრძოლა ქრისტეს ეკლესიის წინააღმდეგ, ღმერთის რჩეული ერის — ჭეშმარიტი ისრაელის წინააღმდეგ. უსჯულოების საქმემ ჩვენი ქართველი ერი უდიდეს განსაცდელში ჩააგდო — დააკარგვინა ქრისტეს მოსავი, დავითიანიესიანი (ჩვენი ბედნიერობის კიდევ ერთი დამადასტურებელი!) პატრონი მეფე, და მასთან ერთად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობაც, დაგვამონა ჩვენს ერთმორწმუნე ერს, რომელსაც ასევე განსაკუთრებული გაafთრებით ებრძოდა საუკუნეების მანძილზე და ამ უკანასკნელ საუკუნეში ლამის საბოლოოდ დაიმონა, თავის იარაღად აქცია; უსჯულოებისა ამ საიდუმლო საქმის აღმასრულებელნი ხომ, ბუნებრივია, სწორედ მართლმადიდებელ ქრისტიან ერებში ხედავენ თავიანთ ყველაზე დიდ მტერს და უფრო განძვინებით სწორედ მათ ებრძვიან. ამ ბრძოლამ განსაკუთრებული სიმძაფრე დღეს შეიძინა, როცა მრავალი ათწლეულის მანძილზე პირდაპირი შემოტევით უღმერთობამ ვერაფერი გააწყო მორწმუნე ადამიანის წინააღმდეგ და ახლა სიკეთის სახელით მოდის, დემოკრატიის ნიღბით გვეკეკლუცება, რომ თავის დამღუპველ დინებაში ჩაგვითრიოს! ამიტომ ჩვენ სწორედაც ამ დინების საწინააღმდეგოდ უნდა ვიცუროთ, თუ გვინდა, რომ ჩვენი სულიერი ხომალდი მთელს განდგომილ მსოფლიოსთან ერთად წარსაწყმედელის უფსკრულში არ გადაიჩეხოს!

მაშ, რა არის ჩვენი უმთავრესი მიზანი? — რა თქმა უნდა, ქრისტეს გზით, ვიწრო, ძნელად სავალი, მაგრამ ცხოვნებად მიმყვანებელი გზით სიარული! და ამ გზაზე უფრო მხნედ ვივლით, თუკი მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად წინ წაგვიძღვება მართლმადიდებელი ქრისტეანი, წმიდა დავით წინასწარმეტყველისა და ისრაელის მეფის პირდაპირი შთამომავალი, საქართველოში საუკუნეების მანძილზე სჯულიერ ცხებულ მეფედ კურთხეული და აღიარებული ბაგრატოვანი ხელმწიფე, რომელსაც თავის კუთვნილ ტახტზე დაბრუნება უნდა განუმზადოს ძლიერმა წინამძღოლმა ქვეყნისა, ერისა და ეკლესიის რჩეულმა ღირსეულმა შვილმა! სხვა გზა ჩვენ არა გვაქვს. ყველანი ერთსულოვნად ამ დიად საქმეს უნდა ვემსახუროთ და ყველანი ერთი კაცივით დავემორჩილოთ ეკლესიასა და ამ ძლიერ წინამძღოლს, ერთ ადამიანს, ვისაც ღმერთი დიდი განსაცდელის ჟამს ყოველთვის აკისრებდა ხოლმე ერის ხსნას, თავისი ხალხის მეგზურობას+. და მაშინ, თუკი ერთგული მორწმუნენი ვიქნებით და ერთი მიზანი გვექნება — ღმერთთან ერთობა, ვიძლო ვეღირსოთ კიდეც ივერიის გაბრწყინებას, ჩვენს აღდგომას, რომლისთვისაც მრავალი საუკუნის წინათ წინასწარმეტყველებდა ქართული ენის განმადიდებელი ბერი. ამიტომ ათობით პარტიისა და საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნას კი არ უნდა მიველტვოდეთ მარადიული ქართული „უჩემოდ ვით იმღერეთა"-ს მიზეზით, არამედ ვეცადოთ ერთი დროშის — მართლმადიდებელი ქრისტიანობის საფარველს ქვეშ მოვიყაროთ თავი. როგორც XIX საუკუნეში ქართველობის ფიზიკური გადარჩენის აუცილებლობამ ყველა ღირსეული მამულიშვილი გააერთიანა წმიდა ილია მართლის გარშემო.

**ვიქტორ ფხალაძე**

**საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი.**

**მინაწერი:**

ზოგიერთი მოვლენა ამა თუ იმ დროისა და სივრცის მიხედვით ხან ჰოა და ხან არა.

კაუდილიო, ფრანცისკო ფრანკო ესპანეთის გადამრჩენია კომუნისტური რეჟიმისაგან. წარმოიდგინეთ, კომუნისტებს რომ გაემარჯვნათ, რა დღეში იქნებოდა დღეს ესპანეთი. შემდეგ კი მონარქიის აღდგენისათვის პირობები მოამზადა და დასტოვა აყვავებული და ღირსებით სავსე ქვეყანა. თუმცა ეს მან შესძლო სისხლიანი ბრძოლით, მაგრამ არა სამოქალაქო ომით, ერი არასოდეს იყოფა ორად. ნაწილი სამშობლოს მეურვეა, ნაწილი კი სატანის მსახური.

„მეფე გიორგიმ, ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავნი, რომელიც ჩინგიზთ მიუდგნენ, კახეთს ციხეზედ მოაწვივა და ამოსწყვიტა. იმერნი და ამერნი გაიერთა და დაიპყრა ნებისამებრ ყოველივე საქართველო". მიუხედავად „დემოკრატიის" უხეში დარღვევისა, შთამომავლობამ მირონცხებულს ბრწყინვალე უწოდა.

ჩვენი ქვეყნის წინამძღოლი ცდილობს დიდი სჯულის კანონით განაგოს ქვეყანა, ყველაზე ძლიერი იარაღებით: ეშმაკს დამორჩილებულთა თუ შეპყრობილთა მხილებითა და შემწყნარებლობით, რაც იდეალია მართლმადიდებელი ერისათვის. დღევანდელი ისტორიული პროცესების სიმძიმე ითხოვს სახარებიდან ერთი ადგილის გახსენებას „ყოველმან ხემან, რომელმან არა ყოს ნაყოფი კეთილი, მოეკვეთოს და ცეცხლსა დაედვას" (მათ. 7, 19).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი სატყუარა?

## იმპერიის საბოლოო კრახი თუ მოდერნიზაციის მორიგი გეგმა?

ალბათ, ასეთი კითხვა დაებადა ყველა საღად მოაზროვნე პოლიტიკოსს, რადგანაც მსოფლიოს ძირითადად რუსეთის იმპერიის მოდერნიზაციის წარმატებული ცდები ახსოვს. საქართველოს ისტორიისთვის ბრესტი მართლაც საკრალურ მნიშვნელობას იძენს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბრესტის მახლობლად დადებულ ხელშეკრულებას არ ექნება ისეთივე სავალალო შედეგები ჩვენთვის, როგორიც 1918 წლის რუსეთ-გერმანიის საზავო ხელშეკრულებამ მოგვიტანა.

უკრაინაში დამოუკიდებლობის რეფერენდუმის წარმატებით ჩატარების შედეგად რუსეთი დადგა ურთულესი ალტერნატივის წინაშე — ან საბჭოთა იმპერიის საბოლოო დემონტაჟი, ანდა მოვლენების განვითარების იუგოსლავიური ვარიანტი. ჩვენი აზრით, ზუსტად აქ გამოჩნდა რუსეთის ლიდერის ბორის ელცინის და მისი გუნდის პოლიტიკური სიფხიზლე და მოვლენების რეალურად შეფასების უნარი. მათ აირჩიეს ერთადერთი სწორი გზა — უკრაინასთან მოსალოდნელ კონფრონტაციას თანამეგობრობის შექმნის იდეა დაუპირისპირეს. შეიძლება, თამამად ითქვას, მათ მიაღწიეს მაქსიმუმს ლეონიდ კრავჩუკისაგან (რასაკვირველია, ვიაჩესლავ ჩერნოვილის




არჩევის შემთხვევაში თანამეგობრობის შექმნაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნებოდა). ცნობილია, რომ დამოუკიდებელ ქვეყანათა თანამეგობრობის კარი ღიაა როგორც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვისაც. „ღია კარში" შესვლის სურვილი პირველად სომხეთმა განაცხადა, რაც მსოფლიო საინფორმაციო საშუალებებმა სამთა კავშირისათვის მოულოდნელ, მაგრამ სასიამოვნო სიურპრიზად აღიქვა. რაც შეეხება ჩვენს მეორე მეზობელს — აზერბაიჯანს, ისლამურ კონფერენციაში მიღების შემდეგ, მისი პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე საგრძნობლად განმტკიცდა, რაც საშუალებას აძლევს ყარაბახის ურთულესი პრობლემის მიუხედავად თანამეგობრობაში შესვლასთან დაკავშირებით ზომიერი და დროში გაწელილი გადაწყვეტილებები მიიღოს. აზერბაიჯანის პოზიცია დამოკიდებული იქნება აშხაბადში გამართული შეხვედრის შედეგებზეც. როგორც ცნობილია, აშხაბადში იკრიბებიან შუა აზიის რესპუბლიკების და ყაზახეთის მეთაურები. რამდენიმე ირიბი ნიშანი უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ: ჩვენ შეიძლება მოწმენი გავხდეთ მუსულმანური თანამეგობრობის კავშირის ჩამოყალიბებისა, რაც უთუოდ საბჭოთა კავშირის როგორც სახელმწიფოს, საერთაშორისო სამართლის სუბიექტის საბოლოო კრახი იქნება. რაც არ უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს, საბჭოთა იმპერიის დასასრული მოსკოვში ან მინსკში კი არ ფორმდება, არამედ მუსულმანური რესპუბლიკებიდან ყველაზე პატარა ქვეყანაში.

ალბათ, ყველაზე საშიშ ძალად შეიძლება მოგვევლინოს მიხეილ გორბაჩოვი. უფრო სწორედ კი, არარსებული ქვეყნის საგარეო ურთიერთობათა კვლავმოვლენილი მინისტრი ედუარდ შევარდნაძე. ეს ორი პოლიტიკური მოღვაწე რეალურად დადგა დიდი პოლიტიკის გემიდან გადაგდების საფრთხის წინაშე. სწორედ გადაგდების და არა გადაყენების, რადგან მათი დახმარება დასავლეთს აღარ დასჭირდება უკანასკნელი იმპერიის დაშლაში. ეს ორი ადამიანი, რომელიც ბოლო დროს განსაზღვრავდა საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებს, და ამით გარკვეული გავლენა ჰქონდა მსოფლიო ასპარეზზე, დღეს არა მხოლოდ პოლიტიკურ გვამებად შეიძლება იქცნენ, არამედ ემიგრანტებად „საკუთარ" ქვეყანაში. ასე რომ, სრულებით არაა შემთხვევითი, რომ მათ უკანასკნელ საჯარო გამოსვლებში, აშკარად გამოჩნდა იმპერიის ეპოქისადმი ნოსტალგია, ლაპარაკი ათასწლოვანი ბრძოლით შეკოწიწებულ სახელმწიფოზე, სამოცდაათწლიან თანაცხოვრებაზე, ხალხთა არჩევანზე, რომელიც ე. წ. „რეფერენდუმით" გამოიხატა. ეს ყველაფერი ძლიერ სერიოზული ნიშნებია იმისა, რომ ეს ორი დიდი „დემოკრატი" და „ჰუმანისტი" საბოლოოდ ჩამოიხსნის ნიღაბს და ეცდება სამხედრო ძალით (და ეს ძალა კი სიამოვნებით დაუჭერს მხარს; ყოველ შემთხვევაში მისი უმაღლესი ეშელონი) დაიბრუნოს თავისი ძალაუფლება. იმპერიულ მარაზმში ჩავარდნილები, ალბათ, იმას ვერ ხედავენ, რომ ასეთი გზით მოპოვებული გამარჯვება (პიროსის გამარჯვება) ეფემერული იქნება და მხოლოდ საბოლოოდ დაანახებს მსოფლიოს, [illegible] ჰქონდათ მათ [illegible] მომდინარე [illegible] ჩვენი, ყველა თავისუფ[illegible] მოყვა[illegible] ხალხის განთავ[illegible]ფლების საქმე.

[illegible] ხოზბაიძე

12.XII.1991 წ.

# ქრონიკა, ინფორმაცია

### შინ

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით ყვარლის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან კანთავისუფლდა **ლევან იაშვილი.** ყვარლის რაიონის პრეფექტად დაინიშნა **მიხეილ მანჟულაშვილი.**

* * *

სრულიად საქართველოს ინტელიგენციის დარბაზმა მიმართვა გაუგზავნა სსრ კავშირის, რსფსრ-სა და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, „რეიტერის", „ასოშიეიტედ პრესის", „ფრანს პრესის" სააგენტოებს, მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებს. მიმართვა დაწერილია სამაჩაბლოში სისხლიანი მოვლენების შეწყვეტისა და მშვიდობის დამყარების მიზნით, რაც შეუძლებელია ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქიდან სსრკ არმიის ნაწილებისა და შინაგანი ჯარების გაყვანის გარეშე. ინტელიგენციის დარბაზი მართავს ადრესატებისაგან ითხოვს მხარდაჭერასა და თანადგომას მშვიდობის დამყარების საქმეში.

* * *

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი აკაკი ასათიანი ქობულეთის სამკურნალო-სარეაბილიტაციო სანატორიუმ „საქართველოში" აგრძელებს მკურნალობას. ექიმების აზრით, მკურნალობის კურსს დაახლოებით სამ კვირას გასტანს.

* * *

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტს ჯემალ ბერიკაშვილს მიაჩნია, რომ რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა ფულის ნიშნების დეფიციტის მხრივ მძიმეა, მაგრამ არა უსაშველო. მისი თქმით, უკვე შემოტანილია გარკვეული პარტია ფულის ნიშნებისა. დამატებითი ფულის შემოსატანად პერმში გაგზავნილია ახალი ბრიგადა. ვიცე-პრეზიდენტმა გაზეთ „ქომაგის" კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა, რომ საახალწლოდ ხელფასისა და პენსიების სახით დავალიანება არ იქნება.

* * *

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება საქართველოს ტერიტორიიდან სასურსათო და არასასურსათო საქონლის არაორგანიზებული გატანის შეზღუდვის დროებითი ღონისძიებათა შესახებ.

* * *

საქართველოში სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით მომარაგებაში შექმნილი მძიმე სიტუაციის შესამსუბუქებლად მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით მიმდინარე წლის ბოლომდე და მომავალი წლის პირველ კვარტალში შემოღებულ იქნა მუშაობის სპეციალური რეჟიმი.

### გარეთ

სსრ კავშირის ყოფილი სამი მოკავშირე რესპუბლიკის — რსფსრ-ს, უკრაინის და ბელორუსიის მიერ მინსკში დადებულმა ახალმა ხელშეკრულებამ მსოფლიოს პოლიტიკოსებს მორიგი თავსატეხი გაუჩინა. სამთა რესპუბლიკების შეთანხმებას, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი გამოხმაურება მოჰყვა.



ამერიკის თეთრი სახლის პრესმდივანი მერლინ ფიცუოტერი მიესალმა სლავეთის რესპუბლიკათა თანამეგობრობას და განაცხადა, რომ აშშ ითანამშრომლებს ყოფილ სსრკ-ს ტერიტორიაზე აღმოცენებულ ყველა ახალ სახელმწიფოსთან. ამერიკის მხრიდან ამ ინტერესის დასტურია შტატების სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის 6-დღიანი ვიზიტი უკრაინის, ბელორუსიისა და რსფსრ-ის რესპუბლიკებში. ბეიკერს გამგზავრებამდე შეხვდა და ესაუბრა პრეზიდენტი ჯორჯ ბუში.

---

სლავეთის რესპუბლიკების თანამეგობრობასთან ურთიერთობის სურვილი გამოთქვა სომხეთის რესპუბლიკამ.

---

მინსკის შეთანხმების შესახებ ინდოეთში ვიზიტით ყოფნისას მძაფრი კრიტიკით გამოვიდა ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ლი პენი, მისი აზრით, ეს გააძლიერებს საერთო კრიზისს და ქაოსს ყოფილ სსრკ-ში.



---

რუსეთის (ე. წ.) დემოკრატიული პარტიის ინიციატივით, მოსკოვში, მანეჟის მოედანზე გაიმართა დიდი მიტინგი. ტრავკინელები, ასე ეძახიან რდპ-ს ლიდერის წევრებს და მის მომხრეებს, მისტირიან „ძლიერ ცენტრს" და წინააღმდეგნი არიან სსრკ-ს დაშლისა.

---

სსრკ ჯარების ინფორმაციის სამსახურმა განაცხადა, რომ არმიის საკუთრების გაყოფაზე დღეისათვის საუბარიც კი არ იქნება.

---

გუშინწინ აშხაბადში გაიმართა შუა აზიის რესპუბლიკების ხელმძღვანელთა შეკრება. მოსალოდნელია, რომ შეიქმნება ახალი — მუსულმანური ქვეყნების კავშირი.

---

მოლდავეთის ახლადარჩეული პრეზიდენტი მირჩა სნეგური ჯერ მოსკოვს ეწვევა, შემდეგ კი მოსალაპარაკებლად მინსკსა და კიევში ჩაფრინდება.

---

6,5 წლის პატიმრობის შემდეგ ავლანელებმა გაანთავისუფლეს ამერიკელი ჟურნალისტი ტერი ანდერსენი.

---

ყოფილი გდრ-ს პარტიულ ლიდერს ერიხ ჰონეკერს რსფსრ-ს ხელისუფლებამ 13 დეკემბრამდე მისცა რესპუბლიკის დატოვების ვადა. ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ჰონეკერმა პროტესტი გამოთქვა. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, ისარგებლებს თუ არა იგი ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის მიერ ჩეჩნეთში პოლიტიკური თავშესაფრის მიცემით.




### სხვადასხვა ამბავი

„ინტერფაქსის" ცნობით ოდესაში შეიქმნა „იატაკქვეშეთში მომუშავე რიგით კომუნისტთა კომიტეტი", რომელმაც უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი შეაფასა, როგორც მემარჯვენეთა გადატრიალება.

● სააგენტო „რია" იუწყება, რომ ანატოლი სობჩაკის თქმით, გეკაჩეპისტებს განზრახული ჰქონდათ ბორის ელცინის დაპატიმრება ან ფიზიკური მოსპობა. სობჩაკს თურმე ამის დამადასტურებელი უტყუარი დოკუმენტებიც ჰქონია.

● ლატვიაში გამოცხადდა, რომ მალე პატიმრობიდან გაათავისუფლებენ ყოფილი მოკავშირე „მოძმე" რესპუბლიკების მოქალაქეებს. ლატვიელ სამართალდამცველთა ამ ჰუმანურ აქციას უკვე გამოეხმაურნენ ესტონეთისა და ლიტვის რესპუბლიკებში. აქაურმა პატიმრებმაც არაორაზროვნად მოითხოვეს განთავისუფლება, იუწყება გაზეთი „ინფორმ-კურანტი".

● რადიო „სვობოდამ" გადასცა ინფორმაცია, რომელიც კარგა ხანია აინტერესებთ არტემ ტარასოვის გაუჩინარების მიზეზის არმცოდნეთ. საქმე ის არის, რომ ტარასოვმა თვითონ გამოგზავნა მოსკოვში კასეტა. თურმე საბჭოთა მილიონერი წავიდა საზღვარგარეთ და საცხოვრებლად დროებით პარიზი ირჩია. აქ იგი რამდენიმე ფირმას ეხმარება. რაც შეეხება მის კონტაქტს „ისტოკთან", ტარასოვმა ყველანაირი ურთიერთობა გაწყვიტა მასთან და მთელი თავისი კაპიტალი დააბანდა დასავლეთში. თავისი ადგილსამყოფელი ტარასომა არ გაამხილა, ეტყობა საბჭოეთში დაგროვებული მწარე გამოცდილების გამო.

● „მეგაპოლის-ექსპრესი" იტყობინება, რომ ულიანოვსკელმა ვეტერანებმა მოითხოვეს ლენინის მავზოლეუმის გადატანა და პროლეტარიატის დიდი ბელადის გადასვენება ულიანოვსკში. ამასთან, მათ მიაჩნიათ, რომ ულიანოვსკს, თუკი ეს მოხდება, უნდა ეწოდოს ქალაქი [illegible]ლენინგრადი. მათი აზრით, ეს გამართლებული იქნება, რადგან ნევისპირა ქალაქმა უკვე კარგა ხანია შეიცვალა სახელი.

● ჩელიაბინსკელმა ქურდბაცაცებმა მეტად ორიგინალური ხერხი მოიგონეს. დათქმულ სიგნალზე ბაზარში საგანგებოდ შეგზავნილი ჯგუფი იწყებს სროლას და აყალმაყალს. როცა დამფრთხალი მოვაჭრენი თავზარდაცემულნი აქეთ-იქით გაიფანტებიან, „მოლაშქრეები" იწყებენ ნადავლის — დახლებზე გამოფენილი სანოვაგის დატაცებას. ჩელიაბინსკელი სამართალდამცველები თვლიან, რომ ამას 20–25 კაცისაგან დაკომპლექტებული ჯგუფი აკეთებს, — იუწყება გაზეთი „მეგაპოლის-ექსპრესი".

● აზერბაიჯანის პრესაში გაჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ მთიანი ყარაბახის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ესაჭიროებოდათ მასწავლებლები... გაძლიერებული დაწყებითი სამხედრო სწავლებისათვის.

● „ნედელიამ" საინტერესო ცნობა გამოაქვეყნა 47-ე ნომერში. ქალაქ ვლადიმირის ცენტრში, მრავალსართულიანი სახლის ერთ-ერთმა ბინადარმა მეექვსე სართულზე კომუნალურ ბინაში მოაწყო პატარა... საღორე. ბინის პატრონი იმედიანად უყურებს მომავალ ზამთარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი საჭირისუფლო

**განახლებულ საქართველოში განახლებულ რუბრიკას ცხადია მეტი მოეთხოვება, ამიტომ ჩვენი სურვილია სოფლად თუ ქალაქად ჟურნალისტების და სხვა სპეციალისტების მიერ მოძიებული უტყუარი ინფორმაციის საფუძველზე შევქმნათ სოფლისა თუ ქალაქის მრავალფეროვანი ცხოვრების რეალური სურათი და, რაც მთავარია, ვაჩვენოთ მისი განვითარების გზები და საშუალებანი...**

**მაშ ასე, ჩვენი ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი ბატონი ბიძინა თავაძე და კიბერნეტიკის ინსტიტუტის ჯგუფის ხელმძღვანელი ბატონი ოთარ ლომთაძე, ახლახან სოფელ სამთავისს ეწვია...**

# სამთავისი



საოცარია ქართული სოფლების სახელწოდებანი, ისეთი სახელები შეურქმევიათ ჩვენს წინაპრებს თავიანთი საცხოვრებისათვის, რომ ყველა მათგანში რაღაც მაგიური აზრია ჩადებული; რაღაც სიხარულს, რაღაც ტკივილს, რაღაც ჯერ კიდევ გამოუცნობ საიდუმლოებას ინახავენ ისინი.

ასეთია „სამთავისიც“.

„შუაგულ ქართლში, შვინდავაკისა და ტირიფონის თვალუწვდენელი ველის შესაყარზე, იქ, სადაც ჟამთა ვითარებით გვერდებდაცხრილული ქალარა სხვილის ციხე მაღალი მთიდან გადმოჰყურებს დაბალ ლეხურის ხეობაში მოფენილ, შრომის ფერხულში ჩაფლულ სოფლებს; იქ, სადაც ცად ამართულია მეთერთმეტე საუკუნის არქიტექტურის მშვენება სამთავისის ტაძარი — პატარა გორებითა და ქედებით შემოფარგლულ ტაფობში მდებარეობს მრავალჭირნახული, წარსულში პატარა, მაგრამ ახლა დიდი და მდიდარი სოფელი სამთავისი“.

ეს ქალბატონ ნინო ხატისკაცის სიტყვებია. სოფელ სამთავისში მეგზურობას თავდაპირველად სწორედ ქალბატონ ხატისკაცის, ქართლის ამ მშვენიერი სოფლის მკვიდრის, ამჟამად დედაქალაქში მცხოვრები მხცოვანი პედაგოგის ნარკვევი — „ჩემი სოფლის ისტორია“ გვიწევდა.

სოფელი სამთავისი, ისევე როგორც მთელი საქართველო გზაგასაყართან დგას. უკან კომუნისტების 70-წლიანი ბატონობით გაპარტახებული ეკონომიკა და დაკარგული რწმენა, წინ ფიქრით დამძიმებული მომავალია.

სამთავისი კასპის რაიონის სოფელია. თბილისიდან სამოციოდე კილომეტრზე, თითქმის ცენტრალური საავტომობილო გზის პირას.

ეკონომიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით მოხერხებული მდებარეობა უკავია სოფელს. ალბათ, ამიტომ ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალს აქ მშვენიერი ტაძარი აუგია და საეპისკოპოსოც დაუარსებია.

მრავალჯერ აუოხრებიათ სამთავისი. მას განუცდია მურვან-ყრუს, ჯალალ-ედინის, თემურლენგისა თუ სხვათა შემოსევები, მაგრამ ისიც მთელი საქართველოს დარად ფენიქსისებრ აღდგებოდა ხოლმე ნანგრევებიდან.

„სოფელს კარგი მიხედვა უნდა; მიხედვა უნდა მის ხალხს, მის გარემოს, მის წყალს, მის ბუნებას, მის ტყესა და მინდორსაც“, ეს სიტყვებიც ქალბატონ ნინო ხატისკაცს ეკუთვნის.

ჭეშმარიტად რომ ასეა. როგორც კი დავივიწყებთ მათ, მაშინვე უამრავი პრობლემები წარმოიქმნება ხოლმე.

სამთავისში ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში 50-მდე კომლი ყოფილა. შემდეგ მთის სოფლებიდან მიგრაციის წყალობით თანდათან გაზრდილა და ახლა აქ 400-მდე კომლი ცხოვრობს. საგამგებლოში სამთავისთან ერთად გაერთიანებულია მოჯამი და თოგოიანთ კარი, სადაც ოსები ცხოვრობენ — ქართველებს თავის დროზე ძმურად მიუღიათ ისინი...

სამთავისში ცხოვრობენ უზნაძეები, მჭედლიძეები, ბერიაშვილები, მცხვეთაძეები, თამაზაშვილები, ფარესაშვილები...

აქ 1924 წელს გიორგი უზნაძისა და ალექსანდრე მცხვეთაძის თაოსნობით ჩამოუყალიბებიათ ცნობილი „სამთავისის კომუნა“, რომელსაც 1931 წლამდე უარსებია. შემდეგ მისი მეთაურებისათვის 10-10 წელი მიუსჯიათ...

დღემდე კომუნის სახსოვრად სოფელში შემორჩენილია ნგრეული ნაშთი — საერთო საცხოვრებლის შენობა. სადაც კომუნის წევრები ცხოვრობდნენ.

შემდეგ სოფელში კოლმეურნეობა შეიქმნა, რომელიც ახლახან დაიშალა. სამთავისის მეურნეობის ძირითადი მიმართულებანია — მემინდვრეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა და მეცხოველეობა.

ერთი შეხედვით, სოფელს სამდურავი არ უნდა ჰქონდეს. თვალს ახარებს შესანიშნავი საცხოვრებელი სახლები, მწვანეში ჩაფლული ეზოები და ბაღ-ბოსტნები, სოფელში არის საშუალო სკოლა, ბიბლიოთეკა, კლუბი, მედპუნქტი, კავშირგაბმულობის განყოფილება, წყალსადენი, აბანო, საპარიკმახერო. საცხოვრებელი სახლიც კი აქვთ ჩამოსული პედაგოგებისათვის. მუშაობს ტელევიზია, თუმცა სანახევროდ, მაგრამ მაინც რადიოფიცირებულია სოფელი.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ თუ ფასადს იქით გადავიხედავთ უამრავ პრობლემას დავინახავთ, რომელთა გადაწყვეტის გარეშე სოფლის მომავალი წარმოუდგენელია.

სოფლის მომავალი კი წარმოუდგენელია ახალგაზრდობის გარეშე. რატომ უნდა გარბოდეს ამ ყოველმხრივ შემკული სოფლიდან ახალგაზრდები?

სოფელი სამთავისი მდინარე ლეხურას ორივე ნაპირზეა გაშენებული. მისი სავარგულები 800 ჰექტარზე მეტს შეადგენს. მათ შორის სახნავ-სათესი 465, ხეხილის ბაღები 360, აქედან მსხმოიარეა 150, დანარჩენი კი მუშახელის უკმარისობის გამო მოუვლელია...

სოფელში მასპინძლობა-მეგზურობას გვიწევდა ბატონი შოთა უზნაძე — ახალდაარსებული სოფლის სეხნია აგრომრეწვფირმის პირველი თავმჯდომარე.

მეტად საინტერესო ბიოგრაფია აქვს ბატონ შოთას. საგულისხმოა, რომ ის ქალბატონ ნინო ხატისკაცის ნამოწაფარი და 1956 წლის 9 მარტის და 1989 წლის 9 აპრილის ამბების აქტიური მონაწილეა. პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსი გახლავთ. მშობლიურ კასპის რაიონში სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის ახალქალაქის მეურნეობის დირექტორად უმუშავია. იგი, როგორც ჰელსინკის კავშირის წევრი წლების განმავლობაში კასპის რაიონის ბიუროკრატიისა და პარტოკრატიის „საყვარელი“ პიროვნება გახლდათ.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ კომუნის დაშლის შემდეგ აქ შეიქმნა კოლმეურნეობა. მოჰყავდათ ხორბალი, სიმინდი, ბოსტნეული და ა. შ. რაც შრომადღეებზე ნაწილდებოდა.

მეურნეობის წარმოების თვალსაზრისით უამრავი შეცდომებია დაშვებული. კოლმეურნეობა 70-იან წლამდე რენტაბელური ყოფილა.

როგორც ბატონი შოთა ბრძანებს, აქ ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინ დაწყებულია განუკითხაობა და არაკომპეტენტურობა, როცა სოფლის მოთხოვნილებისა და ბუნებრივი პირობების გაუთვალისწინებლად შეუმცირებიათ მარცვლეული კულტურების სახნავ-სათესი ფართობი და თვით ურწყავშიც კი ბაღების გაშენებისათვის მიუყვიათ ხელი. ამან გამოიწვია ის, რომ ადრე თუ სოფელი საკუთარი მოსავლის მარცვლეულით იკმაყოფილებდა თავს, ახლა გამომცხვარი პურის საყიდლად ლამის თბილისში დადიან.

მართალია, ხეხილის ბაღები კარგ შემოსავალს იძლევიან, მაგრამ ცხოვრებამ დაგვარწმუნა, რომ ქლიავის გარეშე შეიძლება იოლად გავიდეთ, მარცვლეულის გარეშე კი ნურასუკაცრავად. მით უმეტეს აწინდელ რთულ პირობებში.

სოფლად საზოგადოებრივ მეურნეობაში არსებული 360 ჰექტარი ბაღიდან თითქმის ნახევარი ამოსაძირკვია. სამწუხაროა, რომ მიუხედავად ბოლო პერიოდში მომხდარი გარკვეული ძვრებისა ზემოდან დიქტატს მაინც არაფერი ეშველა. ასე გასინჯეთ, რაიონის ხელმძღვანელთა დაჟინებული მოთხოვნით წელსაც „გეგმიურად“ გაუშენებიათ 24 ჰექტარი ხეხილის ბაღი. არადა სოფელს ამდენი ხეხილის მოსავლელად არც მუშახელი ჰყოფნის და არც სარწყავი წყალი.

მწვავედ იგრძნობა მუშახელის ნაკლებობა. 400-კომლიან სოფელში 200-მდე კაცი თუ გამოდის სამუშაოდ, ისინიც პენსიონერები. ახალგაზრდობა თითქმის არ ჩანს...

საქმე ისაა, რომ ბოლო ათწლეულებში სოფლად გატარებულმა პოლიტიკამ გული აუცრუა ხალხს. ძალიან დაბალი იყო შესასყიდი ფასები. მაგალითად, ერთ კილოგრამ ღორის ხორცში გლეხკაცს აძლევდნენ 5 მანეთს, საქონლის ხორცში 4 მანეთსა და 30 კაპიკს, ხორბალი ღირდა — 23,5 კაპ., კურკოვანი ხილი — 55 კაპ., თესლოვანი — 60 კაპ., პომიდორი ივნის-ივლისში 40 კაპ., აგვისტო-სექტემბერში — 35 კაპ., კომბოსტო 20 კაპ., და ა. შ.

სოფელში რჩებოდა მოსავლის 30 პროცენტი, დანარჩენი კი სახელმწიფოს ბარდებოდა.

ერთი სიტყვით, სოფელი მართლაც გზაჯვარედინზე დგას.

ამიტომ იყო, რომ ბატონ შოთა უზნაძის ინიციატივით და სოფლის მოსახლეობის მხარდაჭერით გააუქმეს კოლმეურნეობა და შექმნეს აგრომრეწვფირმა „სამთავისი“, რომელსაც ახლა იმედით შეჰყურებს ყველა...

ფირმის წესდება საკმაოდ ვრცელია და ჩვენ ვიტყოდით საინტერესოც, ამიტომ გაგაცნობთ მის ძირითად დებულებებს.

ფირმა თავის საქმიანობას საფუძვლად უდებს თვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსებას. მისი მიზანია მოსახლეობის ეკონომიკურად ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად აწარმოოს, თვითონ გადაამუშაოს და რეალიზაცია გაუკეთოს საკუთარ პროდუქციას. შექმნას მცირე საწარმოები წვენების, ეთერზეთებისა და სხვა ნაწარმის მისაღებად.

სოფლის ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, აწარმოოს ისეთი კულტურები და პროდუქცია, რომ ძირითადად დააკმაყოფილოს სოფლის მცხოვრებთა მოთხოვნილება ხორბალზე, ხორცსა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებზე და ა. შ. ხოლო ნამეტი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი გაიტანოს სარეალიზაციოდ.

განავითაროს საკუთარი სამშენებლო-სარემონტო სამსახური, აწარმოოს გაცვლითი ოპერაციები როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

აღადგინოს ძველი წისქვილი,ააშენოს საკუთარი პურის საცხობი და შეეცადოს შეღავათიან ფასებში დააკმაყოფილოს საკუთარი წარმოების ხორბლით პურზე მოსახლეობის მოთხოვნილება. შექმნას პირუტყვისათვის საკვების დამამზადებელი საამქრო.

ფირმა განახორციელებს სხვა ფუნქციებსაც, რომელნიც პასუხობენ მის მიზნებსა და ამოცანებს და არ ეწინააღმდეგებიან რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობას.

ფირმის მთავარი სიმდიდრე და მოქმედების მამოძრავებელი ბერკეტია მიწა. მას განზრახული აქვს მიწაზე დააწესოს კერძო და საიჯარო საკუთრება.

მიწა კერძო საკუთრებაში პირველ რიგში მიეცემა იმათ, როგორც წესდებაშია ნათქვამი, ვინც იცის მისი გამოყენება და შეუძლია აწარმოოს მაღალხარისხოვანი პროდუქცია. მიწა გაიცემა მხოლოდ ფირმის წევრებზე და იმ პირებზე, რომელთაც ჯერ არ გაუწყვეტიათ კავშირი მშობლიურ სოფელთან. საარენდოთ გაცემული ყველა მიწის მფლობელი გადაიხდის მიწის რენტას.

აქ უპირატესობას ანიჭებენ ბრიგადულ იჯარას, რადგან მიაჩნიათ, რომ ოჯახურმა იჯარამ არ გაამართლა.

როგორც კერძო ისე საიჯარო მფლობელობის მიწებზე მფლობელმა უნდა აწარმოოს ის პროდუქცია, რომელსაც ითვალისწინებს ფირმასთან დადებული ხელშეკრულება.

ფირმა უფლებას იტოვებს გააუქმოს ხელშეკრულება და ჩამოართვას მიწა იმ პირებს, ვინც რაციონალურად და ეფექტურად არ გამოიყენებს მას. ასე რომ, ფირმას მრავალი კარგი ჩანაფიქრი აქვს, რათა გამოაცოცხლოს და აალორძინოს სოფელი, ახალგაზრდობა დაუბრუნოს მას.

სამთავისში უამრავი საქმეა გასაკეთებელი. არასახარბიელოა ადმინისტრაციული შენობის, აგრეთვე 50-იან წლებში აშენებული მეცხოველეობის ფერმების შენობების მდგომარეობა; შეუფერებელ შენობაშია მოთავსებული ამბულატორია და მედპუნქტი, დასამთავრებელია სოფლის რადიოფიცირება, მოძველებულია ელქსელის გაყვანილობანი, შესაკეთებელია შიგასასოფლო გზები.

დასამთავრებელია კასპისა და სამთავისის საპატიო მოქალაქის უკრაინის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის კონსტანტინე ტერნოვოის მემორიალი, რომლის მშენებლობა ამ 8 წლის წინათაა დაწყებული. კონსტანტინე ტერნოვოისა და მისი ძმადნაფიცის, სამთავისის მკვიდრის თენგიზ უზნაძის ოჯახის ამბავი პრესაში ბევრჯერ აღნიშნულა. ამიტომ ჩვენ მას აქ აღარ შევეხებით. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ამ მემორიალის დამთავრების შემთხვევაში აკადემიკოსი სოფელს პირდება ტრავმატოლოგიური ცენტრის მოწყობას, რაც მნიშვნელოვანი შესაძენი იქნება არა მარტო ამ სოფლისათვის.

ბოლოს გვინდა, შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს, რომელიც ქალბატონმა ნინო ხატისკაცმა ჯერ კიდევ 1989 წელს წამოჭრა.

სამთავისის გაღმა, ლეხურის მარჯვენა მხარეს ფერდობზე არის აქოჩრილი ტყე, რომელიც პეწსა და სიმშვენიერეს მატებს სოფელსა და მის შემოგარენს, ეკოლოგიურ მნიშვნელობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამ ტყის გაშენების ისტორია ასეთია: დაახლოებით ერთი საუკუნის წინათ თავად ამილახვართან ჩამოსულა პოლონელი იურისტი ხორჟეევსკი, რომელსაც აქ დარჩენა გადაუწყვეტია. ამილახვრებს მისთვის საავარაკო ადგილი მიუციათ და მადლიერ სტუმარს შესანიშნავი სასახლე, ხეხილის ბაღი და ხელოვნური ტყე შეუქმნია. შემდეგ ხორჟეევსკის ნალვაწი იურისტ მიასნიკოვის ხელში გადასულა, რომელსაც მისთვის ზრუნვა არ დაუკლია. საბჭოთა ხელისუფლების წლებში კი ჯერ სასახლე დანგრეულა, ბაღიც დაბერებულა, ტყესაც მზრუნველი ხელი მოჰკლებია...

კარგი იქნება თუ ვინმე იზრუნებს ამ ტყის გასაჯანსაღებლად. რადგან დღევანდელი ეკოლოგიური კრიზისის პირობებში მას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს სოფელს.

ასეთია მოკლედ სამთავისური პრობლემების არსი. ცხადია, ერთ წერილში ყველას ვერც ჩვენ გავწვდით და შევეხეთ.

სამთავისელები, ისევე როგორც სრულიად საქართველო, დგანან გზაგასაყართან და იმედით შეჰყურებენ მომავალს. ხელი გაანძრიე და გიშველიო, ბრძანებს უფალი.

**ბიძინა თავაძე,**
**ოთარ ლომთაძე**
**სამთავისი-თბილისი.**

**ემბლემა:** სამთავისის ტაძრის (XI ს.) ბარელიეფი.

# ქართველი სტუდენტი — ევროპის საზაფხულო კინოსკოლაში

უკვე მესამე წელია, რაც კინო და ტელე ინსტიტუტების საერთაშორისო ასოციაცია „სილექტმა“ ბელგრადში გახსნა „ევროპის საზაფხულო კინოსკოლა“, რომელიც სეზონურად მუშაობს. ყოველ წელს ერთი თვით იკრიბება.

ბელგრადიდან ა. წ. 24 აპრილს გამოგვიგზავნეს წერილი, რომელიც თვენახევრის შემდეგ — 10 ივნისს მივიღე. გასაკვირი თითქოს არაფერია, მაგრამ, არსებული რეგლამენტის მიხედვით ბელგრადში, თურმე 10 მაისამდე უნდა წარგვედგინა განაცხადი ევროპის საზაფხულო კინოსკოლაში მონაწილეობის შესახებ, 25 მაისამდე კი — გაგვეგზავნა ჩვენი კანდიდატის ფილმი წინასწარი შერჩევისათვის, რომლის დროსაც უნდა საბოლოოდ გადაეწყვიტათ ჩვენი წარმომადგენლის მიწვევა-არმიწვევის საკითხი.

მარტო წელს ეს უკვე მესამეჯერ (წინა ორ შემთხვევაზე, როცა ჩვენმა სტუდენტებმა სწორედ ფოსტის უხეირო მუშაობის გამო ვერ მიიღეს მონაწილეობა ედინბურგისა და კარლოვი-ვარის კინოფესტივალებზე (იხ. გაზ. „ქართული ფილმი“, 19.VI.91) აღმოვჩნდი მეტად დასანანი ამბის წინაშე. მაშინ ავდექი და ჩვენს ფოსტაზე გაბრაზებულმა ერთობ მკვახე ტელექსი გავუგზავნე ბელგრადში ჩემს მეგობარ პროფ. რადომირ შარანოვიჩს (იგი ცნობილი იუგოსლაველი კინორეჟისორია, ბელგრადისა და ევროპის საზაფხულო კინოსკოლის ხელმძღვანელი), რამდენჯერ აგიხსენი ჩვენი ფოსტის ამბავი და როგორ, მეგობრისათვის, ფული ველარ გაიმეტე, რომ ტელექსი გამოგეგზავნა-მეთქი.

ისემც ყველაფერი კარგი აგისრულდათ, როგორც ამ „მზაკვრულმა“ სვლამ გასჭრა და მეორე დღესვე მოვიდა ტელექსი, დამატებით ერთი ადგილი გამოგვიყავით. პრეტენდენტი ამ ერთ ადგილზე ბევრი გვყავდა, მაგრამ რეგლამენტის პირობები მკაცრად და ზუსტად იყო განსაზღვრული: პრეტენდენტი შეიძლება იყოს დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, მას უნდა წარედგინა ერთი 20-წუთიანი ფილმი, დაედგა 5-წუთიანი სცენა 3-4 მსახიობის მონაწილეობით და, რაც მთავარია, კარგად უნდა სცოდნოდა ინგლისური ენა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით საბოლოოდ არჩევანი შეჩერდა ჩვენი ფაკულტეტის ტელეგანყოფილების V კურსის სტუდენტ ბუქა ურუშაძეზე, რომელიც ამჟამად ბელგრადშია.

ბ. ურუშაძე პირველი სტუდენტია, რომელიც მცირე ხნით, მაგრამ მაინც წარსდგა სანწავლებლად უცხოეთში ქართული კინოსკოლის სახელით და იმედია ღირსეულადაც.

**გიორგი დოლიძე,**
**საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტის დეკანი.**

ტრადიციები და თანამედროვეობა

# ზაქარია ყანჩაველი—100

**წლეულს აღინიშნა გამოჩენილი ქართველი ბოტანიკოსის, თბილისის უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის პირველი ქართველი გამგის, პროფესორ ზაქარია ყანჩაველის დაბადების 100 და მისი უმრწმესი ძმის — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ლევან ყანჩაველის დაბადების 90 წლისთავი.**

**უფროსი ყანჩაველის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ბოტანიკოსთა საზოგადოებისა და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ბიოგეოგრაფიული სექციის გაერთიანებული სხდომა, ხოლო უმცროსს — საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, აკადემიკოს ლევან ყანჩაველის სახელობის მცენარეთა დაცვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო სესია.**

**ჩვენი პუბლიკაცია ზაქარია ყანჩაველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ამბების თანამედროვეობის წინაშე წარმოჩენის კეთილშობილურ მიზანს ემსახურება.**

## „ამ უყი მიწის... გადამბრუნებელი“

### ანუ

## ბოტანიკის პირველი ქართველი პროფესორი





თბილისის უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრა ერთ-ერთი უძველესია. იგი ქართული უნივერსიტეტის დაარსებისთანავე შეიქმნა. მის ბაზაზე განვითარდა თანამედროვე ქართული ბოტანიკური მეცნიერება. პირველი ქართული უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრაზე იზრდებოდა ამ დარგის ეროვნული კადრები, რომელთა აღზრდაში 20-30-იან წლებში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ბოტანიკის პირველ ქართველ პროფესორს ზაქარია ყანჩაველს (1890-1932).

ახალგაზრდებისათვის სამაგალითო პიროვნებას ახასიათებდა მაღალი ზნეობა, თავმდაბლობა, იშვიათი შრომისმოყვარეობა, მგზნებარე პატრიოტობა, იყო ქართული ენის კარგი მცოდნე; თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე იმ დროს საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, მას არასოდეს უღალატია ეროვნული საკითხისათვის.

თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლების პერიოდში (1897-1910) ბატონი ზაქარია გიმნაზიის ტრადიციებით აღიზარდა და ჩამოყალიბდა, როგორც ბუნებისმეტყველი. ვფიქრობ, გიმნაზიის ტრადიციებმა განსაზღვრა, აგრეთვე, შემდგომი მისი, როგორც პედაგოგის, ჩამოყალიბება.

„კერძო ინიციატივით დაარსებულმა ტფილისის ქართულმა გიმნაზიამ თვალსაჩინო როლი შეასრულა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში და ქვეყანას მისცა მრავალი გამოჩენილი მოღვაწე“, — წერდა 1954 წელს ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე სეით იაშვილი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ტფილისის ქართულ გიმნაზიაში ბუნებისმეტყველების, ბუნების კანონების ქართულ ენაზე სწავლების საქმეში.

პროფ. ზ. ყანჩაველის ქართული ენის კარგი ცოდნა განსაკუთრებით გამოვლინდა უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის შედგენილ პირველ ქართულ „ბოტანიკის“ სახელმძღვანელოში (1927), რომლის დახვეწილი ტერმინოლოგია საგანგებო ყურადღების ღირსია.

ზ. ყანჩაველის სწავლის პერიოდში ქართული გიმნაზიის პედაგოგთა საბჭომ მოაწყო ბუნებისმეტყველების სწავლების რეორგანიზაცია. როგორც ჩანს, გიმნაზიაში მიღებულმა ამ მყარმა საფუძველმა განსაზღვრა ბატონ ზაქარიას მომავალი პროფესია — ბუნებისმეტყველება, რომელიც მან აირჩია ხარკოვის უნივერსიტეტში (1910-1915). აქ ბატონი ზაქარია დაეუფლა ბოტანიკას ცნობილი მეცნიერის პროფესორ არნოლდის ხელმძღვანელობით. ბოტანიკისადმი ეს დიდი ინტერესი და სიყვარული გამოჩნდა კიდეც სტუდენტობისა და შემდეგ, რა თქმა უნდა, თბილისის უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში, სადაც იგი მიიწვიეს ჯერ უფროს ასისტენტად (1918) და შემდეგ ბოტანიკის კათედრის გამგედ (1921), და მას გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა.

ზ. ყანჩაველი პირველი ქართველი სტუდენტი იყო, რომელიც მუშაობდა თბილისის ბოტანიკურ ბაღში. იგი შეიყვანეს დასავლეთ საქართველოს ბოტანიკურ ექსპედიციაში მთრიმლავ ნივთიერებათა შემცველ მცენარეთა ბუნებაში გავრცელების შესასწავლად. საინტერესოა, რომ ზ. ყანჩაველის საჰერბარიუმო მასალის ნაწილი იმდროინდელ ტფილისის ბოტანიკურ ბაღში ინახებოდა, ახლა კი თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტში და ხარკოვის უნივერსიტეტის ბოტანიკის კაბინეტშია დაცული.

თბილისის ქართული უნივერსიტეტის დაარსებისთანავე არსდება საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი და ყალიბდება ბოტანიკის კათედრა. ბატონ ზაქარიას უშუალო ინიციატივით, კათედრის პირველ გამგედ და ქართული კადრების აღსაზრდელად საგანგებოდ მოიწვიეს ცნობილი ბოტანიკოსი პროფ. სერგეი ნავაშინი.

მხცოვანი ბოტანიკოსი ლევან ყავრიშვილი იგონებს: ოციანი წლების დამდეგს პროფ. ნავაშინი საქართველოში ჩამოვიდა, როგორც ემიგრანტი. ბატონი ზაქარია კარგად იცნობდა გამოჩენილი ბოტანიკოსისა და ციტოლოგის მეცნიერულ ერუდიციას და უნივერსიტეტის რექტორთან რეკომენდაცია გაუწია, რათა ქართულ უნივერსიტეტში ბოტანიკის კათედრის გამგედ დაენიშნათ. მისივე ინიციატივით შეიქმნა პრივატული კურსი მცენარეთა ციტოლოგიაში. ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობას პროფ. ნავაშინი თავის ბინაზე მართავდა, მას ესწრებოდა მრავალი მსმენელი, მათ შორის შემდეგში ცნობილი პედაგოგები და მეცნიერები — ივანე კაჭარავა (გეოლოგიაში), პეტრე ქომეთიანი (ბიოლოგიურ ქიმიაში).

კათედრის ორგანიზაციის მთელი სიმძიმე ზ. ყანჩაველს დაეკისრა. ბატონი ნიკო კეცხოველი იგონებს, რომ ზ. ყანჩაველმა უნივერსიტეტის დაარსების პირველსავე წელს ბოტანიკის კათედრა აღჭურვა საჭირო ინვენტარით, მოამზადა სასწავლო ოთახები და კათედრა მზად იყო სტუდენტებთან საჭირო მეცადინეობის დასაწყებად. ქართულ უნივერსიტეტში ბოტანიკურ მუშაობას ბატონმა ზაქარიამ ჩაუყარა საფუძველი.

ბოტანიკის კათედრის დაარსებისთანავე გამოიკვეთა მისი პროფილი და მეცნიერული მუშაობის მიმართულებები: საქართველოს მცენარეულობის შესწავლა, ფლორისტულ-სისტემატიკური კვლევები და ქართული ბოტანიკური ტერმინოლოგიის შექმნა.

ამ უკანასკნელი მიმართულების დამკვიდრება ბოტანიკის კათედრაზე შეესაბამებოდა თბილისის უნივერსიტეტის სატერმინოლოგიო კომისიის მოთხოვნებს, რომელსაც აკად. ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა. ძირითადი მიზანი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხში შემორჩენილი ტერმინების გამოყენება. „ჩვენ ახლა ჩვენი ქვეყნის ფლორისა და მცენარეთა შესახებ ინფორმაციის დაგროვების ხანაში ვართ. ბევრი მცენარის სახელწოდება, რომელიც დღეს ხელთ არა გვაქვს, შეიძლება ხვალ ვიპოვოთ. ამის გამო პირდაპირ მათი სახელწოდებების ლათინურად თარგმნა სახერხოდ ვერ ვცანით“, — წერდა ზ. ყანჩაველი „ბოტანიკის“ სახელმძღვანელოში.

ზ. ყანჩაველის სახელმძღვანელოში შეტანილია უამრავი მცენარის ქართული სახელები, ამასთანავე, გამოყენებულია მცენარეთა აგებულების, მისი გარეგანი იერის, მორფოლოგიის შესატყვისი სხარტი სახელწოდებები, გამოთქმები. როგორ შეიძლება, არ კავახსენოთ და არ გამოვიყენოთ ისეთი ტერმინები, როგორიც არის მცენარეების „ჩალმავალი ნაკადი“. იგი კარგად მიგვანიშნებს მცენარეებში წარმოქმნილ ორგანულ ნივთიერებათა გადანაცვლების მიმართულებას; სხარტია სახელწოდება „ქეჩური ქსოვილი“. სახელმძღვანელოში მოხერხებულად არის აღწერილი ბუნებრივი მოვლენები, რომელიც ერთსა და იმავე დროს მხატვრულიც არის, მოვლენების არსს თვალნათლივ წარმოგვიდგენს და ცალკეული მცენარის ეკოლოგიასაც გვაცნობს. მაგალითად, „ის მცენარეები, რომლებიც ბარში მეტად დიდი იზრდება, მთაში პატარაა და მიწას ეკვრის, რათა დღისით მზისაგან გახურებულმა ნიადაგი შეათბოს, ზამთარში კი თოვლის საბნით დაფარულმა დიდი სუსხები მშვიდობიანად გადაიტანოს“.

კათედრის მიერ შეკრებილი ბოტანიკური ტერმინები მოიწონა სატერმინოლოგიო კომისიამ.

აღსანიშნავია, რომ 1918 წლისათვის ზაქარია ყანჩაველმა შესძლო მდიდარი ტერმინოლოგიური მასალის დაგროვება და სტუდენტთა პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოყენება, რაც მის მოღვაწეობაში ერთ-ერთი დასაფასებელი მხარეა. ბევრ ტერმინს დღეს უცვლელად ვიყენებთ ბოტანიკურ მეცნიერებაში, ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში.

უნივერსიტეტის გახსნისთანავე ზ. ყანჩაველმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოს მცენარეულობის შესწავლას: გარე კახეთი, გომბორის ქედი, მთათუშეთი, მდ. ყოისუს სათავეები მთათუშეთში (1918, 1920, 1925), თრიალეთის ქედი, მდ. ძლაზნის ნაპირები (1921, 1922), — აღმოსავლეთ საქართველოს ის რეგიონებია, რომელთა მცენარეულობის სტრუქტურის შესწავლა და რუკაზე გადატანა ზ. ყანჩაველის ხელმძღვანელობით დაიწყო; იმ მძიმე წლების რთულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებაში საჭირო იყო დარგის დიდი სიყვარული, უანგარო თავდადება, რათა მიუვალ მთა-თუშეთში ზ. ყანჩაველს ეწარმოებინა საველე სამუშაოები. მან განსაკუთრებით დეტალურად შეისწავლა გომბორის, შირაქისა და ელდარის ველების მცენარეულობა. ამ შრომებში შეიმჩნევა მცენარეთა ტიპების მოცულობის იმ დროისათვის ბოტანიკურ ლიტერატურაში მიღებული კლასიკური გაგებები. ეს იყო ზაქარია ყანჩაველის დიდი მცდელობა, ქართველ ახალგაზრდა ბოტანიკოსთა კადრებში განემტკიცებინა მოწინავე ქვეყნების მეცნიერული შეხედულებები.

ზ. ყანჩაველის მოღვაწეობის კიდევ ერთი მხარე უნდა აღინიშნოს: თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორობის პერიოდში (1929-1932), მან შეძლო ბოტანიკის, როგორც მეცნიერების და თვით ბოტანიკური ბაღის მნიშვნელობის პოპულარიზაცია საერთოდ და განსაკუთრებით ახალგაზრდებში.

უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ზ. ყანჩაველმა შეადგინა პირველი ქართული სახელმძღვანელოები „ბოტანიკა“ (ორ ნაწილად), „გვიმრანაირ და ყვავილოვან მცენარეთა სარკვევი“, „პრაქტიკული მეცადინეობისათვის სავარჯიშო“, „პრაქტიკული მეცადინეობისათვის სავარჯიშო რვეული“ დღესაც შეუცვლელია ბიოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტებისათვის. რაც შეეხება „ბოტანიკის“ სახელმძღვანელოს, იგი უნდა გადამუშავდეს მცენარეთა თანამედროვე ნომენკლატურულ დონეზე და კვლავ გამოვიყენოთ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, რადგანაც იგი ქართული ტერმინოლოგიის სათანადოდ გამოყენების ნიმუშია.

უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი საუკუნის 20-30-იან წლებში, როცა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედებდა გერმანული ენიდან ნათარგმნი სტრასბურგერისა და ვეტშტეინის ბოტანიკის სახელმძღვანელოები, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები სწავლობდნენ ქართველი პედაგოგისა და მეცნიერის მიერ ქართულ ენაზე, საგნის ღრმა ცოდნით შედგენილი სახელმძღვანელოთი, რომელშიც სპეციალურ ნაწილთან ერთად, ფართოდ იყო გაშუქებული იმ პერიოდისათვის სადავო, მაგრამ საღღეისოდ მიღებული თანამედროვე ბოტანიკის ზოგადი თეორიული საფუძველი. სახელდობრ, თბილისის უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის პირველმა გამგემ ს. ნავაშინმა მე-19 საუკუნის დამლევს ყვავილოვან ანუ ფარულთესლოვან მცენარეებში აღმოაჩინა მნიშვნელოვანი ბიოლოგიური მოვლენა, ე. წ. „ორმაგი განაყოფიერება“. ეს იყო ისტორიულად ჩამოყალიბებული ბიოლოგიურად ახალი პროცესი, რომელიც მხოლოდ ყვავილოვან მცენარეებში მიმდინარეობს, ამ პროცესის აღმოჩენით იწყებოდა ბოტანიკური მეცნიერების განვითარების ახალი ერა. ამ მოვლენის ახსნით კიდევ უფრო მეტად გამოჩნდა ღრმა განსხვავება ფარულთესლოვან და ზ. ყანჩაველის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ე. წ. „ტიტველთესლიან“ მცენარეებს შორის.

ყველა ბოტანიკოსს მართებულად არ მიაჩნდა, რომ სახელწოდება „ორმაგი განაყოფიერება“ ფარულთესლოვან მცენარეებში მიმდინარე პროცესის შესატყვისი ასახვაა.

პროფ. ზ. ყანჩაველი ქართულ სახელმძღვანელოში ორმაგი განაყოფიერების პროცესს იღებს ნავაშინისეული გაგებით და მის თავისებურებას ფართოდ აშუქებს. აქვე მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საკითხს, თუ ყვავილოვანი მცენარეები ვისი ფილოგენური სისტემით უნდა იყოს განხილული. ზ. ყანჩაველი სტუდენტთა სალექციო კურსს საფუძვლად უდებს ვეტშტეინის სისტემას და მიაჩნია, რომ „იგი უფრო ბუნებრივი, ფილოგენეტიური და რამდენადმე უფრო ხერხიანიც არის“.

ამასთანავე, ზ. ყანჩაველის სახელმძღვანელო განსაზღვრული იყო უნივერსიტეტის სხვადასხვა — აგრონომიული, სატყეო, საბუნებისმეტყველო, საექიმო, ქიმია-ფარმაცევტული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის. ამითაც განისაზღვრება სახელმძღვანელოს მნიშვნელობა.

პროფ. ზ. ყანჩაველისა და შემდეგი თაობის ბოტანიკოსთა მუშაობის შედეგად საქართველოში შეიქმნა ახალგაზრდა სისტემატიკოსების, ფლორისტებისა და გეობოტანიკოსების ავტორიტეტული ბოტანიკური სკოლა. საქართველოში ბოტანიკის, როგორც მეცნიერების, საფუძვლის ჩამყრელი იყო ბატონი ზაქარია ყანჩაველი, რომელიც 41 წლის ასაკში (1932 წლის იანვარი) განუკურნებელმა სენმა იმსხვერპლა.

როგორც ბატონმა ნიკო კეცხოველმა ბრძანა ...„ეს დარგი (ბოტანიკა) ყამირ მიწას წააგავდა ჯერ ხელუხლებელს, დაკორდებულს, თუმც დოვლათიანსა და ნოყიერს. ზაქარია ყანჩაველი ქართული უნივერსიტეტის დაარსების დღიდან იმედითა და სიყვარულით შეუდგა ამ უყი მიწის გადაბრუნებას, მის სასიკეთოდ გამოყენებას“...

**რევაზ გაგნიძე,**

**საქართველოს ბოტანიკოსთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის გამგე, პროფესორი.**

**სურათებზე: პროფესორი ზაქარია ყანჩაველი; ზ. ყანჩაველი (მარცხნიდან მეორე) უნივერსიტეტის ყოფილ სტუდენტებთან ერთად. მათ შორის არის ნიკო კეცხოველი (მარჯვნიდან პირველი).**


## ყურადღება!

**თბილისის ჟურნალისტთა უმაღლესი სკოლა იწვევს მხოლოდ მათ, ვისაც ნამდვილად სურს სწავლა.**

**სწავლისათვის გაიღებთ გარკვეულ თანხას, მაგრამ ნაყოფიერად გამოიყენებთ დროს. შეიძენთ ღრმა ჰუმანიტარულ განათლებას და საერთაშორისო დონის პროფესიულ ოსტატობას.**

**ტრადიციულ პროგრამებთან ერთად შეისწავლით მენეჯმენტსა და მარკეტინგს, „ნოუ-ჰაუს“ და რეკლამის თეორიას, იურისპრუდენციისა და [illegible] თანამედროვე პრინციპებს. ამასთან უცხო ენებს, მეტყველებას, პლასტიკას, [illegible] კი... რაც მომავალში, თქვენი, როგორც პროფესიონალი ჟურნალისტის წარმატების საწინდარი გახდება.**

**სწავლების ხანგრძლივობა 4 წელია, უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის — 2 წელი.**

**ჟურნალისტთა უმაღლეს სკოლასთან მოსამზადებელი კურსებიც იარსებებს.**

**აბიტურიენტებს შევარჩევთ შემოქმედებითი ტურების საშუალებით.**

**სწავლება დაიწყება იანვრიდან.**

**აბიტურიენტებს ვთხოვთ განცხადებასთან ერთად წარმოადგინონ 4 ფოტოსურათი, განათლების მოწმობები, ავტობიოგრაფია, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.**

**საბუთებს მივიღებთ 15 დეკემბრიდან.**

**ცნობებისათვის მოგვმართეთ: თბილისი, ხარნავის ქ. 170, 3-ე სართული, ოთახი 307, ტელეფონი: 29-20-08.**

# საქართველო და კულტურული იმპერიალიზმი

დღეს ჩვენს სამშობლოში მიმდინარე ცხარე პოლიტიკური და შეიარაღებული შეჯახებები, არა მხოლოდ ორი გარკვეული ძალის დაპირისპირებაა, არამედ საქართველოს შემდგომი განვითარების ორ სხვადასხვა კონცეფციას შორის ჭიდილსაც წარმოადგენს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ პირებს, რომლებსაც მხოლოდ პიროვნული სიძულვილი ან თბილი ადგილების ხელში ჩაგდების სურვილი ამოძრავებთ ან უბრალოდ, ხალხისათვის საკუთარი არსებობის შეხსენება უნდათ ე. ი. თუ იმ პარტიებსა და მოძრაობებს არ გავითვალისწინებთ, ვისაც არავითარი იდეოლოგიური ბაზისი არც გააჩნია, დავინახავთ, რომ ერთმანეთს უპირისპირდებიან ურთიერთსაწინააღმდეგო იდეოლოგიების (ერთ მხარეს ლიბერალური, მეორე მხარეს კი ეროვნული) მქონე ორგანიზაციები. იმაზე თუ ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში დამოკიდებულია, ერქმევა თუ საქართველოს საქართველო და იარსებებს თუ არა ქართველი ერი.

გავერკვეთ ჯერ იმაში თუ რა არის ლიბერალიზმი. როგორც ლექსიკონშია განმარტებული — ლიბერალიზმი წარმოადგენს: 1. ისეთ აზრთა წყობილებასა და გონება განწყობილებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია დამოუკიდებლობა — ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და დოგმების მიმართ... 2. ისეთი იდეურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამების ერთიანობას, რომლებიც მიზნად ისახავენ სახელმწიფოსა თუ საზოგადოების მხრიდან პიროვნებაზე ძალადობის სხვადასხვა ფორმების მოსპობას ან შერბილებას Современная западная социология. Словарь. 1990, გვ. 158). იქვე ვკითხულობთ „მსოფლმხედველობით ასპექტში ლიბერალიზმს შეესაბამება ჯგუფური, კლასობრივი, ნაციონალისტური და სხვა ცრურწმენებისაგან დამოკიდებულობა, კოსმოპოლიტიზმი, შემწყნარებლობა, ჰუმანიზმი, ინდივიდუალიზმი, დემოკრატიზმი, პიროვნების თვითღირებულებაზე ყურადღების გამახვილება". განვმარტოთ ზოგიერთი სხვა ტერმინიც: კოსმოპოლიტიზმი (ბერძ. სიტყვიდან kosmopolites — მსოფლიოს მოქალაქე) წარმოადგენს მოძღვრებას, „რომელიც უარყოფს ეროვნულ თვითმყოფადობასა და ეროვნულ სუვერენიტეტს, ქადაგებს სამშობლოსადმი, ეროვნული კულტურისადმი გულგრილობას და აყენებს „მსოფლიო სახელმწიფოს" შექმნის, „მსოფლიო მოქალაქეობის" დაწესების იდეას" (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1989). იგივე ლექსიკონში ინდივიდუალიზმი განიმარტება, როგორც „ინდივიდუუმის, ცალკეული პიროვნების ინტერესების დაყენება საზოგადოების, კოლექტივის ინტერესებზე მაღლა" ასევეა განმარტებული ინდივიდუალიზმი სხვა ლექსიკონებშიც. მაგ. აღნიშნულია, რომ: „ინდივიდუალიზმის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს საზოგადოებაში პიროვნების ავტონომიისა და მისი აბსოლუტური უფლებების ცნობა" (Философский словарь, 1987).

ისე რომ, ლიბერალები ჩვენში (ისევე, როგორც ყველა სხვა ქვეყანაში) უპირველეს ადგილზე ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს აყენებენ. მათთვის დემოკრატია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეროვნული თავისუფლება. ისინი თვლიან, რომ საქართველო ე. წ. თავისუფალი სამყაროს განუყოფელ ნაწილად უნდა გადაიქცეს, თანაც ლიბერალთა ნაწილი ცდილობს საქმის ვითარება ისე წარმოადგინოს, თითქოს სრულებით არ იყვნენ ქართული ტრადიციებისა და ქართული კულტურის მოწინააღმდეგეები.

საქმის ვითარებაში გარკვევისათვის დავიწყოთ ცოტა შორიდან.

ჩვენ ვიცით, რომ არსებობს ეროვნული ინტერესების ცნება. არსებობს, აგრეთვე მოცემული ერის თითოეული წევრის ინტერესების ცნება. ამ ინტერესებს შორის დამოკიდებულების დასადგენად უნდა გავიხსენოთ, თუ რას წარმოადგენს ერის თითოეული წევრის ინტერესები. აღნიშნულ ადამიანებს აქვთ როგორც საერთო (მაგ. ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების), ასევე განსხვავებული ინტერესები. ხოლო ეროვნული ინტერესები მდგომარეობენ ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებაში (ამ სიტყვის ფართო გაგებით, რომელიც მოიცავს როგორც ეროვნული ტერიტორიის, რიცხობრიობის, გარკვ. მატერიალური ბაზისის და რაც მთავარია ეროვნული ფსიქოლოგიისა და ეროვნული კულტურის შენარჩუნებისა და ზრდის ამოცანას). რადგანაც ერის რაღაც ნაწილის (ზოგ. ერებში კი უმრავლესობის) ინტერესებში სრულებით არ შედის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, ამიტომ ერის თითოეული წევრის ინტერესების ჯამი არ ემთხვევა (არ წარმოადგენს) ეროვნულ ინტერესებს.

თავად ეს არდამთხვევა სრულებით არ არის პარადოქსალური. კიბერნეტიკიდან ცნობილია, რომ რთული, მთლიანი სისტემა (ჩვენს შემთხვევაში ერი, უფრო ზუსტად ეროვნული სახელმწიფო) თავისი მთლიანობის ხარჯზე იღებს ახალ თვისებებს, რომლებიც განსხვავდება მისი შემადგენელი ცალკეული ელემენტების (ჩვენს შემთხვევაში ერის შემქმნელის ადამიანების) თვისებებისაგან და იკავებს მასზე მაღალ იერარქიულ საფეხურს. ასეთი სისტემის ქცევა (რადგანაც ადამიანთა ქცევა გამომდინარეობს ინტერესებისაგან, ამიტომ, ჩვენს შემთხვევაში, ეს ინტერესებიც) განპირობებულია მხოლოდ მისთვის (სისტემისათვის) დამახასიათებელი თვისებებით (ჩვენს შემთხვევაში ასეთ თვისებად გვევლინება ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების აუცილებლობა) (Природа, 1991 № 2, გვ. 29).

მაშასადამე, ეროვნული ინტერესები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ამ ერის გარკვეულ ნაწილს (ზოგჯერ კი უმრავლესობის) ინტერესებს. როგორც წესი ერის ეს ნაწილი იმ ადამიანებითაა წარმოდგენილი, რომლებიც ცდილობენ საკუთარი კეთილდღეობა თანამოძმეთა ხარჯზე ააშენონ, ისინი მზად არიან გადამთიელსა და უცხოს მიჰყიდონ სამშობლოც, სინდისიც, ოღონდ კი საკუთარი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილონ. ბოლო დროს ისეთებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ზემოთქმულ საქმიანობას რაღაც „იდეური" არგუმენტებით ამართლებენ.

რადგანაც ლიბერალებისათვის ადამიანი ყველაზე ძვირფას ფასეულობას წარმოადგენს და სხვა დანარჩენ ფასეულობებზე მაღლა დგას (რაზეც მეტყველებენ ლიბერალური მსოფლმხედველობის განუყრელი ელემენტები — ინდივიდუალიზმი, კოსმოპოლიტიზმი, რომლებიც პიროვნების თვითღირებულების ცნობის შედეგია, რადგანაც თუ პიროვნებას უკვე გააჩნია თავისთავად რაღაც ღირებულება (ე. წ. თვითღირებულება) მიუხედავად იმისა, თუ რას წარმოადგენს იგი საერთოდ და რა გაუკეთებია მას სამშობლოსათვის, ბუნებრივია ამ პოსტულატს ლოგიკურად კოსმოპოლიზმამდე და ინდივიდუალიზმამდე მოვყავართ), ეროვნული ინტერესები კი მდგომარეობენ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში (რაც თავისთავად გულისხმობს ერის, როგორც ასეთის უმაღლეს ფასეულობად აღიარებას), უკვე ამიტომ ცხადია, რომ ლიბერალური მოძრაობა ვერ გამოხატავს ეროვნულ ინტერესებს. ლიბერალები შეიძლება გამოხატავდნენ ერის იმ ნაწილის ინტერესებს, რომელთათვისაც უცხოა ეროვნული ინტერესები ისე რომ, ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური მოძრაობა ერის საწინააღმდეგოდაა მიმართული.

აქამდე ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ლიბერალიზმი თავისი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე შეუთავსებელია ეროვნულ (ნაციონალურ) იდეოლოგიასთან. ახლა განვიხილოთ თუ რა იწვევს ამ შეუთავსებლობას რეალურ ცხოვრებაში.

როგორც ვნახეთ ლიბერალიზმის ძირითად იდეას წარმოადგენს პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების პირველადობის ცნობა. ამის შესასრულებლად, კლასიკური ლიბერალიზმის თანახმად, საჭიროა სახელმწიფო ჩარევის მინიმალიზაცია საზოგადოების ცხოვრებაში. თუმცა ნეოლიბერალიზმის მომხრეები თვლიან, რომ სახელმწიფო გარკვეულწილად მაინც უნდა ჩაერიოს ძირ. სოციალურ სფეროში (ზომიერი ეგალიტარიზმის კონცეფცია), მაგრამ ეს ჩარევაც, მათი აზრით, უნდა ემსახურებოდეს პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

XX საუკუნე ინფორმაციული ტექნოლოგიების საუკუნეა: და ლიბერალების პირველი მოთხოვნა ინფორმაციის თავისუფალი გაცვლის (მათ შორის საზღვარგარეთთან) მოთხოვნაა. მათი აზრით, საზოგადოებას, რომელიც „ინფორმაციულ „შიმშილზე" არსებობს, არ შეიძლება იყოს თავისუფალი. იგივე აზრი აქვთ თავისუფალი არჩევნის შესაძლებლობაზე ყველა სფეროში (პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და ა. შ.) სწორედ ამიტომ, როცა ქვეყნის ხელმძღვანელობაში, ტოტალიტარული წყობის შემდეგ, შედარებით ლიბერალური (აქ ეს ტერმინი შედარებით მნიშვნელობითაა ნახმარი) ძალები მიდიოდნენ, აღნიშნული სახელმწიფო დაუყოვნებლივ ივსება საზღვარგარეთიდან (ძირ. დასავლეთიდან) შემოსული ინფორმაციით (ასე მოხდა აღმოსავლეთ ევროპაში, გარკვეულწილად საბჭოთა კავშირში და მის ყოფილ რესპუბლიკებში, სხვა ქვეყნებში). რადგანაც ვიცით, რომ ყველა ავტორიტარული ხელისუფლება მეტ-ნაკლებად ზღუდავს საზღვარგარეთიდან შემოსული ინფორმაციის ნაკადს, ამ „თავისუფლებაში" თითქოს არაფერია ცუდი, მაგრამ რეალურად საქმე სხვაგვარადაა.

როდესაც უცხო ქვეყნის კულტურა შეიჭრება (ლიბერალიზმის პოლიტიკის დაწყების შემდეგ) ტრადიციონალურ საზოგადოებაში: იწყება ამ კულტურის (მაგ. დასავლური) შერკინება ტრადიციულ ეროვნულ კულტურასთან (მაგ. ქართულთან). ეს შერკინება ადამიანთა ტვინებში ხდება. თანაც, რაც უფრო ახალგაზრდაა ადამიანი და რაც უფრო ნაკლებადაა ნაზიარები ეროვნულ კულტურას, მით უფრო ძლიერია მასზე უცხო კულტურის გავლენა, რატომ დევნის დასავლური კულტურა ადამიანის ცნობიერებიდან ნაციონალურს (ლიბერალიზმის პირობებში)? პასუხი მარტივია — დასავლური კულტურა (უპირველეს ყოვლისა მისი უდიდესი ნაწილი—ე. წ. მასობრივი კულტურა) ადამიანში ცხოველური საწყისების (ინსტინქტების) გაღვივებისაკენაა მიმართული, რაც პორნოგრაფიის, ეროტიკის, ძალადობის და საერთოდ დასავლური ცხოვრების წესის (მომხმარებლობითი და ფაქტიურად ყოველგვარი ზნეობრივი მუხრუჭისაგან თავისუფალი) პროპაგანდითა და დემონსტრაციით მიიღწევა. მასობრივი კულტურა ექსპლუატაციას უწევს ადამიანის (როგორც ბიოლოგიური არსების) სურვილს მაქსიმალურად დაიკმაყოფილოს თავისი ფიზიოლოგიური თუ არაფიზიოლოგიური (მათ შორის ისეთებიც, რომელსაც ადამიანი ვერ აცნობიერებს) მოთხოვნილებები. უფრო მეტიც, თვითონვე უყალიბებს გაუკუღმართებულ მოთხოვნილებებს. მაშასადამე, დასავლური კულტურა მომხმარებლობითი კულტურაა და იგი ფაქტიურად ეგოიზმის კულტივირებას ახდენს. ყოველივე ამის ფილოსოფიურ გამართლებას შეადგენს ინდივიდუალიზმი და ფართო გაგებით ლიბერალიზმი, რომელიც პიროვნების მოთხოვნილებებსა და ინტერესებს ფაქტიურად აბსოლუტურ მნიშვნელობას ანიჭებს (აქ ჩვენ ვლაპარაკობთ ეგოიზმის ფილოსოფიურ დასაბუთებაზე, ხოლო თუ რად იქცევა ინდივიდის ინტერესების პირველადობის ლოზუნგი რეალურ ცხოვრებაში, ეს სულ სხვა საკითხია). მაგრამ ადამიანი არის არა მარტო ბიოლოგიური, არამედ სოციალური არსებაც. სწორედ ის კულტურა (იდეოლოგია-ტერმინის ფართო გაგებით), რომელიც სოციალურ საწყისს (ე. ი. ადამიანის მოვალეობას ამა თუ იმ სოციალური ორგანიზმის წინაშე) ანიჭებს უპირატესობას, უფრო მაღალმა ვიდრე ცხოველური ინსტინქტების გაღვივებაზე დაფუძნებული კულტურა. თავის მხრივ იმ კულტურებში (იდეოლოგიებში), რომლებიც ადამიანის სოციალურ საწყისებს ანიჭებს უპირატესობას (ასეთი კულტურები — ალტრუისტული კულტურებია) უპირველესი ადგილი უჭირავს კულტურას, რომელიც ერის (ეროვნული) ინტერესების პირველადობას ქადაგებს (სწორედ ასეთია ქართული ტრადიციული კულტურა (იდეოლოგია). თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ, გამოვა, რომ ეგოიზმის მაკულტივირებელი იდეოლოგია უპირისპირდება ალტრუისტულ იდეოლოგიას (ჩვენს შემთხვევაში პიროვნების ინტერესების დამთრგუნველ იდეოლოგიას, ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ) და გასაგებიცაა პლურალიზმის პირობებში რატომ მარცხდება უკანასკნელი, არსებობს ამის მეორე მიზეზიც, რომელიც უფრო ისტორიულ ხასიათს ატარებს. მასობრივი კულტურა (როგორც დასავლური კულტურის მთავარი შემადგენელი ნაწილი) ჩამოყალიბდა ამერიკაში, სადაც ამ კულტურის წარმოების კონვეირული სისტემა შეიქმნა. კონვეირი კი ყოველთვის აიაფებს პროდუქციას (როგორც კულტურულ ისე სამრეწველო), ამით კი მასობრივი კულტურის მსოფლიო ექსპანსიას უწყობს ხელს (Заатлантические мифы и реальность М. 1984, გვ. 480).



ამიტომ მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს დასავლური კულტურის მიერ ეროვნული კულტურის გამოძევების პროცესი. რაც გამოიხატება ტელე, კინო, ბეჭდვით პროდუქციაში ამერიკული (სწორედ ამერიკული კულტურა შეადგენს დასავლური კულტურის ძირითად ელემენტს, ამიტომ ეს ორი ტერმინი გარკვეულწილადაც სინონიმებად შეიძლება ვიხმაროთ) ან ამერიკულიდან კალკირებული მასობრივი კულტურის ნიმუშების გაბატონებაში.

კულტურული ექსპანსიის მთავარ ობიექტს რასაკვირველია წარმოადგენს ტელევიზია, რადგანაც როგორც ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რაც უფრო მეტი გრძნობის ორგანო მონაწილეობს მასალის აღქმაში, მით უკეთესად ამახსოვრდება ადამიანს მიღებული ინფორმაცია. ტელევიზორის ყურებისას მხედველობისა და სმენის ორგანოებია ჩართული, თანაც მხატვრული ფორმით გადმოცემულ ინფორმაციას ადამიანთა უმრავლესობა უფრო კარგად იმახსოვრებს, ვიდრე ვთქვათ წიგნში წაკითხულს (მითუმეტეს, როცა საქმე რთულ მოვლენებს არ ეხება). ამიტომაც ყველაზე მეტად ამერიკული პროგრამებით, ტელევიზია არის დაბინძურებული. მაგ. თუ 1957 წ. ფრანგულ ტელევიზიაში ამერიკული ფილმები შეადგენდნენ საერთო მოცულობის 4%, ხოლო 1979 წ. კი უკვე 30% (ახლა ეს ციფრი კიდევ უფრო დიდია). 1978 წ. ფრანგების მიერ კინოთეატრში ნანახი ფილმების დაახლ. ნახევარი ამერიკული იყო, ინგლისში კი ამერიკული იყო ფილმთა 80%. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტებს, რომ 1. აღნიშნულ ქვეყნებში მნიშვნელოვან პროცენტს შეადგენენ ამერიკულიდან კალკირებული ფილმები (რაც ფაქტიურად ამერიკული მასობ. კულტურის გაგრძელებაა), 2. განხილული ქვეყნები ეკონომიურად ძლიერი და კინემატოგრაფიაში საკმაოდ მტკიცე ტრადიციების მქონე სახელმწიფოებს მიეკუთვნებიან, ადვილი წარმოსადგენია თუ რა მდგომარეობაში არიან მოხვედრილნი ნაკლები პოტენციალის მქონე ქვეყნები (როცა დიდებსაც უჭირთ). ჩვენ მოვიყვანეთ კულტურული აგრესიის დამადასტურებელი ფაქტები შედარებით ვიწრო, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვან სფეროში. ამერიკული კულტურის ექსპანსიის ზოგადი პრინციპები პირდაპირაა გაცხადებული წამყვან ამერიკულ ჟურნალში მოთავსებულ სტატიაში სათაურით „ამერიკული ულტურა იღებს მსოფლიოს" (US. News and World Report 1977, 27 June p. 54) ამ პროცესებით შეშფოთებულმა ევროპულმა მეცნიერებმა გამოუშვეს წიგნი, სადაც ავტორები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ამერიკის კულტურული იმპერიალიზმი ძირს უთხრის ევროპის ეროვნული კულტურების თვითმყოფადობას (Superculture. American Popular Culture and Europe. Ed by C.W.E. Bigsby London, 1975). შეეხო რა აღნიშნულ საკითხებს საფრანგეთის კულტურის მინისტრმა ჟაკ ლანგმა განაცხადა: „კულტურა და შემოქმედება წარმოადგენენ ტრანსნაციონალური კორპორაციების ფინანსური ძალადობის მსხვერპლს... ფაქტიურად საქმე გვაქვს სახელმწიფოს შინაგან საქმეებში ჩარევის თავისებურ ფორმასთან, უფრო ზუსტად ჩარევის ყველაზე უფრო სახიფათო შემთხვევასთან: სხვა ქვეყნის ცნობიერებაში ინტერვენციასთან... საჭიროა გამოვუცხადოთ ჯვაროსნული ომი ამ ფინანსურ და ინტელექტუალურ იმპერიალიზმს" (Заатлантические мифы и реальность, გვ. 427).

ორი სიტყვა აგრესიის შესახებაც ვთქვათ. აგრესიის მრავალი სახე არსებობს. ყველასათვის ცნობილია სამხედრო, შეიარაღებული აგრესია: გარეგანი (როცა უცხო სახელმწიფო საზღვრების დარღვევის შედეგად შემოიჭრება სხვა სახელმწიფოში) და შინაგანი (როცა უცხო სახელმწიფო იარაღითა და ფინანსებით მხარს უჭერს ქვეყნის შიგნით მოქმედ ტერორისტულ ბანდებს) არსებობს ეკონომიკური აგრესიაც: გარეგანი (ბლოკადა, სანქციები) და შინაგანი (საბოტაჟი), გამოვყოფთ ეთნიკურ აგრესიასაც, როცა უცხო ტომის ხალხი, „მშვიდობიანად" იკავებს ტერიტორიებს, შერეული ქორწინებების საშუალებით აბინძურებს სხვა ერის გენოფონდს. არსებობს კულტურული (ინფორმაციული ანუ ფსიქოლოგიური) აგრესია. ამ დროს უცხო ქვეყანა საკუთარი ცხოვრების წესის პროპაგანდით ცდილობს ერს საკუთარი კულტურა, ეროვნული ფსიქოლოგია დააკარგვინოს, რათა გაიადვილოს მისი საკუთარი გავლენის სფეროში მოქცევა. რამეთუ ერი, რომელიც ცხოვრების სხვის წესზე გადადის აღარ (უფრო ზუსტად ველარ) აღიქვამს ამ კულტურის ექსპორტიორს სახელმწიფოს, როგორც მოწინააღმდეგეს. ასეთი „მიმიკრიის" ეფექტი საკმაოდ ძლიერია, გავიხსენოთ XIX საუკუნის დასაწყისი, როცა ჩვენ ფაქტიურად უბრძოლველად ჩავბარდით „ერთმორწმუნე" რუსეთს (მათ კულტურული აგრესიაც არ დასჭირვებიათ), დღესდღეობით ფაქტიურად იგივე მეორდება, ოღონდ, ამჯერად რუსეთი გვიპყრობს დემოკრატიის ლოზუნგით.

ჩვენც იმის თქმა გვინდა, რაც აღნიშნა ფრანგმა მინისტრმა: კულტურული აგრესია ყველაზე უფრო სახიფათო ფორმაა ინტერვენციისა, რადგანაც იგი ერთგვარად ადუნებს, აძინებს ადამიანს და რაც მთავარია, აქ უშუალოდ არ ჩანს მტერი.

ჩვენ ზემოთ ვაჩვენეთ, რომ პოლიტიკური ლიბერალიზაცია, უპირველეს ყოვლისა ინფორმაციულ თავისუფლებას ნიშნავს (მათ შორის ინფორ. თავისუფალ შემოსვლას საზღვარგარეთიდან). ისიც ვაჩვენეთ, თუ რა მექანიზმების საშუალებით დასავლური პროდუქცია იპყრობს ადამიანთა ცნობიერებას. ახლა კი იმაზე ვილაპარაკოთ თუ რა გავლენას ახდენს ყოველივე ეს მოზარდ თაობაზე. თუ პიროვნებად ჩამოყალიბებულ ადამიანებს ეს დასავლური პროდუქცია მხოლოდ მოსწონთ (მიუხედავად იმისა, აცნობიერებენ ამას ისინი თუ ვერა) და მათ ზნეობრივ ფასეულობებზე ყოველივე ეს შედარებით სუსტ გავლენას ახდენს (უფრო ზუსტად მათი ზნეობრივი ფასეულობების ეროზიისათვის ბევრად უფრო მეტი დროა საჭირო), მოზარდებს, რომლებიც ჯერ პიროვნებებად არ ჩამოყალიბებულან (მაშასადამე, მორალური ფასეულობანი არა აქვთ შემუშავებული და განმტკიცებული) სოციალიზაცია, არა მშობლიური კულტურის, არამედ დასავლური პროდუქციის გარემოცვაში უხდებათ.

იმის გამო, რომ ადამიანის გენურა აპარატში ჩაწერილი ინფორმაცია ზუსტად კი არ არის დეტერმინებული (განსაზღვრული), არამედ მოცემულია ძალზე ზოგადი სახით, ამიტომ პიროვნების ჩამოყალიბება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმ გარემო პირობებზე, რომელშიც ხდება ადამიანის აღზრდა.

თუ ცოტა აბსტრაქტული მსჯელობიდან კონკრეტულზე გადავალთ და გავითვალისწინებთ იმას, რომ 1) ტელევიზია სოციალიზაციის მთავარი ფაქტორია, 2) ჩვენში ნელ-ნელა ტელევიზია (საერთოდ ინფორმაციის ყველა საშუალებები) ივსება დასავლური პროდუქციით, 3) დასავლურ მასობრივ კულტურაში გამოხატვის საშუალებებად გამოიყენება იმიჯები, სტერეოტიპები და სინამდვილის გამოსახვის სხვა არაადექვატური საშუალებები (Шестаков В. П. Американская культура 70-х годов: имиджи и стереотипы вопросы литературы 1981. № 7.). 4) რომელი საზოგადოების კულტურით გარემოცულიც იზრდება ბავშვი და მოზარდი, იმ საზოგადოების ექნება ხასიათი და ცნობიერება, როგორც ამას ეროვნული ხასიათის კონცეფცია გვასწავლის (ამერიკული ეთნოფსიქოლოგიური სკოლის და არა მარტო მათი); ადვილად დავასკვნით: ქართველთა მომავალ თაობას ეროვნული ცნობიერების დასავლური ცნობიერებით შეცვლა ემუქრება.

საზოგადოდ, კულტურული აგრესია იმით განსხვავდება ერთი ერის მიერ მეორის კულტურის ამა თუ იმ მიღწევის გადაღებისაგან, რომ აგრესიის დროს ხდება დიდი რაოდენობით კულტურული ინფორმაციის, შეზღუდული დროის ფარგლებში „გადასხმა", ამიტომ ერი ვერ ასწრებს გადაამუშაოს, გაითავისოს უცხო კულტურის ესა თუ ის ელემენტი, ხოლო მისთვის მიუღებელი ელემენტები კი თავიდან მოიშოროს.

კულტურული აგრესიის პროცესი ძალზე ჰგავს ბავშვის მიერ მოზრდილის საქციელის წაბაძვას. ბავშვს გადმოაქვს უპირველესად საქციელის გარეგანი მხარე, და მხოლოდ ასაკთან ერთად იწყებს ქცევის იმ მხარის გადმოღებას, რომელიც სინამდვილეში გამოხატავს სიტუაციის აზრს. „მათი (განვითარებადი ქვეყნების — კ. ჭ.) კულტურის მოდერნიზაციის პროცესი მიმდინარე ისტორიულად შეკუმშულ დროში, იწვევს ტრადიციული კულტურის განადგურებას, რაც დაკავშირებულია სიცოცხლისუნარიანი და პერსპექტიული ელემენტებისა და ფასეულობების დაკარგვასთან. ხოლო ახალი ცოდნის, ახალი კულტურის აღქმას განვითარებადი ქვეყნის ადამიანი ვერ ასწრებს — იგი რჩება მისთვის უცხოდ, რომლის, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ კალკირება ხდება, მაგრამ მისი არსი და შექმნის პროცესი რჩება მიუწვდომელი" (Третий мир и судьбы человечества М. 1990, გვ. 7). მაშასადამე, უპირველესად ხდება უცხო კულტურის გარეგანი ელემენტების გადმოღება (მაგ. ესკიმოსებისათვის და ინდიელებისათვის ასეთი ელემენტი აღმოჩნდა ალკოჰოლიზმი), ხოლო სიღრმისეული სტრუქტურა და არსი ბევრად უფრო ძნელი ჩასაწვდომია (იმავე ესკიმოსებისათვის და ინდიელებისათვის პროტესტანტული შრომის ეთიკა აღმოჩნდა მიუწვდომელი). მოკლედ სხვისი კულტურის უარყოფით ელემენტებს უფრო ადვილად იღებს, ერი, ვიდრე დადებით მხარეებს. თანამედროვე ეტაპზე კულტურული აგრესიის უმნიშვნელოვანეს შედეგს განვითარებადი ქვეყნებისათვის (ეკონომიკურად ჩვენც ხომ ფაქტიურად მათ მიეკუთვნებით), წარმოადგენს „დემონსტრირების ეფექტის" არსებობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დასავლური საინფორმაციო პროდუქციის (უპირველეს ყოვლისა ტელე, ვიდეო, კინო და უფრო ნაკლებად ბეჭდვითი) გავლენით სხვა ქვეყნის ადამიანებს უყალიბდებათ გემოვნება, ინტერესები. მათ ის მოსწონთ, რაც ნახეს დასავლურ ტელეპროდუქციით, იქცევიან ისე როგორც მათი ტელე გმირები. ამიტომაც ვრცელდება განვითარებად ქვეყნებში და ჩვენშიც ძალადობის კულტი (მათ შორის უაზრო ძალადობისაც). როგორც დიდი ხანია დაადგინეს დასავლელმა ფსიქოლოგებმა: „სატელევიზიო ძალადობის ცქერა... ზრდის შემდგომი აგრესიულობის შესაძლებლობის" (ტელევიზია და ადამიანის ქცევა. გვ. 17). ამიტომაც ვრცელდება დასავლური ჩაცმულობის სტილიც, რომლის გარკვეული ელემენტები აბსოლუტურად მიუღებელია ჩვენი კულტურისათვის (მოდა ასახავს გარკვეულ საზოგადოებრივ დამოკიდებულებას, კერძოდ მამაკაცისა და ქალს შორის და სანამ ანალოგიური დამოკიდებულება არ იქნება ჩვენშიც (ღმერთმა დაგვიფაროს ამისაგან), მანამდე გადმოტანილი მოდა წმინდა მექანიკურადაა დაფუძნებული).

აღნიშნული „დემონსტრირების ეფექტის" მრავალი სამწუხარო ფაქტია აღნიშნული განვითარებად ქვეყნებში. უპირველეს ყოვლისა ეს გამოიხატება იმაში, რომ ამ ეფექტის ზეგავლენით ადამიანი, მხოლოდ იმ ფაქტის საფუძველზე (როგორც კარგად შენიშნა ბ-ნმა გ. პეტრიაშვილმა), რომ მის სამშობლოშიც და ვთქვათ ამერიკაშიც 1991 წელია, ასკვნის, რომ ორივეგან ერთი და იგივე დროა და რაც ერთისთვის კარგია, არც მეორისათვის იქნება ცუდი. მაგ. ადამიანი (განსაკუთრებით საშუალო და საშუალოზე ღარიბი ფენების წარმომადგენელი) თავის მატერიალურ მდგომარეობას, ხედავს რა დასავლეთის ქვეყნებში ცხოვრების დონეს (ე. ი. „დემონსტ. ეფექტის" ზეგავლენით) აფასებს იმაზე უარყოფითად ვიდრე ამგვარი ინფორმაციის გარეშე შეაფასებდა (არ ითვალისწინებს რა ქვეყნის რეალურ ეკონომიკურ პოტენციალს). (Третий мир и судьбы человечества, გვ. 25), ყოველივე ეს კი (ცნობიერად თუ არაცნობიერად) იწვევს უკმაყოფილებას ხალხში და საბოლოოდ ყოველგვარი მღელვარებისა და არასტაბილურობის გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს (იხ. იქვე გვ. 27) იგივე „დემონსტრირების ეფექტი" შეძლებულ ფენებში იწვევს მიბაძვით ზემომხმარებლობას, მაშინ, როცა იზრდებიან სოციალური კონტრასტები და მოქალაქეთა დიდი ნაწილის ცხოვრების დონე ეცემა (იხ. იქვე 55-56). განვითარებადი ქვეყნები შეეჯახნენ „დემონსტრ. ეფექტის" მიერ ჩამოყალიბებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას მთელ რიგ სირთულეებს. საქმე იმაშია, რომ დასავლეთის მიერ პროპაგანდაგაწეული პროდუქციის დიდ ნაწილს, ბევრი განვითარებადი ქვეყანა საერთოდ არ აწარმოებს, მაგრამ, რადგანაც „დემონსტრირების ეფექტი" თავის საქმეს აკეთებს და გემოვნებას აყალიბებს, აღნიშნული სახელმწიფო იძულებულია იმპორტით შემოიტანოს ეს პროდუქცია, რაზეც დიდძალი სავალუტო სახსრები იხარჯება, მაშინ, როცა მათი გამოყენება შეიძლებოდა უკეთესი მიზნებისათვის (იხ. იქვე, გვ. 66). არის სხვა გზაც: ქვეყანამ თავად დაიწყოს ამ პროდუქციის წარმოება, მაგრამ „რაც შეეხება იმ მომხმარებლობითი საქონლის წარმოების გაშლას, რომელიც იმიტირებს დასავლურ ნიმუშებს, განვითარებადი ქვეყნების ტერიტორიაზე, უნდა ითქვას, რომ ყოველივე ხშირად იწვევს მატერიალური საშუალებების მოცდენას მეორე ხარისხოვან (თუ მათ მნიშვნელობას ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე შევაფასებთ) ობიექტებზე" (იხ. იქვე, გვ. 66-67).

საზოგადოებრივი მოთხოვნილებების აღნიშნულ გაუკუღმართებაზე მიგვითითებენ შვედი მეცნიერები ლ. ანელი და ბ. ნიგრენი: „ბრაზილიაში, რომელიც წარმოადგენს ფორთოხლის უდიდეს მწარმოებელს მსოფლიოში, ადამიანები სვამენ ვიტამინ C არმქონე, მთლიანად სინთეზირებულ „ფანტას" (Anell L. Nygren B. The Devolip Countries and the World Economic Order L; N. Y. 1980, P. 21).

„დემონსტრირების ეფექტის" ზემოქმედებით ძლიერდება ემიგრაცია განვითარებადი ქვეყნებიდან, „კარგი ცხოვრების" ნახვით აღტაცებული ადამიანები ტოვებენ სამშობლოს და დასავლეთის ქვეყნებისაკენ მიემართებიან ბედნიერების საძებნელად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მოვლენა და პროცესი უდიდეს ეკონომიკურ, კულტურულ, ზნეობრივ ზარალს აყენებს დასავლეთზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს. დამღუპველი იქნება ანალოგიური პროცესები ჩვენშიც. ოღონდ არავინ თქვას იგი საქართველოში ვერ იმოქმედებსო. ეს სიცრუე იქნება იმიტომ, რომ 1) „დემ. ეფექტის" მოქმედებით მოთხოვნილებები ყალიბდება გაუცნობიერებლადაც. 2) კარგადაა ცნობილი საქართველოს საზოგადოების „უმაღლესი წრის" სიყვარული ყოველივე უცხოურისადმი (მხოლოდ იმ მოტივით, რომ ის უცხოურია). XIX საუკუნეში ამ მავნე მოვლენას ხაზს უსვამდა ილია ჭავჭავაძე, დღევანდელ საქართველოში ანალოგიურ პრობლემაზე ბევრი აქვს დაწერილი გ. პეტრიაშვილს), 3) ამ ეფექტის მავნე ზემოქმედება უკვე შეიმჩნევა საქართველოში.

მერე რა? იტყვიან ლიბერალები — მართალია „დემ. ეფექტს" აქვს თავისი უარყოფითი შედეგები, მაგრამ თუ ეს ქვეყნის განვითარებისათვის არის აუცილებელი, ერი გადაიხდის ამის საფასურს (ლიბერალებს საერთოდ და ჩვენს ოპოზიციას, სჩვევია ხალხის სახელით ლაპარაკი). ამიტომ ახლა ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ: 1) თუ რას ნიშნავს ერისათვის სხვის აზროვნების სტილზე გადასვლა, სხვისი ფასეულობების შეთვისება, 2) მოიტანს თუ არა ეს გზა მატერიალურ კეთილდღეობას.

1. ერი უპირველესად კულტურულ-ფსიქოლოგიური (აგრეთვე გარკვეულ საზღვრებში გენეტიკური) ერთიანობაა. თუმცა ერის ცნების სხვა განსაზღვრებაც არსებობს. მაგ. ნ. ნათაძე წერს: „ერის მთლიანობას, ერთობას ქმნის არა მის ელემენტთა (მასში შემავალ ინდივიდთა) ურთიერთმსგავსების ხარისხი... არამედ ერთობლივი მიმართება გარესამყაროსთან — დანარჩენ კაცობრიობასთან" (ნ. ნათაძე „ერი და ეროვნული კულტურა", თბილისი, 1990, გვ. 10). ჩვენ აგრეთვე ვაჩვენებთ, რომ ჩვენი მიდგომა სამართლიანია ამ შემთხვევაშიც.

როგორც მსჯელობამ და კონკრეტულმა ფაქტებმა გვანახეს, კულტურულ აგრესიას მოსდევს ზნეობრივი ფასეულობების ეროზია, მათი შეცვლა უცხო კულტურიდან გადმოღებული ფასეულობებით, ერი ივიწყებს ეროვნულ კულტურას, წეს-ჩვეულებებს, ეროვნული ფსიქოლოგია იცვლება უცხოური სუროგატით, მიმდინარეობს დეტრადიციონალიზაციის პროცესი, რომელიც ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის პროცესია. რადგან ერის თვითმყოფადობა მისი კულტურისა და ეროვნული ფსიქოლოგიის განუმეორებლობაზეა დამყარებული. მოისპობა ეს განუმეორებლობა და ერის თითოეული წარმომადგენელი დაკარგავს იმ ჯაჭვს, რომელიც მათ ერთ ერად აერთიანებს. რასაკვირველია, ერთი ან ორი ტრადიციის დაკარგვას არ შეუძლია ასეთი მძიმე შედეგების გამოწვევა, მაგრამ როცა ქრება ეროვნული ხასიათისა და ქცევის ფუნდამენტური ელემენტები, მთლიანად ეროვნული ცნობიერება, სწორედ მაშინ შეგვიძლია ვილაპარაკოთ საფრთხეზე, რომელიც თვით ერის, როგორც სოციალური ორგანიზმის არსებობას ემუქრება. ანალოგიურ შედეგებს მივიღებთ თუ მდგომარეობას ერის მეორენაირი განმარტებიდან გავაანალიზებთ. მსოფლიოში მიმდინარე აზროვნების, ქცევის, ფასეულობათა სისტემის სტანდარტიზაციის პროცესები (ფასეულობათა სტანდარტიზაციის პროცესის ნათელი დადასტურებაა „ზოგადსაკაცობრიო" ფასეულობების ცნების შემოღება) ბუნებრივია სპობენ ერის ერთობლივ მიმართებას გარესამყაროსთან — დანარჩენ კაცობრიობასთან (თუ ყველაფერი მსგავსი გვაქვს, ბუნებრივია ერთ მთლიანობასაც წარმოვადგენთ სწორედ მსგავსი მსჯელობის შემდეგ იბადება ერთიანი მსოფლიოს შექმნის იდეები) , რაც მეორე განსაზღვრების თანახმად ფაქტიურად ერის, როგორც სოციალური ორგანიზმის სიკვდილის კონსტატაციაა.

ის ფაქტი, რომ კულტურული აგრესია (განსაკუთრებით მისი ყველაზე ეფექტური საშუალების ტელევიზიის მეშვეობით) რეალურად სპობს ერის ერთობლივ მიმართებას გარესამყაროსთან კარგად ჩანს შემდეგი ციტატიდან: „ტელევიზიამ მოახერხა ჩვენი (ლაპარაკია აშშ-ზე — კ. ჭ.) გადაქცევა ერთიანი კულტურის მქონე, ერთიან ქვეყნად" (Commentary 1974 December, p. 49). მაშასადამე, თუ მთელი მსოფლიო ერთნაირი კულტურული ინფორმაციით ისარგებლებს (აღნიშნული პროცესი ინტენსიურად მიდის) ეს თავისდაუნებურად გამოიწვევს (იწვევს კიდეც) ერებს, ქვეყნებს შორის საზღვრების მოშლას (მათ შორის სახელმწიფოებრივი), რისი დამადასტურებელია ევროპის ერთიანი სახელმწიფოს შექმნა (რომელიც მოხდება 1992 წ.), კანადასა და ამერიკას შორის ეკონომიკური საზღვრების მოშლა და საერთოდ მსოფლიო ინტეგრაციის პროცესი.

ეროვნული ცნობიერებადაკარგული ადამიანისათვის არც იმას ექნება მნიშვნელობა თუ რა ენაზე ილაპარაკებს: მთავარია, რაც შეიძლება მეტ ადამიანთან დაამყაროს კონტაქტი. მაშასადამე, აღარც მშობლიური ენის ცოდნა იქნება საჭირო (მთავარია მან იცოდეს საერთაშორისო ურთიერთობის ენა). ასეთი ადამიანისათვის არც მეუღლის ეროვნებას ექნება მნიშვნელობა, აიმღვრევა ერის გენოფონდი. საბოლოოდ დაიკარგება ერის ანთროპოლოგიური სპეციფიკურობა. კიდევ ერთ მსხვერპლს შეწირავს სტანდარტიზაციისა და ჰომოგენიზაციისაკენ კაცობრიობის დინება.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ლიბერალიზმი და პლურალიზმი დამღუპველად მოქმედებს ეროვნულ თვითმყოფადობაზე. დემოკრატიულ სახელმწიფოებს (იმპერიებს) დაპყრობილი ერები სრულ განადგურებამდე მიჰყავთ. მაშინ, როცა ტოტალიტარულ იმპერიებს უმრავლესობას (ყოველ შემთხვევაში — თანამედროვე იმპერიებს) ანალოგიური შედეგის მისაღწევად ბევრად უფრო მეტი დრო და ძალისხმევა სჭირდებათ. ამაზე მეტყველებს მრავალი მაგალითი: 1) ტოტალიტარულმა (ფრანკისტულმა) ესპანეთმა ვერა და ვერ შეარყია ეროვნული თვითშეგნება ბასკებში, მიუხედავად იმისა, რომ ბასკური კულტურა ყოველმხრივ იდევნებოდა, ხოლო ციხეები ბასკი პატრიოტებით იყო სავსე. მაშინ როდესაც საფრანგეთი, ასევე საკუთარ ტერიტორიაზე მცხოვრებ ბასკებს, მათ ეროვნულ თვითშეგნების უფრო „დემოკრატიული" გზით ებრძოდა (უპირატესად არა სამხედრო ოპერაციებით, არამედ კულტურული აგრესიით). შედეგიც სახეზეა — ფრანგი ბასკებისა არაფერი ისმის, ხოლო ესპანელი ბასკები კი განაგრძობენ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის (თუმცა აღნიშნულ მოვლენაზე ისიც ახდენს ზემოქმედებას, რომ საფრანგეთში შედარებით ნაკლები ბასკი ცხოვრობს. 2) სულ ახლახან დემოკრატია მოპოვებულ ესპანეთში არა მარტო ბასკები იბრძვიან ავტონომიისა თუ დამოუკიდებლობისათვის, არამედ გალისიელებიც და კატალონიელებიც, მაშინ, როდესაც საკმაო დემოკრატიული ტრადიციების მქონე საფრანგეთში კორსიკელების, ხოლო დიდ ბრიტანეთში ირლანდიელების გარდა სერიოზულად არცერთი ერი არ იბრძვის სუვერენიტეტისათვის (არადა ინგლისშიც და საფრანგეთშიც საკმაოდ ბევრია ეროვნული უმცირესობები. მხოლოდ როცა აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ-ს დამონებულმა ერებმა აიმაღლეს ხმა, ამ ერებშიც შეიმჩნევა აქტივირება). აღნიშნული გამონაკლისი ალბათ კ. კორსიკისა და ჩრდ. ირლანდიის გარკვეული დაშორებით, შესაბამისად საფრანგეთისა და ბრიტანეთისაგან შეიძლება ავხსნათ, რაც რამდენიმე ათეული წლის წინათაც კი (საუკუნეებზე რომ არაფერი ვთქვათ) გარკვეულად ასუსტებდა კულტურულ ექსპანსიას. 3) დემოკრატიულმა ბრიტანეთის იმპერიამ მიაღწია (მეტწილად კულტურული აგრესიის წყალობით) იმას, რომ დღესდღეობით უელსში მკვიდრი მოსახლეობის მხოლოდ 30% ლაპარაკობს ვალიურად (უელსურად), ხოლო შოტლანდიაში კი შოტლანდიურად სულაც 2%, მაშინ, როცა ტოტალიტარული იმპერიები (თუნდაც იმავე ესპანეთი) ამ შედეგებს ხშირად ვერც კი აღწევდნენ.

ეს და მრავალი სხვა მაგალითები ადასტურებენ იმ დასკვნას, რომ: დღესდღეობით, უმრავლეს შემთხვევაში (მითუმეტეს ევროპაში) ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის დემოკრატიული იმპერია უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს ვიდრე ტოტალიტარული იმპერია.

2. ალბათ ბევრი ადამიანი (სულიერად არცთუ მტკიცე) უარს იტყოდა ნაციონალიზმსა და ტრადიციონალიზმზე ეკონომიკური შედეგების გამოღები რომ იყოს დასავლურ მსოფლმხედველობაზე, რაციონალიზმსა და ინდივიდუალიზმზე, მათი ცხოვრების წესზე გადასვლა. მ. ვებერის გამოკვლევების შემდეგ (განსაკუთრებით მისი წიგნის „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული" გამოცემიდან დაწყებული) დამკვიდრდა ისეთი აზრი, რომ ეფექტური ეკონომიკის შექმნა დამოკიდებულია ერში რაციონალიზმისა და ინდივიდუალიზმის პრინციპების დამკვიდრებასთან (როგორც ცხოვრების წესისა). სწორედ აღნიშნული პიროვნული თვისებების გენერატორი იყო პროტესტანტული რელიგია და ამიტომაც კაპიტალიზმი ყველაზე ინტენსიურად პროტესტანტიზმის მიმდევარ ქვეყნებში (ჰოლანდიაში, ინგლისში, ამერიკისა და გერმანიაში) განვითარდა. ისე, რომ ლიბერალების რეცეპტებით (რომელიც შეიძლება თავისდაუნებურადაც კი გამოსჭვივის მათი განცხადებებიდან, მაგრამ მათ ძირითად ნაწილს კარგად ესმის რისთვის იბრძვის და რას გვთავაზობს) საჭიროა ეროვნული იდეოლოგიის თავიდან მოშორება და დასავლურ ინდივიდუალისტურ-რაციონალისტურ იდეოლოგიაზე გადასვლა. (საგულისხმოა, რომ ეთერში ახლადგასული რუსეთის ტელევიზიის ერთ-ერთი პირველ გადაცემა მსგავსი მოწოდებებით გამოირჩეოდა). მაგრამ ლიბერალები ივიწყებენ, რომ იაპონიამ, სამხრეთ კორეამ (აზიის ზოგიერთმა სხვა სახელმწიფომ) ინდივიდუალისტურ ფსიქოლოგიაზე „გადასვლით" კი არ მიაღწიეს ეკონომიკურ მწვერვალებს, არამედ ტრადიციულ რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებებზე (ძირ. კონფუციანობაზე) დაყრდნობით. ასევე ჩვენც, უნიკალური კულტურისა და ფსიქოლოგიის მქონე ერმა, უმჯობესია საკუთარი ტრადიციული ფილოსოფიიდან, ჩვენი წინაპრების გამოცდილებიდან გამომდინარე ვაშენოთ ქართული სახელმწიფო და ეკონომიკა. ხოლო სხვის იდეოლოგიაზე გადასვლით ჩვენ აუცილებლად აღმოვჩნდებით კუდმაჩანჩალას როლში, მითუმეტეს, რომ ისედაც ბევრი ქვეყანაა ეკონომიკურად ჩვენზე განვითარებული, რომლებისთვისაც აღნიშნული იდეოლოგია მშობლიურია და არა ჩვენსავით მიბაძვით გადმოღებული. მაშასადამე მათ მინდორზე „თამაში" მოვვიწევს და ამიტომ ვერც ეკონომიკურად გავიმართებით და რაც მთავარია ერი თავის სულიერ მისიას დაკარგავს. რომელიც არის „სანქტიფიკაციის, განწმენდის მისია, კაცობრიობის განწმენდისა და ამავე დროს მხილებისა... ისევე როგორც მიქაელ-გიორგის მისსია სულიერი აზროვნების განვითარება, უნივერსალური გველის ანუ დრაკონის დათრგუნვა, მატერიალიზმის დათრგუნვა, უნივერსალური ბოროტების დათრგუნვა და კაცობრიობის ხსნა". (ზ. გამსახურდია „წერილები, ესსეები", გვ. 208). ამ მისსიას დავკარგავთ იმიტომ, რომ შეუძლებელია ერი იყოს ინდივიდუალისტური ფილოსოფიის მატარებელი და ამავე დროს კაცობრიობის განწმენდისა და უნივერსალური ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი. ამის შემდეგ ქართული ნაციონალური იდეოლოგია ველარ იქნება ისეთი როგორიც უნდა იყოს, რამეთუ ქართული ნაციონალიზმი ქართველი ერის გამორჩეულობის იდეას ემყარება.

იმ იდეოლოგიას რომლის კულტივირებასაც ლიბერალები ახდენენ ჩვენში, მივყავართ ქართველებში ეროვნული არასრულფასოვნების კომპლექსის გაჩენამდე. თუ ყოველდღე აღინიშნება ყოველივე დასავლურის პრიმატი ეროვნულზე, თუ ჩვენს მიზნად ცხადდება „ცივილიზირებულ" ქვეყნად საქართველოს გადაქცევა, ბუნებრივია, რომ ქართველ კაცს ჩამოუყალიბდეს აზრი — რახან არაფერი ჩვენი არ ვარგა ე. ი. ჩვენც არ ვარგივართ. რა არის საჭირო „კარგებად" რომ გადავიქცეთ? რასაკვირველია ყოველივე ეროვნულის იგნორირება. აღნიშნული პროცესები გაუცნობიერებლადაც მიმდინარეობს და ადამიანი ვერც კი ხსნის, რატომ იწვევს ყოველივე ქართული მასში უარყოფით ემოციებსა და ზიზღს. ასე ინერგება კოსმოპოლიტიზმი.

ნაპოლეონის, ჰიტლერის და სხვა დამპყრობთა ბედმა, მსოფლიოს კარგად აჩვენა, რომ სამხედრო მეთოდებით შეუძლებელია მსოფლიოს დაპყრობა. ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ კულტურულ აგრესიას, რადგან ეროვნული ცნობიერებადაკარგული ადამიანისათვის სულიერი მოთხოვნილება ხდება ერთიანი მსოფლიოს იდეა (ენერგება რა მას აზრი ამ შემთხვევაში მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ) იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოს გაერთიანების მოსურნენი მასონები არიან, დავასკვნით, რომ კულტურული აგრესიის მთავარ ინიციატორებსაც მასონები წარმოადგენენ. თუ ამ კუთხით გავაანალიზებთ საქართველოში არსებულ სიტუაციას, მივხვდებით რომ მასონებისათვის შეუძლებელია საქართველოში ძალაუფლების ხელში ჩაგდება, მანამ სანამ ხელისუფლებაში ეროვნული ძალები არიან. ამიტომ მასონთა ტაქტიკა შემდეგნაირია: ისინი დირიჟორობას უწევენ ოპოზიციას, რათა ამ უკანასკნელმა ლიბერალიზაციის მოთხოვნები წამოაყენოს, ლიბერალიზაცია (როგორც ეს ზემოთ ვაჩვენებთ) თავის მხრივ გამოიწვევს დასავლურ კულტურის აგრესიის მკვეთრ გაძლიერებას, რასაც მოჰყვება ქართველი ერის გარყვნა, ქართველების გადასვლა დასავლურ ფასეულობებზე, ეროვნული ცნობიერების მოსპობა. ამასთან ერთად მასონები იყენებენ დასავლურ პრესას საქართველოზე და მის ხელისუფლებაზე მცდარი სტერეოტიპების შესაქმნელად (რამაც თავის მხრივ უნდა გაურთულოს ხელისუფლებას მდგომარეობა ქვეყნის შიგნით). ქართული ოპოზიციაც მასზე დაკისრებულ ფუნქციებს კარგად ასრულებს, როცა ეროვნული იდეოლოგიის განადგურებისათვის ბრძოლას დემოკრატიულ რევოლუციად ნათლავს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჩანს: ყოველგვარ იდეოლოგიას გარდა ნაციონალისტურისა, ერის თვითმყოფადობის მოსპობამდე და საბოლოოდ ერის, როგორც სოციალურ ორგანიზმის გაქრობამდე მივყავართ.

P. S. ჩემი სტატია იზოლაციონიზმისაკენ მოწოდებას არ წარმოადგენს. არც იმას ვამბობ (რასაც ალბათ ოპონენტები დამაბრალებენ) ალბანეთად გადავიქცეთ-მეთქი. პირიქით საქართველომ ინტენსიურად უნდა გადმოიღოს დასავლეთიდან მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, მოწინავე ტექნოლოგიები. ეს რასაკვირველია გარკვეულ კულტურულ ზემოქმედებასაც გამოიწვევს. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა შეიქმნას კულტურული ურთიერთობების დარგში, სახელმწიფო კონცეფცია და აუცილებელია საზღვარგარეთთან ყოველგვარი კულტურული კონტაქტების რეგულირება სახელმწიფოს მიერ. ეს რომ მან შეძლოს აუცილებელია ძლიერი სახელმწიფოს არსებობა. მხოლოდ ეს გზა არის გადარჩენის გზა.

კონსტანტინე ჭიჭინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული მუსიკის გაუცხოება

**საქართველოს** ისტორია გარკვეულწილად მოიცავს დამპყრობლებთან. ჩვენი ირის იამაუცხოებლებთან ბრძოლის ისტორიას.

ქართველი ერის თანმიმდევრული გაუცხოების უახლისი ისტორია იწყება საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობითა და მისი ტერიტორიების რუსეთის განაპირა მიწებად გამოცხადების შემდეგ, რაც განახორციელა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა. რუსეთის „ერთმორწმუნე" ქრისტიანულმა იმპერიამ საქართველო დაპყრობისთანავე მსოფლიო რუკაზე წაშალა და რუსეთად გადაქცევა მოუნდომა ყველაფერს ქართულს. ჩვენი ტახტის მემკვიდრეთა ისტორიული გვარეულობა — ბაგრატიონები რუსეთში „გაიწვია", ხოლო ნაწილი იძულებული გახადა უცხოეთში გაქცეულიყო. საკმარისია სოლომონ მეფის ისტორია. თავადაზნაურობის გარკვეული ნაწილი რუსეთის არმიაში მზაკვრულად დააწინაურა. ქართველ გლეხს დააკისრა რუსეთის იმპერიული ზრახვების სასარგებლოდ ბრძოლები: ფრანგებთან, გერმანელებთან, იაპონიასთან, ფინეთთან...

არ შევუდგები „ბოროტების იმპერიის" მიერ წარსულში ქართველთა გარუსების, ქართველთა თანმიმდევრული გაუცხოების სხვადასხვა ხერხების ჩამოთვლას. საკმარისია ვახსენოთ რუსული სკოლების ის დიდი რაოდენობა, რომლებიც დაამკვიდრა ჩვენთან და რაც ამჟამად ქართველი საზოგადოებისათვის ძალზე მტკივნეულია.

მინდა ქართველ საზოგადოებას გავუზიარო მოსაზრება საქართველოს მუსიკალური გაუცხოების შესახებ, რადგან ამ გაუცხოების პროცესი ამჟამადაც სასტიკ დაავადებასავით ემუქრება ქართველი ერის თვითმყობად უნიკალურ მუსიკალურ აზროვნებას. საქართველოში რუსული სკოლების გამრავლებამ, რუსული პროგრამებით სწავლების მეთოდიკამ, განსაკუთრებით მუსიკალურ სკოლებში, მუსიკალური კულტურის კონსერვაცია, გაყინვა მოახდინა. თუმცა გარკვეულ შემთხვევაში რუსული კულტურის პროგრესულ მხარეებთან შემოქმედებითმა ურთიერთობამ დადებითი მომენტებიც მოგვცა. მაგრამ ყოველივე ეს საბოლოოდ რუსულ მოვლენად იქნა აღიარებული. საკმარისია ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების არსებობა. „საბჭოთა" ხომ იგივე რუსულის მონათესავეა, რაც ყველასათვის ცნობილია.

იმპერიამ საქართველოში დაამკვიდრა გაუცხოების ისეთი ფორმები, რომლის მეშვეობით გაუცხოებული ქართველები და გაქართველებული უცხოელები „განმანათლებლების" მისიით მოუვლინა ჩვენს მრავალსაუკუნოვან მუსიკალურ კულტურას.

ქართული მუსიკის გაუცხოების უპირველესი მიზეზი გახდა ის, რომ იმპერიულმა ძალებმა საშუალება არ მოგვცეს იმისა, რომ ქართული ენის გვერდით ქართული მუსიკალური ენის სწავლება სკოლებში დაგვეყენებინა მაღალ დონეზე, გვქონოდა თანმიმდევრულად ქართული მუსიკალური კულტურის სწავლების პროცესი სკოლებში. გაუცხოებულმა ქართველებმა და გაქართველებულმა უცხოელებმა, ბევრმა შინაურმა მავანმაც, უცხოეთის გავლენით ხელი მიჰყვეს ევროპული, ორიენტალური (აზიური) ზანგურ-ამერიკული ჰანგების დამკვიდრებას ქართული ტექსტის გამოყენებით. პრაქტიკაში შემოვიდა ევროპული ჰარმონიის სწავლება. უნდა მოგახსენოთ, რომ მუსიკალური აზროვნების მსოფლიო საშუალებათა შორის გარდა ევროპული ჰარმონიისა, არსებობს ორგინალური, უნიკალური ქართული ჰარმონია. ფაქტია, რომ ქართველ ერს გააჩნია თავისი უნიკალური, მრავალთვისებიანი, მრავალკილოებიანი, პოლიფონიური მრავალხმიანობა ანუ სამი, სამზე მეტ ხმათა ურთიერთშეთანხმება, შეწყობა, რომლებიც ქმნიან აკორდებს: სწორედ აკორდთა ურთიერთქმედების წესებს მუსიკაში (მრავალხმიანობის საშუალებით, პოლიფონიურ თვისებათა გათვალისწინებით) შეისწავლის მუსიკის ჰარმონია. ქართული ჰარმონია ისევე „თვითნაჩენი და თვითნაბადია, როგორც ეს მეტყველება".

იმისათვის, რომ კაცი ნებისმიერ ენაში გაერკვეს, წეროს ან წაიკითხოს, საჭიროა ანბანის ცოდნა. ქართული ანბანის უცოდინარი ვერ გაიგებს ქართული ლიტერატურის ნიმუშებს. მითუმეტეს, როგორ უნდა წეროს ანბანის უცოდინარმა ქართულად? იგივეა მუსიკაშიც. ქართული ჰარმონიის უცოდინარმა როგორ უნდა წეროს ქართული მუსიკა?

რამდენიც არ უნდა დავამკვიდროთ უცხოური მელოდიების ტიპის ადგილობრივ ავტორთა ე. წ. „ორიგინალური" მუსიკა, ის არასდროს არ იქნება ქართული მუსიკა. არ იქნება, რაც არ უნდა ვატრიალოთ ასეთი მუსიკა ქართულ ტექსტებზე. ამგვარი ყაიდის ნაწარმოებები ჩვენში ბევრია როგორც პროფესიონალთა, ასევე დილეტანტ ავტორთა შემოქმედებაში. ასეთი რამ დიდი დოზით გამოჩნდა თბილისურ და ქუთაისურ ევროორიენტალურ ჰანგებში, რომლებიც ევროპული ჰარმონიის თვისებებით აგებული მუსიკაა. ასეთი მუსიკა, დამკვიდრებული ჩვენს ქალაქებში, ჩვენი გაუცხოების მუსიკაა. უცხოთა მუსიკა რაც არ უნდა ვასრულოთ ქართული ინტონაციით, ის მაინც უცხოთა მუსიკაა, ხოლო ქართულ ლექსებზე დამკვიდრებული ნაწარმოებები ჩვენს ქალაქებში ჩვენი გაუცხოების მუსიკაა.

ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველო ისტორიის მთელ მანძილზე ბერძენთა, არაბთა, რომაელთა, თურქთა, სპარსთა, ლეკთა და სხვათა „სანავარდო" ქვეყანა გახლდათ. ყველა დამპყრობელი დაპყრობილთან, ბუნებრივია, თავის ჰანგებს ამკვიდრებდა. ბევრმა დამპყრობელმა, დემოგრაფიულმა დივერსანტმა თავიანთი ჰანგები მოიტანა და დაამკვიდრა თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე. დამპყრობლები დღესაც გვყავს სახეზე, ამჟამად საქართველოს მოქალაქეობის სახით. მით უმეტეს, ორასი წელია ეროვნულის ნაცვლად „უფროსთა ძმათა" და მათ ქართველთა „ძმათა" მეოხებით მუსიკაში ყველაფერს ვსწავლობთ რუსულად. ყველანაირი ევროპული მუსიკალური ნაწარმოები წლების განმავლობაში ჩვენში სრულდებოდა რუსულად. მთელი სასწავლო ლიტერატურა ფუნქციონირებდა რუსულად. ორასი წელია, ნამდვილი ქართული მუსიკალური აზროვნებისათვის საჭირო ვერც სკოლა, ვერც ინსტიტუტი ვერ შევქმენით, რომელიც შეძლებდა ქართული ჰარმონიის, პოლიფონიის, ხალხური მრავალხმიანობის, საგალობელთა სწავლებას, მისი მეცნიერული შესწავლა-განვითარების დამკვიდრებას ჩვენს სინამდვილეში.

ამ წერილის წამკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ თუ ავტორი ყველაფერი უცხოურის წინააღმდეგია, ეს ხომ კარჩაკეტილობააო. საქართველო არასდროს არ ყოფილა კარჩაკეტილი. ქართული კულტურა ყოველთვის იყენებდა და მომავალშიც გამოიყენებს მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევებს ეროვნული კულტურის გასამდიდრებლად და არა გასაუცხოებლად. უცხოური ისე უნდა გამოვიყენოთ, რომ მან ვერაფერი დააკლოს ეროვნულს, გარდა მისი გამდიდრებისა. უცხოური მუსიკის ისეთი პროპაგანდა, რაც ჩვენს სინამდვილეში ხდება, ბოროტებად, ქართველი ერის გაუცხოებად მიმაჩნია. არავინ ამბობს, რომ ჩვენი ენის შემდეგ სხვათა ენები არ ვიცოდეთ, ან ჩვენი მუსიკალური კულტურის გარდა გზა არ მივცეთ უცხო მუსიკას ცივილიზაციის მაღალი დონის შესასწავლად, მაგრამ მთლიანად გადავიდეთ სხვათა მუსიკის ენაზე?!. უცხო ამბავს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს და არა ჩვენი გაუცხოებისათვის მოქმედებდეს. ეს განსაკუთრებით ითქმის ტელევიზიის და რადიოგადაცემებზე, ასევე ჩანაწერებზე და საერთოდ, ცხოვრებაზე, სწავლების პროცესზე, მით უმეტეს.

ჩვენი ეროვნული თვითმყობადი კულტურის სრული აღდგენისათვის, ტრადიციების აღდგენისათვის ეგებ საჭიროც იყოს, რომ გარკვეული დროით საქართველო ნაკრძალად გამოცხადდეს, რათა კარები ჩაეკეტოს ყველა რჯულის გამაუცხოებლებს, როგორც გენეტიკურად, აგრეთვე ტერიტორიულ-დემოგრაფიულად და სხვა მრავალ სფეროში.

საქართველოს ნაკრძალად გამოცხადება მოგვცემს საშუალებას, აღვადგინოთ ყველაფერი საუცხოო, რაც ქართველ ერს დიდი შრომითა და ბრძოლით მოუპოვებია თავისი ისტორიის მანძილზე.

ჩვენ ვიხმარეთ სიტყვა „საუცხოო", რაც ნიშნავს ეროვნულს უცხოელისათვის. ქართველი კაცი ყველა დარგში ქმნიდა საუცხოოს და ამით ცდილობდა ეჩვენებინა თავისი ეროვნული სახე მეზობელი და შორეული ქვეყნებისათვის.

ქართველი ერის მუსიკალური გაუცხოების შესწავლა ღრმა პროფესიონალური ანალიზის გარეშე არ მომხდარა. ჩვენ შეგვეძლო კონკრეტული მაგალითებით გაგვეკრიტიკებინა ყველა უცხოური ყაიდით შექმნილი არაქართული მუსიკალური ნაწარმოები, როგორც პროფესიონალი კომპოზიტორებისა, ასევე დილეტანტი ავტორებისა, მაგრამ შეგნებულად არ ვაკეთებთ ამას იმ მიზეზით, რომ წარსულის ქექვა უსიამოვნების მეტს არაფერს მოგვცემს. მეუცხოვე ავტორებს ვერც დააჯერებ იმას, რომ ისინი არაქართულ საქმიანობას ეწევიან.

მე ზემოთ ვახსენე ტელევიზია და რადიოს მუსიკალური გადაცემები, რომელთა საშუალებით ეთერში უმეტესად ხმოვანებს უცხოთა ნაწარმოებები ან გაუცხოებული ქართველთა მუსიკა. ისმენთ უამრავ ევრო-ამერიკულ მუსიკას, ხოლო სამუზეუმოდ გაისმის დღეში 3-ჯერ ხალხური მუსიკა. საგალობლებმა ჯერ კიდევ ვერ დაიმკვიდრა სათანადო ადგილი. განა საჭირო არაა არსებობდეს ჭეშმარიტი ქართული მუსიკალური ეთერი?! განა ევროპა და ამერიკა თავისას ნაკლებ პროპაგანდას უწევს ეთერში, რომ ჩვენ, დედამიწაზე წერტილის ოდენა ქვეყანამ, ამ ქვეყნების მუსიკას პროპაგანდა არ გავუწიოთ?!.

ქართული ეთერის მსმენელი ხომ ქართველი ხალხია?! შეიძლება მას ასეთი რაოდენობით მიეწოდოს ეთერში ყველაფერი უცხოური?! ტელევიზიის და რადიოს მუშაობაში ამ თვალსაზრისით რადიკალური გარდაქმნებია საჭირო. რადგან ეთერიც კი ჩვენი მუსიკალური გაუცხოების ერთ-ერთი იმპერიული საშუალებაა.

ვაკეთოთ, როგორც ენა-მეტყველებაში, ყველაფერში ქართული; ვაკეთოთ ყველაფერი საქართველოსათვის; ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

**ხერგო ჟვანია,**
**კომპოზიტორი.**

## ხსოვნა



ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ვერაგულად ნასროლმა ტყვიამ ჩააქრო შენი მგზნებარე გული. ერთი წელი გავიდა, რაც საბადურის ქუჩას აღარ ესმის შენი ბუბუნა ხმა.

გვახსოვს, როგორ განიცდიდი სამაჩაბლოდან მოსულ ყოველ ახალ ცნობას, როგორ იკვნეტდი ტუჩებს თვალზე ცრემლმომდგარი.

არც ერთმა შენმა მეგობარმა არ იცოდა შენი სამაჩაბლოში გამგზავრების შესახებ. ჩუმად წახვედი შენი ვაჟკაცური წვლილის შესატანად საქართველოს ბედნიერებისათვის.

ხშირად ვიკრიბებით შენი მეგობრები, მაგრამ ვერა და ვერ შევეგუეთ სიცარიელეს. გვაკლია შენი ბრძნული შეგონებები, მხარზე ხელის მოთათუნება და ლიმილი შენი, თბილი ღიმილი.

**მეგობრები**

# ქართული ფულის სახელისათვის

თავისუფალი ქვეყნის მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტი მისი ეროვნული ვალუტაა. იგი განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების რიტმს და გარკვეულ წილად სოციალურ-პოლიტიკურ კურსს. საქართველოში დრომ მოიტანა იმის აუცილებლობა, რომ ქართველებს ნამდვილად ეროვნული ფული გვქონდეს. ეს პრობლემა მოითხოვს ღრმა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ეთნოფსიქოლოგიურ განხილვას. ამისათვის კი აუცილებელია გავითვალისწინოთ ჩვენი მრავალსაუკუნეობრივი ისტორიის გამოცდილება.

საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურას სულ რამდენიმე გენიოსი ჰყავს და ჩვენ უფლება არა გვაქვს, უარი ვთქვათ მათ შორის ყველაზე დიდზე — შოთა რუსთაველზე. მისი შემოქმედება და პოეზია დღესაც და მომავალშიც უნდა იყოს ქართველი კაცის აზროვნების განმსაზღვრელი, და თუ ჩვენი რესპუბლიკის პრეზიდენტის სამეცნიერო-ლიტერატურული კვლევა, რომელიც ისეთ მაღალ დონეზეა შესრულებული, რომ მას „Honoris Causa" ენიჭება, გამოდის, „ვეფხისტყაოსნიდან" ჩვენ არა გვაქვს უფლება სულმნათი შოთას ნააზრევი უარვყოთ ისეთ ფუძემდებლურ საკითხში, როგორიც ეროვნული ვალუტაა.

შოთას უკვდავ პოემაში ამ საკითხზე უდიდესი მასალაა და მას აუცილებლად უნდა გავუწიოთ ანგარიში. გარდა ზემოთთქმულისა, გასათვალისწინებელია ქართული ისტორიისა და ნუმიზმატიკის მონაცემებიც; ისინი კი ერთმნიშვნელოვნად გვიჩვენებენ, რომ საქართველოში გვქონდა ჩვენი ეროვნული სახელები ვალუტისა, რომელიც დღეს უნდა აღვადგინოთ და დავამკვიდროთ ჩვენს თავისუფალ სამშობლოში.

საქართველოში სხვადასხვა დროს გავრცელებული იყო ფულის სხვადასხვა სახელი. ყველა ის სახელი, რომელიც დღესაა მიღებული, ან ფართოდ არის ცნობილი, ჯერ ერთი, ან უცხოურია — სლავური, ლათინური ან არაბულ-სპარსული, და მეორეც — განეკუთვნებიან ან გვიან ფეოდალურ ეპოქას ან ახალ დროს (აბაზი, შაური, უზალთუნი, მარჩილი, გროში, კაპიკი, მანეთი).

ისტორიულ წყაროებში ჩვენ გვაქვს ფულის რამდენიმე ისეთი სახელი, რომელიც ნამდვილად ქართულია, მაგრამ ამ ეტაპზე არ გამოდგება ეროვნული ვალუტის სახელად, და აი, რატომ: „ფლური" ნიშნავს მხოლოდ ოქროს მონეტას, ხოლო „თეთრი" — ვერცხლის მონეტას. მათი სახელების გამოყენება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ღვთის შეწევნით მოვჭრით მონეტებს ამ ძვირფასი ლითონებისაგან.

ჩვენი აზრით, ეროვნული ფულის სახელები უნდა იყოს: ხურდისა — „დრამა", ქაღალდის კუპიურისა კი — „ლარი". შევეცდებით, დავასაბუთოთ ჩვენი მოსაზრება.

„დრამა" — წარმოდგება ბერძნული დრაქმიდან. ამ სახელწოდებით საქართველოში იჭრებოდა ქართული ვერცხლის სრულნომინალიანი მონეტა, ხოლო XII საუკუნისა 30-იანი წლებიდან ეგრეთ წოდებულ „ვერცხლის კრიზისის პერიოდში" იჭრებოდა იძულებითი კურსის სწორი ჰედვის მონეტები — ეგრეთ წოდებული წვრილი ფული. წვრილი ფულის მნიშვნელობით იგი მრავალჯერაა „ვეფხისტყაოსანში" მოხსენიებული. მაგალითად:

„სამსელ-სამჭმელი მოილეს, ქალაქს ნასყიდი დრამითა".

„უხვად გასცეს საბოძვარი, მარგალიტი ვითა დრამა".

„დალეწეს და წოგი დაწვეს, შეშა დრამად არ გაცვალეს".

„ჩემია მკვიდრი მამული, არ მივცემ არცა დრამასა".

„გასცოხნის, ლუკმა გასტყორცნის, წონა ძლივს ჩანთქის დრამისა".

„ლარი" — ძველქართულად ძვირფასეულობა, განძეულებაა. მისგან წარმოსდგება სიტყვები „სალარო", „მოლარე", ლარს საერთოდ ორგვარს არჩევდნენ:

1. ძვირფასი, ანუ პატიოსანი თვლები. ოქრო-ვერცხლი და მათი ნაკეთობანი (მათ შორის ფულიც);
2. ძვირფასი ქსოვილები — ძვირფასი სტავრა-აბრეშუმი და შალის ქსოვილები, რომლებსაც ძველად ოქროს ექვივალენტური ფასი ჰქონდათ. ორივე მნიშვნელობით იგი მრავალჯერაა დამოწმებული „ვეფხისტყაოსანში". მაგალითად:

„მოილეს, გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია,
ლარსა ხვეტიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია".

„რა შემოვლენ დიდ-ვაჭარნი, მას ნახავენ და ძღვენს ძღვნიან.
უჩვენებენ რაცა ჰქონდეს, სხვაგან ლარსა ვერ გახსნიან".

„მე თუმცა რაცა მინდოდა საჭურჭლე დასადებელი,
ჩემიცა მქონდა ურიცხვი, უსახო ლარ-საგებელი".

„დილასა ლარი ყველაი უჩვენა გაახსნევინა".

„დია ვლეწეთ ქარავანი, ლარი ჩვენსკენ გარდმოვდევით".

აგრეთვე უნდა ავღნიშნოთ, რომ „ლარი" ადვილად გამოითქმის და ასევე ადვილად აღიქმება უცხო ყურისაგან. მსოფლიო მიჩვეულია მსგავსი ჟღერადობის ვალუტებს: „დოლარი", „ლირა", „ლევი", „ლიტი", „ლატი", იგივე შეიძლება ითქვას „დრამაზეც".

ყოველივე ზემოთთქმულის გარდა, გასათვალისწინებელია ეკონომიკური ფაქტორებიც. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ეროვნულ ვალუტას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც მას რეალური მსყიდველობითი უნარი აქვს: ეს მიიღწევა ორი გზით — ესენია: ეროვნულ ეკონომიკას შესაძლებლობა აქვს უზრუნველყოს ბაზარი საქონლით იმ დონეზე, რომ სახელფასო ფონდი სავაჭრო ქსელის მეშვეობით უკან დაუბრუნდეს სახელმწიფოს. ეს პირველი გზა ჩვენი ეროვნული ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობის გამო ნაკლებად რეალურია. რჩება მეორე გზა — ოქროს პარიტეტი. ეს გზა გულისხმობს, რომ ქაღალდის კუპიურას და ოქროს მონეტას ერთი ფასი აქვს და არჩევის დროს მოქალაქე ქაღალდის კუპიურას ირჩევს — ტრანსპორტირების უპირატესობის გამო. ოქროს პარიტეტის დიდი უპირატესობა ისიცაა, რომ თუ ფული ოქროთია გამაგრებული, მთელი მსოფლიო დაინტერესებული იქნება თავისი საქონელი საქართველოში გაასაღოს, იგი ამით სუფთა ოქროს იგებს. საქართველოს კი, სრული პასუხისმგებლობით, როგორც სპეციალისტმა, შემიძლია, განვაცხადო, ძალუძს უზრუნველყოს ეროვნული ვალუტის უინფლაციო ემისია-უზრუნველყოფა.

ახლა ვეცდებით, დავასაბუთოთ ოქროს პარიტეტის უპირატესობანი; თუ საწყისად ავიღებთ საბჭოთა მანეთის ინფლაციამდელი ათვლის სისტემას, რომელშიც რეალური ფული ათი მანეთი იყო — „...обеспечиваются золотом, драгоценными активами государственного банка".

ჩვენ უნდა მივაღწიოთ, რომ I ლარი უდრიდეს 10 მანეთს — ე. ი. თუ დღეს საშუალო ხელფასი უდრის საქართველოში 280 მანეთს, ოქროს პარიტეტზე გადაანგარიშებით საშუალო ხელფასი მოქალაქისა ჩვენს რესპუბლიკაში უნდა უდრიდეს 840 ლარს, სამჯერ მეტს ვიდრე საბჭოთა ხელფასი.

დღევანდელი კურსით ეს 8400 მანეთია, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ქართველმა ოჯახმა ნორმალურად იარსებოს, თუნდაც ერთი პირის მუშაობის პირობებში.

ჩვენს სხვა ფინანსურ-ეკონომიკურ დასაბუთებებს დაინტერესებული მკითხველი გაეცნობა გაზეთ „ქართველ ერში".

**გიორგი მახარაძე**
**ლერი კუჭუხიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სარედაქციო ფოსტის მიმოხილვა

# „ჩემი მოსაუბრე გაზეთია...“

**უკანასკნელ** ხანს ერის აფორიაქებული ცხოვრების ერთგვარ პარამეტრად იქცა ჩვენი სარედაქციო ფოსტაც: პოლიტიკური ვნებათაღელვანი, სოციალური სიდუხჭირე, ეთნოკონფლიქტები... და რაც ყველაზე გამოკვეთილია, ემოციები, ემოციები, ემოციები! მართალია ემოციურობა და ექსპრესიულობა ყოველთვის ახასიათებდა ქართველობას, მაგრამ ახლანდელ ემოციებს, სამწუხაროდ, სხვა შტრიხიც დაერთო — კატეგორიულობისა და საკუთარი აზრის უცილობელ ჭეშმარიტებად გამოცხადებისა. რედაქციაში ბევრი წერილი მოგვდის ამგვარი „ჭეშმარიტებების“ მტკიცებით, ზოგი მათგანი გაზეთსა და ჟურნალისტებს ბრალდებებს უყენებს, ზოგი, პირიქით, მადლობას უხდის და ა. შ. აკი გითხარით, ფოსტაც ჩვენი აფორიაქებული მდგომარეობის გამომხატველია და ამ ფონზე ერთგვარ სულის მოთქმას ჰგავს ხოლმე წერილები, რომლებშიც მარადიულ ღირებულებებზე; სიკეთეზე, სიყვარულზე, სილამაზეზე, სათნოებასა და გულმოწყალებაზეა საუბარი.

„53 წლის ქალი ვარ. სამი შვილი მყავს. უფრო პოეტი ვარ, ვიდრე პოლიტიკოსი. მაგრამ ახლა რა დროს პოეზიაა, ღმერთმა იცის, რა ხდება... საზოგადოების დიდი ნაწილი დაჩლუნგებულია. ჭინჭები ციებ-ცხელებაა. მეზობელი ქალი, სამი პატარას დედა შაქრის სასესხებლად მოვიდა ჩემთან. გავატანე და არ დამიბრუნო-თქო, ვუთხარი. გაშტერდა, მერე, შენო? ცოტა კიდევ მაქვს და ღმერთია მოწყალე-მეთქი...

... როცა რაიმეს ვამტკიცებ, მინდა ღრმად ჩავწვდე მოვლენებს და ჩემი მოსაუბრეც ჩავახედო მათს სიღრმეში. ეს კი იშვიათად ხერხდება... ისეთი მოსაუბრეც შემხვედრია, ჩემს ჩაქოლვასაც არ მოერიდებოდა, რომ შეიძლებოდეს.

რაშია საქმე? ვფიქრობ და რა ვთქვა, არც ვიცი. ამპარტავნება, ქართული ამპარტავნებაა ჩვენი დამღუპველი სენი. რა დროს დიდგულობაა, რა დროს ამბიციები და ამპარტავნებაა, შიმშილი მოგვადგა კარს“. — ეს სტრიქონები ქუთაისელი ქალბატონის გალინა ღლონტი-მუსელიანის წერილიდან ამოვიღეთ. ამ წერილში იგი კონკრეტულ პიროვნებებზეც გვწერს თავის აზრს, მაგრამ ჩავთვალეთ, რომ ზემოთმოყვანილი სტრიქონები უფრო დამაფიქრებელი და გასაზიარებელია.

ახლა მეორე მანდილოსნის — ლიმარი რუაძის წერილსაც გაგაცნობთ, რომელიც გურჯაანიდან მივიღეთ: „თქვენს გაზეთში წავიკითხე წერილი „თვითგასამართლება“. ვიცი, უამრავი გამოხმაურება ექნება ამ წერილს. ისიც ვიცი, შემოსული წერილებიდან ყველას არ დაბეჭდავთ. ალბათ, ასეთი ბედი იწევა ჩემს წერილსაც. მიაგდებთ სადმე და იტყვით: გაბოროტებული, ფსიქოზში ჩავარდნილი ადამიანის დაწერილიაო. მაგრამ ვიცი, ზემოთხსენებული წერილის ავტორი მაინც წაიკითხავს.

1991 წლის 25 მაისის ღამეს, სახლიდან 30-40 მეტრის დაშორებით სიცოცხლეს გამოასალმეს ჩემი შვილი კობა რუაძე, 23 წლისა, ორი ვაჟიშვილის მამა. მოკლა არაკაცმა, ჯალათმა, სულ არაფრის გულისათვის...

ამ საშინელმა შემთხვევამ შესძრა რაიონი, მოსახლეობამ გადაკეტა კახეთის გზა. თელავი-თბილისის მთავარი მაგისტრალი, მოითხოვდნენ მკვლელის საჯაროდ დასჯას. თვითგასამართლებას, როგორც თქვენ აღნიშნავთ... თბილისიდან ჩამოვიდნენ უზენაესი საბჭოს წარმომადგენლები (აქ ავტორი კონკრეტულ პიროვნებებს ასახელებს, რომელთა გვარებსაც ჩვენ შეგნებულად გამოვტოვებთ, რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად...) და პირობა მომცეს, რომ გამოძიებას წარმართავდნენ ობიექტურად... მაგრამ დავრჩი მოტყუებული, მკვლელი დღესაც დაუსჯელია.

ქალბატონო მაია (წერილის ავტორი იყო მაია თუნგია), თქვენ წერთ, რომ მკვლელისადმი ზნეობრივი გაკიცხვის ატმოსფერო უნდა შეიქმნას, მაგრამ ეს ფიზიკურ ანგარიშსწორებაში არ უნდა გადაიზარდოსო. გეთანხმებით, მაგრამ დღეს, როცა ქართველი საზოგადოება ერთმანეთს აღარ ვინდობთ, რომელ ზნეობაზეა ლაპარაკი?! ქართველი რომ ქართველზე ხელს აღმართავს, ის დანდობის ღირსია?! კანონს ვაცალოთ? ვაცალოთ მანამ, სანამ ზევით ბიძები გამოუჩნდებათ, საქმეებს ჩააწყობენ და ორი-სამი წლის შემდეგ ახალ დანაშაულს ჩაიდენენ? ამიტომ, ჩემი აზრია, ფესვიანად ამოიძირკვონ უდანაშაულო ადამიანის მკვლელები“.

რით შეიძლება ვანუგეშოთ დამწუხრებული დედა, დაქვრივებული ახალგაზრდა მეუღლე და ორი პატარა ობოლი? ღმერთი მოწყალეა. იგია მწუხარეთა, ობოლთა და გაჭირვებულთა ქომაგი, ცოდვებისათვის ის ყველას გვიმზადებს მკაცრ სამსჯავროს, რომლიდანაც თავის დახსნა არავის ძალუძს... მაგრამ, ვფიქრობთ, ქალბატონ ლიმარისთვის ეს სიტყვები მცირე ნუგეშია. ღმერთის სამსჯავროსი ხომ ჩვენს საზოგადოებაში, სამწუხაროდ, თითქმის არავის სჯერა და პირველ რიგში მკვლელს, უდიდეს ცოდვილს ცოდვილთა შორის...

ლიმარი რუაძის წერილს იუსტიციის სამინისტროს გავუგზავნით იმ იმედით, რომ ამ საქმეს კონტროლზე აიყვანენ. ასევე იუსტიციის სამინისტროს გავუგზავნით 15 წლის პატიმრის წერილსაც, რომლის გვარ-სახელის გაზეთში გამოცხადებისაგანაც თავს ვიკავებთ. ეგება ეს ყმაწვილი მართლაც არ არის მკვლელი, რასაც თავის წერილში გვიმტკიცებს. იგი სიბრალულით იხსენებს მოკლულს და გვწერს, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლებ, რათა დავამტკიცო, რომ მკვლელი არა ვარო... როგორც ჩანს, სასჯელზე მეტად მას „მკვლელის“ სახელი აკრთობს (ღმერთმა ქნას, მართლაც არ იყოს მკვლელი...) და სწორედ ესაა ამ წერილში სანუგეშო და ნათელი, თუკი შეიძლება რაიმე ნათელი ერიოს ამ მწუხარე ამბავში.

მკითხველი, ალბათ, გაოცებულია, სარედაქციო ფოსტის მიმოხილვა ამგვარი წერილებით რომ დავიწყეთ. ჩვენს საზოგადოებაში ხომ ახლა ყველა საუბარი პოლიტიკით იწყება. უნდა გითხრათ, რომ ჩვენთანაც მრავლადაა პოლიტიკური შეურიგებლობით გაჟღენთილი წერილები, რომელთა პოზიციასაც ზოგჯერ (და უმეტესად!) არც ემთხვევა ჩვენი სუბიექტური აზრი, ჩვენი პოლიტიკური შეხედულებები, მაგრამ მიუკერძოებლობის მიზეზით მაინც ვბეჭდავთ ხოლმე. მიუკერძოებლობა ერთია (ახლა ამას დაემატა პრესის კანონიც!) და მეორეა ის შედეგი, რაც ამდაგვარ წერილებს მოჰყვება ხოლმე. ამდაგვარ წერილებს კი, გულწრფელად უნდა გითხრათ, სასიამოვნო არაფერი მოჰყვება ხოლმე. ამას ბატონ გოგი ჭინჭარაულის გასაგონად ვამბობთ, რომელიც გვწერს, რომ დაბეჭდეთ ოფიციალური აზრისაგან განსხვავებული წერილებიც, რისა გეშინიათ, რატომ გგონიათ, რომ ასეთ წერილებში გამოთქმულ მოსაზრებებს მკითხველი უკრიტიკოდ, „გაუჩხრეკავად“ იღებსო?!

ჩვენ ვცდილობდით და კვლავაც შევეცდებით დავბეჭდოთ ისეთი წერილები, რომლებშიც განსხვავებული აზრი კონსტრუქციულად და, რაც მთავარია, კორექტულადაა გამოთქმული, რომელთა ავტორებიც თავიანთ ოპონენტებს შეურაცხყოფას არ აყენებენ და რომელნიც, ბოლოს და ბოლოს, თავიანთი აზრით თუ სიტყვით მცირედით მაინც ეხმარებიან ჩვენი სამშობლოს წინსვლას.

ეროვნული საგადასახადო სისტემის შესახებ გვიზიარებს თავის აზრს ბატონი ტარიელ თავხელიძე, ზესტაფონის რაიონის საგადასახადო ინსპექციის მთავარი ინსპექტორ-რევიზორი. მისი აზრით, საგადასახადო სისტემა მეტ გამართვას საჭიროებს: „ამჟამად მოქმედებს გადასახდელების შემდეგი სახეობანი: მოგების, აქციზის, შრომის ანაზღაურებაზე მიმართული სახსრების ნაჭარბის, ბრუნვის, ეკონომიკის სტაბილიზაციის ფონდის, ბუნებრივი რესურსების, ხელფასიდან საშემოსავლო და მარტოხელობის. ამას ემატება გზების შენახვის, სოციალური დაზღვევის ანარიცხების, საპენსიო ფონდის, უმუშევართა ფონდის გადასახდელებიც. ყველა ზემოთ დასახელებული გადასახადი უნდა გაერთიანდეს რეალიზაციიდან გადასახდში და შემდეგ მისი განაწილება მოხდეს ცენტრალიზებული წესით.

რეალიზაციიდან გადასახადის განაკვეთის დადგენა გამორიცხავს შემოწმების ყოველგვარ სირთულეს. ყურადღება უნდა გამახვილდეს მხოლოდ რეალიზაციის სისწორეზე და თუ მწარმოებელი სწორად არ აღრიცხავს დანახარჯებს, ანალიზს არ უკეთებს ამონაგებისა და დანახარჯების ურთიერთშესაბამისობას, გაკოტრების საკითხის წინაშე აღმოჩნდება. შესაბამისად გამოირიცხება მიწერები, მკვდარი სულები, შრომის ანაზღაურების ზღვრული დონე და ნედლეულის შეძენისა თუ ფასთა სისწორის დადგენა“.

ავტორი თავისი რაიონის კონკრეტულ მაგალითებზე გვთავაზობს ზოგიერთ გაანგარიშებას და წინადადებას აყენებს, რომ გაათანაბრდეს ფქვილისა და გამომცხვარი პურის ფასები.

იმედია, ეკონომისტები იმსჯელებენ ჩვენი საზოგადოებისათვის ამ სასიცოცხლო საკითხებზე, რადგანაც ზოგადი პროგნოზის მიხედვით შიმშილიანი ზამთარი გველის და სწორედ ახლაა საჭირო ჩვენი სპეციალისტების (მიუხედავად მათი რანგისა თუ წოდებისა) ძალისხმევა, ნიჭი და უნარი, რათა საბჭოთა წყობილებისაგან გაპარტახებულ ეკონომიკას რაიმე ეშველოს.

სხვათაშორის, სწორედ სპეციალისტებზე, მათი მომზადების, უფრო კონკრეტულად კი ფასიანი სწავლების საკითხებზე გვწერს შორაპნის საკრებულოს გამგებელი ბატონი რაჟდენ წერეთელი: „საუბედუროდ, არავინ და არასოდეს არ ითვლის იმას, თუ საქართველოს რამდენი რა სპეციალისტი სჭირდება. სავალდებულო სწავლამ ანუ „დიპლომების ზეიმმა“ ჩვენ დღეს დიდი გაჭირვების წინაშე დაგვაყენა. თვითმარქვია „განათლებულებმა“ საქმე ისე წაიყვანეს, დღეს მმართველობაში სერიოზული, კვალიფიციური კადრი არ არის. ამიტომაა ჩვენთან ყველაფერში დაბალი დონე და ხარისხი.

ამდენი ფასიანი სასწავლებლების გახსნა მე მაგონებს იმ დროს, როცა ფულის მოპოვების მიზნით საამქროებს ხსნიდნენ ანდა დღეს კომერციულ მაღაზიებს რომ ხსნიან“...

ჩვენი ცხოვრების დაბალი დონის მხოლოდ სპეციალისტებისათვის გადაბრალება ალბათ, არც თუ მთლად მართებულია, რადგანაც სწორედ საბჭოური სახელმწიფოს სტრუქტურებიდან გამომდინარე გვყავს დღეს დაბალკვალიფიციური სპეციალისტებიცა და გვაქვს ცხოვრების დაბალი დონეც. ფასიანი სასწავლებლების გახსნის ეს ჩვენებური აჟიოტაჟი კი, კომერციული მაღაზიების გახსნისა თუ საკუთარი ხარჯით წიგნების გამოცემისა არ იყოს (ამ საკითხებზეც გვწერენ მკითხველები), მომავალში ალბათ საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურების შესაბამისად დარეგულირდება. როგორც იტყვიან, დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. ვფიქრობთ, მომავალში განელდება „დიპლომების ციებ-ცხელება“, რადგანაც პროფესიონალიზმი დიპლომით კი არა, ცოდნით და ნიჭით გაიზომება. ჯერჯერობით კი ჩვენი საზოგადოება ხარბადაა დაწაფებული ამ ახალ მოვლენებს და როცა წყურვილს მოიკლავს, კარგის და ავის, დროებითისა და მარადიულის გარჩევასაც ისწავლის. ღმერთმა ქნას, რომ ეს მალე მოხდეს და ამასობაში მამაპაპათაგან გადმოცემული ნიჭი და სიბრძნე არ დავკარგოთ...

ერის ერთი ასეთი უკვდავი ნიჭია ქართული ხალხური სიმღერა. და სწორედ ქობულეთის სამუსიკო სკოლის შესახებ გვწერს ბატონი ოთარ ფირცხალავა. ამ სკოლას არსებობის 20 წელი შესრულებია და მის პედაგოგთა ვოკალურ ჯგუფსა და მოწაფეთა ხალხურ საკრავთა ორკესტრს აჭარაში დიდი პოპულარობაც ჰქონია. როგორც წერილის ავტორი გვწერს, ეს სკოლა ქართული ხალხური მუსიკის დიდი პროპაგანდისტია.

და ბოლოს, დიდი გალაკტიონის იუბილე, რომელიც წელს, რატომღაც, ძალზე მოკრძალებულად აღინიშნა (თუმცა ამით პოეტის უკვდავებას არაფერი დააკლდება). როგორც საჩხერელი ინგა მაჭარაშვილი გვწერს, ჯერ კიდევ ჭაბუკ გალაკტიონს თავის დღიურში ჩაუწერია: მშვენიერი ცხოვრება მე ოცნებაში განვიცადე... და რაც ოცნებაში განმიცდია მთელი არსებით, სინამდვილეში მას ექნება რაიმე ფასი?“ ამიტომაც უწოდა სიმონ ჩიქოვანმა „ქართული პოეზიის ამირანი“. კარგახანს, ალბათ, ვერავინ გაბედავს ამირანთან შეჭიდებას...

ჩვენო მკითხველო! მართალია, დღეს ძნელი, მძიმე ცხოვრება გვაქვს, მაგრამ ქართველი ერი უარესი მძიმე დღეებსაც ვერ გაუტეხია. ახლა გვჭირდება სულიერი სიმხნევეცა და სიდარბაისლეც, რათა უკეთესი მომავალი გვქონდეს. გაზეთი ყოველივე სიკეთეს გისურვებთ. ღმერთმა კეთილი ახალი წელი და შობა დაგაბედოთ!

**წერილების განყოფილება**

---

### ხუთი წლის ნამუშევარს შეაფასებს სპონსორი „ივერია-90“

უკანასკნელ წლებში საჭადრაკო კომპოზიციის განვითარებამ საქართველოში ახალ ეტაპს მიაღწია. სწორედ ამიტომ მრავალდარგობრივმა ფირმა „ივერია-90“-მა გადაწყვიტა სპონსორობა გაუწიოს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან არსებულ საჭადრაკო კომპოზიციის კომისიას. ფირმა კომისიასთან ერთად აცხადებს კონკურსს 1987–91 წლებში გამოქვეყნებული საქართველოს საჭადრაკო კომპოზიტორების საუკეთესო ნაწარმოებების გამოსავლენად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს მცხოვრებ ყველა საჭადრაკო კომპოზიტორს, რომლებმაც ამ წლის 31 დეკემბრამდე უნდა გამოგზავნონ არა უმეტეს 10 ნაწარმოებისა შემდეგ მისამართზე: 380054, თბილისი-54, ქუთაისის შესახვევი № 9, ე. კვეზერელი.

კონკურსის ჟიური: ა. გაბრიჩიძე (მსაჯი-ორგანიზატორი), ე. კვეზერელი (ორივე — თბილისი) და რ. მარცვალაშვილი (დუშეთი).

კონკურსის საორგანიზაციო და საპრიზო ხარჯებს გაიღებს ფირმა „ივერია-90“, რომლის ძირითადი საქმიანობა მამაკაცის ფეხსაცმლის წარმოებაა. შეგახსენებთ, რომ ფირმა სპონსორობას უწევს რაგბის კლუბ „ივერიასაც“.

---

**გამოვიჩინოთ გულისხმიერება**

11 წლის დავით ლევანის ძე ქაფიანიძე უკვე ათი წელია ქრონიკული ინტერსტიციული ნეფრიტისგან მკურნალობს. უკანასკნელი 4 წლის მანძილზე დაავადებამ პროგრესირება განიცადა და თირკმლის ქრონიკული უკმარისობა ჩამოუყალიბდა. ავადმყოფს სასწრაფოდ ესაჭიროება მკურნალობის გაგრძელება გერმანიის რესპუბლიკაში, რისთვისაც მოგმართავთ ყველას დახმარებისათვის.

ბავშვზე გახსნილია ანგარიში — საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის რესპუბლიკურ ბანკში № 904400414 მფო 8052-27. ანუ საგარეო ეკონომიკური ბანკის საქართველოს რესპუბლიკის ბანკში — საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი ან. № 704000317.

გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შეძლებისდაგვარად დაეხმაროთ დათო ქაფიანიძეს.

წინასწარ გიხდით მადლობას.

**თბილისის ბავშვთა V კლინიკური საავადმყოფო.**

---

**ყურადღება!**

კარსმომდგარ ზამთარში ჩვენი გაჭირვებული თანამოძმეები თქვენგან ელიან თბილ სამოსსა და ფეხსაცმელს, რომელთა გამოყენება ჯერ კიდევ შესაძლებელია. თუ ამგვარი ნივთები შემოგრჩათ; გელით სათნოების სახლში — დავით აღმაშენებლის 121, ყოფილი კომპარტიის დიდუბის რაიკომის შენობა. შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებით:

95-17-67,

95-43-32.

ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“.

---

**თბილისის ეკონომიკისა და პედაგოგიკის ინსტიტუტი**

აცხადებს 1991-1992 სასწავლო წლისათვის აბიტურიენტთა საბუთების მიღებას დღის სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. წარმოებისა და კომერციული საქმიანობის მენეჯერი (ქართული და რუსული სექტორები);
2. ქართული ენა და ლიტერატურა;
3. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა;
4. გეოგრაფია-ბიოლოგია.

აბიტურიენტები ინსტიტუტში ჩაირიცხებიან გასაუბრების შედეგად. გასაუბრება ჩატარდება შემდეგ საგნებში: 1. წარმოებისა და კომერციული საქმიანობის მენეჯერის სპეციალობაზე — მათემატიკა; ქართული ენა და ლიტერატურა. 2. ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — ქართული ენა და ლიტერატურა; საქართველოს ისტორია; 3. დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობაზე — ქართული ენა და ლიტერატურა; მათემატიკა; 4. გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობაზე — გეოგრაფია; ქართული ენა და ლიტერატურა.

ინსტიტუტში სწავლება ფასიანია. პირველი კურსის სწავლების საფასური შეადგენს 7000 მანეთს — კერძო პირთათვის და 8000 მანეთს ორგანიზაციებისათვის. სხვა კურსების საფასური განისაზღვრება ფულის კურსის ცვლილების მიხედვით. თანხის გადახდა შეიძლება როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდი ანგარიშსწორებით.

ინსტიტუტში შემსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების მოწმობა; 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086); 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან; 4. ფოტოსურათი 6 ცალი (ზომა 3X4); 5. პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა (პირადად).

საბუთების შემოტანისას აბიტურიენტი იხდის 100 მანეთს გასაუბრების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად.

საბუთების მიღება წარმოებს 31 დეკემბრამდე ყოველდღე (გარდა კვირისა) 13 საათიდან 15 საათამდე, შემდეგ მისამართზე:

თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი № [illegible] (მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტი“). ტელ. 37-28-22, 37-[illegible]-30.

**რექტორატი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მესხეთის ბედი 1918-21 წლების დამოუკიდებელ საქართველოში

1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. ქართველი ერის საუკუნეობრივმა ბრძოლამ რუსეთის იმპერიასთან ლოგიკური დაგვირგვინება ჰპოვა ამ აქტში. ის მრავალრიცხოვანი მსხვერპლი, რომელიც გაღებულ იქნა ამ ბრძოლაში, ავალდებულებდა ყველა ქართველს, ღირსეულად მოეხადა ვალი სამშობლოს წინაშე. პირველი მსოფლიო ომი, რომელიც იმ წელს მძვინვარებდა, უშუალოდ ეხებოდა საქართველოს ბედს, რადგან იგი იყო ყოფილი კოლონია იმ იმპერიისა, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო ომში იყო ჩაბმული ოტომანთა იმპერიასთან. რუსეთის იმპერიამ ჯერ კიდევ 1828 წლის თურქეთთან ომის შედეგად მიიერთა უძველესი ქართული მიწები: სამცხე, ჯავახეთი და ერუშეთი, ხოლო 1878 წელს რუსეთმა თურქეთს წაართვა აჭარა, შავშეთი და ტაო-კლარჯეთი. რუსეთის იმპერიამ ეს უძველესი ქართული მიწები შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაჰყო: თბილისის გუბერნიას მიაკუთვნა ახალციხის მაზრა (სამცხე) და ახალქალაქის მაზრა (ჯავახეთი). ცალკე გააერთიანა ბათუმის ოლქში (აჭარა და შავშეთი) და ყარსის ოლქში (ტაო-კლარჯეთი). რუსეთის იმპერიამ XIX საუკუნის განმავლობაში ცეცხლითა და მახვილით სდევნა მესხეთის მკვიდრი ქართველობა და ბევრი მათგანი განდევნა ოსმალეთში. პირველი ასეთი განდევნა 1828 წელს მოხდა ჯავახეთში, საიდანაც 40 ათასზე მეტი ქართველი აიძულეს, მიეტოვებინათ სამშობლო. 1878 წელს 50 ათასზე მეტი ქართველი იქნა განდევნილი ტაო-კლარჯეთიდან. მათ სამკვიდრებელზე რუსეთის იმპერიის სატრაპებმა ოსმალეთიდან დევნილი სომეხი ლტოლვილები დაამკვიდრეს. მიუხედავად ამისა, რუსეთის იმპერიაში პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით ახალციხის მაზრაში 72 ათასი მცხოვრებიდან ქართველი იყო 66 ათასი, ახალქალაქის მაზრაში 100 ათასი მცხოვრებიდან ქართველი იყო 22 ათასი, ბათუმის ოლქში 82 ათასი მცხოვრებიდან ქართველი იყო 74 ათასი, ფოცხოვის უბანში 15 ათასივე მცხოვრები ქართველი იყო, ართვინის ოლქში 61 ათასი მცხოვრებიდან ქართველი იყო 56 ათასი, არტაანის ოლქში 56 ათასი მცხოვრებიდან ქართველი იყო 15 ათასი, ოლთისის ოლქში 32 ათასი მცხოვრებიდან ქართველი იყო 20 ათასი. სულ რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ უძველეს ქართულ მხარეში — მესხეთში სახლობდა 420 ათასამდე მცხოვრები, რომელთა 64 % ანუ 270 ათასს შეადგენდა მკვიდრი ქართული მოსახლეობა.

რუსეთის იმპერიის მსხვრევა, რომელიც 1917 წლის თებერვლიდან დაიწყო, ლოგიკურად განვითარდა. მან მოძრაობაში მოიყვანა ამ უკიდეგანო ქვეყნის ერები. პეტროგრადში 1917 წლის 2 მარტს შეიქმნა დროებითი მთავრობა. გ. ე. ლვოვის თავმჯდომარეობით. 9 მარტს დროებითმა მთავრობამ IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებისაგან ჩამოაყალიბა განსაკუთრებული ამიერკავკასიის კომიტეტი, ანუ „ოზაკომი", რომელსაც ევალებოდა ამიერკავკასიის მართვა. მისი თავმჯდომარე იყო კადეტი ბ. ხარლამოვი, წევრები იყვნენ: სოციალ-დემოკრატი ა. ჩხენკელი, სოციალისტ-ფედერალისტი კ. აბაშიძე, კადეტი მ. პაპაჯანოვი, მუსავატისტი მ. ჯაფაროვი.

რუსული დემოკრატია აღმოჩნდა სუსტი და 1917 წლის 25 ოქტომბერს იფეთქა ბოლშევიკურმა შეიარაღებულმა პუტჩმა, მის საპასუხოდ 1917 წლის 28 ნოემბერს ამიერკავკასიაში შეიქმნა კომისარიატი ევგენი გეგეჭკორის ხელმძღვანელობით, რომელიც არ ცნობდა ვლადიმერ ულიანოვ-ლენინის სახკომსაბჭოს. ამიერკავკასიის კომისარიატის პოზიციამ ბოლშევიკთა გააფთრება გამოიწვია; ამას თან დაერთო ამიერკავკასიის ადმინისტრაციის სრული მოშლა, რუსეთის არმია მარცხს განიცდიდა კავკასიის ფრონტზე, რასაც დიდად უწყობდა ხელს ბოლშევიკთა პროპაგანდა-აგიტაცია ჯარისკაცთა მასებში. ამის შედეგად, გახრწნილი არმია, რომელიც უმეტესწილად სლავური წარმოშობის ოფიცრებით და ჯარისკაცებით იყო დაკომპლექტებული, არავითარ ინტერესს აღარ იჩენდა კავკასიის დაცვაში, რითაც აქტიურად სარგებლობდა ოსმალეთი და ზედიზედ იკავებდა ამიერკავკასიის ტერიტორიებს. აღსანიშნავია ის, რომ ოსმალეთმა ჯერ კიდევ 1916 წლის 1 ნოემბერს გააუქმა პარიზის 1856 წლის და ბერლინის 1878 წლის ხელშეკრულებანი, რაც ფაქტიურად საქართველოსთვის ნიშნავდა მესხეთის დაკარგვას, რასაც იგი ვერ შეეგუებოდა.

1917 წლის 18 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა ოსმალეთთან დადო დროებითი ზავი. მაგრამ ოსმალეთი გრძნობდა რა საკუთარ უპირატესობას სამხედრო ძალაში, სურდა უფრო მეტი, ვიდრე ამ ზავით მიიღო. იგი შეეცადა ამიერკავკასიის სეიმი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაში ჩაეთრია და 1918 წლის 12 თებერვალს დაარღვია ზავი და შეტევაზე გადმოვიდა. ამიერკავკასიის სეიმმა ოსმალეთთან მოსალაპარაკებლად დანიშნა დელეგაცია აკაკი ჩხენკელის ხელმძღვანელობით. მაგრამ ამიერკავკასიის დელეგაციის მოლაპარაკება ოსმალეთთან უშედეგოდ დამთავრდა, რადგან თვით ქართველებს, სომხებს და აზერბაიჯანელებს შორის არ იყო თანხმობა. თუ ქართველები და სომხები ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდნენ ოსმალეთის ექსპანსიას კავკასიაში, აზერბაიჯანელები პრაქტიკულად ხელს უწყობდნენ ოსმალეთის პოზიციების განმტკიცებას. ამას თან დაერთო ის, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ბრესტ-ლიტოვსკის ზავით 1918 წლის მარტში პრაქტიკულად ცნო ოსმალეთის ჰეგემონია ამიერკავკასიაში. ყოველმხრივ შევიწროებულმა ამიერკავკასიის სეიმმა გერმანიის წინადადებით 22 აპრილს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მაგრამ ინტერესთა სხვაობა, რომელიც იყო ამიერკავკასიის ლიდერთა შორის, გამორიცხავდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის ხანგრძლივ არსებობას, ოსმალეთის ჯარები არ წყვეტდნენ იერიშებს, საჭირო და აუცილებელი გახდა ქართველ ერს დამოუკიდებლად გადაეწყვიტა ძირძველი ქართული მხარის, მესხეთის ბედი.

და მოხდა ჭეშმარიტად დიდი სასწაული, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, რომელნიც კატეგორიულად უარყოფდნენ ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას, როგორც „ნაციონალისტურს", თვით გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 1918 წლის 26 მაისს.

ძალების უკიდურესი დაძაბვით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე რამიშვილმა ბათუმში 1918 წლის 4 ივნისს ოსმალეთთან დადო „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება", რომლითაც მან შეაჩერა ოსმალეთის შემდგომი ექსპანსია საქართველოს სიღრმეში, თუმც მთელი მესხეთი აწყურისა და აბასთუმნის გამოკლებით, ოსმალეთს დარჩა. 1918 წლის 13 ივნისს, საქართველოს მთავრობის მოწვევით, გერმანიის არმიის ნაწილებმა დაიკავეს საქართველო-ოსმალეთის გამყოფი ზოლი. მიუხედავად მარცხისა, საქართველოს მთავრობა არ წყვეტდა ბრძოლას. აღსანიშნავია ისიც, რომ 4 ივნისის ხელშეკრულება საქართველოს მხარეს არ დაუმტკიცებია. პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და მის მოკავშირეთა მარცხმა აიძულა ოსმალეთი ანტანტასთან დაედო მუდროსის დროებითი საზავო ხელშეკრულება 1918 წ. 30 ოქტომბერს, ამასთან 1918 წლის 13 ნოემბერს საბჭოთა რუსეთმაც გააუქმა ბრესტ-ლიტოვსკის ზავი. ოსმალეთი იძულებული გახდა დაეთმო თავისი პოზიციები ამიერკავკასიაში. იგი შეუთანხმდა საქართველოს მთავრობას, რომ 1918 წლის 4 დეკემბრიდან საქართველოს უნდა გადასცემოდა ახალციხის და ახალქალაქის მაზრები, რომლის გენერალ-გუბერნატორად ინიშნებოდა გენერალი მაყაშვილი. მაგრამ ოსმალებისგან განთავისუფლებულ ახალქალაქში შეიქმნა კომისარიატი, ხოლო ქალაქ ყარსში „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის" მთავრობა გამოცხადდა, რომელსაც სათავეში სამცხე-საათაბაგოს უკანასკნელი მთამომავალი სერვერ-ბეგ ათაბაგი ედგა. მან კატეგორიულად უარყო მესხეთში საქართველოს ხელისუფლების აღდგენა. თავის მხრივ, გენერალმა მაყაშვილმა კატეგორიულად უარყო სერვერ-ბეგ ათაბაგის პრეტენზიები და დოკუმენტურად დაუმტკიცა, რომ საქართველოსა და ოსმალეთის მთავრობების შეთანხმებით, სამცხე-ჯავახეთში საქართველოს ხელისუფლება უნდა აღმდგარიყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1919 წლის 18 იანვრიდან ბათუმის ოლქი ოკუპირებული იყო ინგლისის სამხედრო მისიის მიერ, რომელსაც მეთაურობდა გენერალი უოკერი.

სერვერ-ბეგ ათაბაგი ტერორისტულ მოძრაობას ხელმძღვანელობდა სამცხე-ჯავახეთში, ხოლო ინგლისელები ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ საქართველოს მთავრობას არტაანის, ართვინის და ოლთისის ოლქების გათავისუფლებაში. 1918 წლის 4 დეკემბრიდან 1919 წლის 11 თებერვლამდე საქართველოს მთავრობა ფლობდა სამცხე-ჯავახეთს, მაგრამ იგი იძულებული იქნა იქიდან დროებით გამოეყვანა თავისი სამხედრო ძალები. 1919 წლის 11 თებერვლიდან 1919 წლის 7 მარტამდე სამცხე-ჯავახეთი გადაიქცა სერვერ-ბეგ ათაბაგის ბანდებისა და სხვა პროოსმალური დაჯგუფების სათარეშო არედ.

განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ გადაგვარებული ქართველები (დღეს ე. წ. „თურქი-მესხები"), რომელთაც ადგილობრივი მკვიდრი ქართველობა „ხუჯანებს" უწოდებდა. 1919 წლის მარტში გენერალ კვინიტაძის მეთაურობით საქართველოს სამხედრო ძალებმა



დაიწყეს შეტევა. 7 მარტს განთავისუფლებულ იქნა ქალაქი ახალციხე, შემდგომ ახალქალაქი, ხოლო 20 აპრილს განთავისუფლებულ იქნა არტაანიც. ინგლისის სამხედრო მისიის ხელმძღვანელმა, გენერალმა უოკერმა, 31 მაისს საქართველოს მთავრობას მოსთხოვა შეტევის შეჩერება. სერვერ-ბეგ ათაბაგმა დაკარგა რა ტერიტორიები, იძულებული გახდა ინგლისის სამხედრო მისიისათვის შეეფარებინა თავი ბათუმში, რათა საქართველოს მთავრობას არ მიეცა იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ჩადენილი დანაშაულებებისათვის. ბათუმში სერვერ-ბეგ ათაბაგმა სპეციალური განცხადებით მიმართა ინგლისის სამხედრო მისიას, რათა სამცხე-ჯავახეთში არ აღმდგარიყო საქართველოს ხელისუფლება. სერვერ-ბეგ ათაბაგი სარგებლობდა რა დაუსჯელობით, კვლავ ებრძოდა საქართველოს, თუმც წარუმატებლად. საქართველოს მთავრობის სამხედრო და დიპლომატიური მოქმედების შედეგად, 1920 წლის ნოემბერში არტაანის ოლქის მთელი ტერიტორია დაუბრუნდა საქართველოს. მიუხედავად საქართველოს მთავრობის წარმატებებისა, მესხეთის ტერიტორიაზე კვლავ არსებობდნენ ე. წ. „მუსულმანური კომიტეტები", რომელნიც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში და დასავლეთის ქვეყნებში აგზავნიდნენ საჩივრებს საქართველოს მთავრობაზე. აცხადებდნენ, რომ საქართველოში ირღვევა მუსულმანთა უფლებები. რასიმ-ბეიმ — არტაანის ე. წ. „მუსულმანური კომიტეტის თავმჯდომარემ", მურთაზა-ბეიმ — ახალციხე-ახალქალაქის ე. წ. „მუსულმანური კომიტეტის თავმჯდომარემ" ესსადიმ — ე. წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მუსულმანთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ" გააფთრებული ანტიქართული კამპანია გააჩაღეს დასავლეთის პრესაში, სადაც აწვდიდნენ ყოვლად წარმოუდგენელ დეზინფორმაციას და პირდაპირ მოუწოდებდნენ საქართველოს ეკონომიკური და დიპლომატიური ბლოკადისაკენ. ბათუმში ინგლისის სამხედრო მისიის კალთას თავშეფარებულმა სერვერ-ბეგ ათაბაგმა 1919 წლის 19 ოქტომბერს გამოაქვეყნა პარიზის საზავო კონფერენციისადმი მიმართული მთელი მემორანდუმიც კი, სადაც იგი საქართველოს ძირძველ მხარეში, მესხეთში მოითხოვდა ე. წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ხალხის" ეროვნულ თვითგამორკვევას და მათ სახელმწიფოს შექმნას. საქართველოს მთავრობამ ამ ავანტურისტულ მოძრაობას დაუპირისპირა როგორც სამხედრო ძალა, ასევე მოქნილი პოლიტიკა. ასე: 1919 წლის 25 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მესხეთის ტერიტორიაზე სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია გამოაცხადა. ამ პოლიტიკურმა და სახელმწიფო აქტმა ქრისტიან და მუსულმან ქართველებში სრული კონსოლიდაცია მოახდინა. ამასთან, საერთაშორისო ასპარეზზე 1920 წლის 7 მაისს საქართველოსთვის მოხდა მნიშვნელოვანი ფაქტი, მისი დამოუკიდებლობა სცნო საბჭოთა რუსეთმა. ინგლისმა დაჰკარგა რა გავლენა ბაქოზე, აღარ მიიჩნია ბათუმის ოლქი მისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე ტერიტორიად. საქართველოს 1920 წლის 4 ივლისს შემოუერთდა ბათუმის ოლქიც. ძირძველი ქართული მხარე მესხეთი დაუბრუნდა სრულიად საქართველოს და დადგა ერთიანი ეროვნული დროშის ქვეშ. ეს იყო დიდი ისტორიული სამართლიანობა, რომელსაც ასე ელოდა ქართველი ერი.

მესხეთის შემდგომი ბედი მჭიდროდ არის დაკავშირებული სრულიად საქართველოს ბედთან. როგორც ცნობილია, საბჭოთა რუსეთი მიუხედავად მის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ ატარებდა უაღრესად აგრესიულ პოლიტიკას. ასეთივე აგრესიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება დაიწყო 1920 წლის გაზაფხულიდან ყოფილი ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე. მისი დამაარსებელი გახდა ე. წ. „ახალგაზრდა თურქების" მოძრაობის ლიდერი გენერალი ქემალ-ფაშა, შემდგომში ათათურქად (თურქების მამა) წოდებული. მან 1920 წლის 23 აპრილს მოიწვია ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობა, რომელიც გახდა საფუძველი სულთნის ოსმალეთის დასამარებისა. 30 აპრილს ანკარაში გამოცხადდა ოსმალთა ახალი სახელმწიფო; 5 მაისს შეიქმნა მთავრობა ქემალ-ფაშას თავმჯდომარეობით. ამ პერიოდში მიმდინარეობდა ომი საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის, სადაც ოსმალეთმა მარცხი განიცადა. სულთნის მთავრობამ 1920 წლის 10 აგვისტოს ხელი მოაწერა სევრის ხელშეკრულებას, რამაც საბოლოოდ დასცა სულთნის მთავრობა. საბჭოთა რუსეთმა 2 ივნისს აღიარა ქემალ-ფაშას მთავრობა, ხოლო 24 აგვისტოს დადო მასთან მეგობრობის და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება. ამით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას დიდი საფრთხე დაემუქრა ამ ორი უაღრესად აგრესიულად განწყობილი ახალგაზრდა სახელმწიფოების მხრივ, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც 1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანი დაიკავა საბჭოთა რუსეთმა. ბოლშევიკი დიპლომატი მ. პავლოვიჩი 1920 წლის ზაფხულში პირდაპირ აცხადებდა: „საქართველო და სომხეთი არის მთავარი ბარიერი საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის". 1920 წლის 2 დეკემბერს საბჭოთა რუსეთმა დაიკავა სომხეთიც და ამით საქართველო აღმოჩნდა პრაქტიკულად ბლოკადაში.

საბჭოთა რუსეთი და ქემალისტური ოსმალეთი ერთობლივად ამზადებდნენ თავდასხმას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. ამის საუკეთესო დასტურია 1921 წლის თებერვლის დამდეგს მოსკოვში დაწყებული მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ ოსმალეთს შორის „მეგობრული ნეიტრალიტეტის" მისაღწევად. საქართველოს მთავრობის თხოვნა მასში მონაწილეობის მიღებაზე, საერთოდ არ იქნა პასუხგაცემული. 1921 წლის 31 იანვარს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სვიმონ მდივანი ჩავიდა ოსმალეთში და 8 თებერვალს ანკარაში თავის რწმუნების სიგელი გადასცა ქემალ-ფაშას მთავრობას. სამი დღის შემდეგ, 11 თებერვალს, საბჭოთა რუსეთის ჯარები ომის გამოუცხადებლად თავს დაესხნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. 17 თებერვალს ოსმალეთის მთავრობამ საქართველოს [illegible] მდივანს განუცხადა, რომ მისი ჯარები 18 თებერვალს უნდა შევიდნენ არტაანის და ართვინის ოლქებში. სვიმონ მდივანის სასტიკმა პროტესტმა რამდენიმე დღით შეაჩერა ოსმალეთის მოქმედება. მაგრამ 21 თებერვალს მათ კვლავ გაიმეორეს ულტიმატუმი, რაც კვლავ უარყოფილ იქნა. 22 თებერვალს ოსმალეთის მთავრობამ მესამედ მიმართა ულტიმატუმით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩს, რომელიც 23 თებერვალს კვლავ იქნა გაპროტესტებული. სვიმონ მდივანმა ოსმალეთის მთავრობას პირდაპირ განუცხადა: „თქვენს მიერ განზრახული მოქმედება არტაანის და ართვინის ოლქებში შესვლის, ჩვენთან შეუთანხმებლად, არის განმეორება იმ დიდი ისტორიული შეცდომისა, რომლითაც ძველმა ოსმალეთმა განუწყვეტელი თავდასხმებით აიძულა ძველი საქართველო მოეყვანა ოსმალეთის კარზე მისი დაუძინებელი და უსასტიკესი მტერი — რუსეთი". ამის პასუხად, 23 თებერვალს ოსმალეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავისი პრეტენზიების დასასაბუთებლად ბრესტ-ლიტოვსკის გაბათილებული ხელშეკრულება და ინგლისელების მიერ აღნიშნული ტერიტორიის გათავისუფლება მოიხმო, თუმც ინგლისელებს არავითარი განცხადება არ გაუკეთებიათ ამ რეგიონის ოსმალეთისთვის გადაცემაზე. საქართველოს მთავრობა, შევიწროებული ყოველმხრივ, იძულებული გახდა გამოეყვანა არტაანიდან და ართვინიდან საკუთარი სამხედრო ძალები, რათა იგი მიემართა საბჭოთა რუსეთის აგრესიის მოსაგერიებლად. ამასთან, საქართველოს მთავრობამ გააკეთა ოფიციალური განცხადება ოსმალეთის მთავრობის მოქმედებაზე, სადაც დაგმო მისი ჯარების მიერ არტაან-ართვინის დაკავება. ამ ფაქტს არავითარ შემთხვევაში ეს საკითხი მოგვარებულად არ ჩაითვლება, ასეთი იყო საქართველოს მთავრობის პოზიცია. მარტის შუა რიცხვებში ოსმალეთი შეეცადა დაეკავებინა ქალაქი ბათუმი. 17 და 18 მარტს ბათუმში გაჩაღდა გააფთრებული შეტაკება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ძალებსა და ოსმალეთის ჯარებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის ბედი გადაწყვეტილი იყო, მან არ დაანება ოსმალეთს აჭარა და ქალაქი ბათუმი. იმ დღეებში, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი მთავრობა იმყოფებოდა საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე, მოსკოვში 1921 წლის 16 მარტს დაიდო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ ოსმალეთს შორის, რომლის მიხედვით ოსმალეთს გადაეცა ართვინის, არტაანის, ოლთისის ოლქები და ფოცხოვის უბანი, საერთო ტერიტორიით 14 ათასი კვადრატული კილომეტრი. უნდა ითქვას, რომ ოსმალეთის სურვილი იყო უფრო მეტი ტერიტორიის მითვისება, მაგრამ საბჭოთა რუსეთმა მას მეტის უფლება არ მისცა, რადგან თვითონაც იყო დაინტერესებული, ჰქონდა ფართო გავლენა ამიერკავკასიაში და საერთოდ ახლო აღმოსავლეთში. 16 მარტსვე გადაწყდა, რომ ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია უნდა მომხდარიყო ყარსში, რაც შესრულდა კიდეც 1921 წლის 13 ოქტომბერს, როდესაც ხელმოწერილ იქნა ყარსის ხელშეკრულება რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს წარმომადგენლების მიერ ერთი მხრივ და ოსმალეთის წარმომადგენლების მიერ — მეორე მხრივ. ასე „დააკანონეს" საბჭოთა რუსეთმა და ქემალისტურმა ოსმალეთმა საკუთარი გავლენის სფეროები ამიერკავკასიაში.

არაბთა ურდოების მიერ გათელილი საქართველო, დაშლილი ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, გათითოკაცებული მიმოიწევდა ვითარცა ლერწამი ქარიშხალში. საჭირო იყო ქართული სულის და გენის მძლავრი კერის შექმნა. ერში არსებული ძალა, მისი რწმენა მომავლისადმი, ჭეშმარიტად იობის დარი მოთმინება, გახდა საფუძველი ამ კერის დაარსებისა.

თუ კი წარსულში ქართველი ერისთვის უმძიმეს ხანებში, როცა საერთოდ კითხვის ქვეშ იდგა მისი ფიზიკური არსებობის საკითხიც კი, მესხეთში ხდებოდა ჩვენი ერის ენერგიის ერთ მუშტად შეკვრა, გამთლიანება, არც დღეს, ჩვენს ძალზე რთულსა და, ამავე დროს, უაღრესად საპასუხისმგებლო ეპოქაში არ უნდა იქნეს დავიწყებული ისტორიის ეს გაკვეთილები.

**დავით არაბიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ჩინური ფენომენის“ მოძალება

**ჭადრაკის** დედოფლის ტახტზე ფერისცვალებამ ახალი ელფერი მისცა მსოფლიო პირველობის ამასწინანდელ საზონათშორისო ტურნირს (8-23 ნოემბერი, ქ. სუბოტიცა, იუგოსლავია). მას უნდა დაესახელებინა პრეტენდენტთა მომავალი ტურნირის 6 მონაწილე. ბრძოლაში მრავალი ქვეყნის 35 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა, მათ შორის ოთხი ქართველი და სამი ჩინელი მოჭადრაკე. ეს შეჯიბრება პირველად მოეწყო შვეიცარიული სისტემით (13 ტურად), რამაც პაექრობას სიმძაფრე შემატა.

თავიდანვე ლიდერობისთვის ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირის-



პირდნენ ქართველი და ჩინელი მოჭადრაკეები. მიუხედავად იმისა, რომ ჩინელი ოსტატები ძალიან ახალგაზრდები არიან, ტოლი არ დაუდეს გამოცდილ მეტოქეებს. საბოლოოდ, I-II ადგილები გაიყვეს ნონა გაფრინდაშვილმა და 20 წლის ზაოგინ პენგმა — 9 ქულა თითოეულს, III-IV ადგილები — ნანა იოსელიანმა და ირინა ლევიტინამ (აშშ) — 8,5, V-VII ადგილები 17 წლის ვანგ პინმა, 16 წლის კანუინ ცინმა და ქეთევან არახამიამ — 8. კოეფიციენტთა ცხრილით არახამია ვერ მოხვდა სანუკვარ ექვსეულში. მის მიღმა დარჩა ქეთევან კახიანიც, რომელმაც 7,5 ქულით XI ადგილი დაიკავა.

პრეტენდენტთა ტურნირში, რომელიც გაისად გაიმართება, პერსონალურად მიწვეული არიან მსოფლიოს ექსჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე და პრეტენდენტთა 1990 წლის ტურნირის მეორე პრიზიორი იუგოსლაველი 21 წლის ალისა მარიჩი.

როგორც ხედავთ, მსოფლიო ჩემპიონ სე ცზიუნთან მატჩის თამაშის უფლების მაძიებელნია სამი ქართველი, ამდენივე ჩინელი და თითო ამერიკელი და იუგოსლაველი მოჭადრაკე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სწორუპოვარი ნონა გაფრინდაშვილის წარმატებითი თამაში. მხოლოდ მან შეძლო ჩინელებთან შეხვედრებში 2,5 ქულის აღება. „მე ჯერ კიდევ არ დამიკარგავს ჩემი საუკეთესო თვისებები. ახლა საჭიროა კარგი ყოველმხრივი მომზადება“ ამბობს ნონა. მივულოცოთ ნონასა და მუდამ შემართულ მებრძოლ ნანა იოსელიანს ახალი სასახელო გამარჯვება.

უდაოა ჩინელების მიღწევა. სამი პრეტენდენტი მათ არასოდეს ჰყოლიათ. პრეტენდენტთა ტურნირში ისინი 1983 წლიდან მონაწილეობენ. ამ წელს თამაშობდა ლიუ შილანი (მას ნანა იოსელიანმა მოუგო), 1986 წელს — უ მინცინი (მან ბოლო ადგილი დაიკავა მალმიოში) და 1990 წელს სე ცზიუნი (მან მოიგო ბორჯომის ტურნირი). რა თქმა უნდა, ბევრისმეტყველია ჩინელი გოგონების პენგის, პინისა და ცინის წარმატება სუბოტიცაში. სხვათა შორის, ტურნირის დამთავრებისთანავე სამივეს საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა.

ჩინელი მოჭადრაკე ქალები დიდ სარბიელზე მხოლოდ 70-იან წლებში გამოჩნდნენ. თავდადებული მუყაითი მეცადინეობით მათ თანდათან აიმაღლეს თამაშის კლასი და ჭადრაკის მწვერვალებსაც შეუტიეს. 1990 წელს ჩინეთის გუნდმა საჭადრაკო ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლები მოიპოვა, ხოლო რამდენიმე კვირის წინ სე ცზიუნმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. მათი ახალი წარმატება „ჩინური ფენომენის“ მომძლავრებაზე მეტყველებს.

ჩინელების მიღწევებმა გამოაცოცხლეს საჭადრაკო ცხოვრება. ზოგი მიმომხილველი ჩქარობს, როცა ამბობს, რომ დასრულდა ქართველთა ჰეგემონია ქალთა ჭადრაკში. ეს ასე როდია. რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართველებმა „ათხოვეს“ ჩინელებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. მთავარი ბრძოლა წინაა. ამაზე საზონათშორისო ტურნირის შედეგებიც მიუთითებს.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩინეთში ჩინებულად აუწყვიათ ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭადრაკეების გამოვლენისა და აღზრდის საქმე. იქ რომ სისტემატური, სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს მაღალი კლასის მოჭადრაკეთა მომზადებაში, თვალნათლივ გამოჩნდა მსოფლიო პირველობის მატჩში. სე ცზიუნს შემთხვევით არ გაუმარჯვია, როგორც ეს ზოგს ჰგონია. მართალია, მაია ჩიბურდანიძეს უცხო ჰავამ, უჩვეულო პირობებმა ხელი შეუშალეს სრულად გამოევლინა თავისი დიდი ძალა და ერუდიცია, მაგრამ სე ცზიუნმა ბოლომდე რაინდულად იბრძოლა და გაიმარჯვა (8,5:6,5).

ჩინელებმა არ დამალეს როგორ ამზადებდნენ სე ცზიუნს ძნელი ორთაბრძოლისთვის. გამხელილი დამაჯერებლობას ჰმატებს ახალი ჩემპიონის წარმატებას. აი რას გვაუწყებს ჟურნალი „ეხო პლანეტი“ (№ 47):

სე ცზიუნი საგულდაგულოდ მოამზადეს მაიასთან შეხვედრისთვის. რამდენიმე ათეულმა ოსტატმა სე ცზიუნის მწვრთნელის ხელმძღვანელობით გაანალიზა მაიას მიერ ბოლო 8 წლის მანძილზე გათამაშებული 219 პარტია, დაადგინა მაიას თამაშის ძლიერი და სუსტი მხარეები. მერე ამ ანალიზის მიხედვით ოთხმა ოსტატმა ვაჟმა შექმნა 16 „სინთეზირებული პარტია“ (რამდენიც მატჩში უნდა გათამაშებულიყო) და დაფასთან გააცნო ისინი სე ცზიუნს. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ მაიამ ვერაფრით გააკვირვა მეტოქე, რომელსაც სადებიუტო რეპერტუარიც სანიმუშოდ ჰქონდა დამუშავებული.

სე ცზიუნი ფიზიკურად და ფსი-



ქოლოგიურადაც ჩინებულად მოემზადა. ეს საქმე იტვირთა ცნობილმა ჩინელმა ფსიქოთერაპევტმა პროფესორმა-მედიკოსმა 55 წლის ჟენ იუიხენმა, რომელიც თავის დროზე ფრენბურთში მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონ ჩინელ ქალებს ამეცადინებდა. მოჭადრაკე ქალი თითქმის ნახევარი წელი სისტემატურად ვარჯიშობდა სრული დატვირთვით. თურმე ისე იღლებოდა, რომ ძილის წინ პირის დაბანის თავი არ ჰქონდა. ჟენ იუიხენი მანილაშიც ახლდა თავის შეგირდს. იგი ურჩევდა საჭმელს, ჩასაცმელს, ოთახის ტემპერატურას და სეირნობის მარშრუტს. განსაკუთრებით დაეხმარა მატჩის კრიტიკულ მომენტში, როცა მაია დაწინაურდა. მან „ტაიმ-აუტი“ აიღებინა სე ცზიუნს და ისე მოამზადა ფსიქოლოგიურად, რომ ორთაბრძოლის მეორე ნახევარში მან ენერგიული თამაშით სამი პარტია მოიგო.

ცხადია, მაიამ არ იცოდა სე ცზიუნის ასეთი მომზადების ამბავი. ამიტომაც უკვირდა ჩინელი დიდოსტატის ზედმეტად დაჯერებული თამაში თითქოსდა მისთვის უცნობ პოზიციებში. რა თქმა უნდა, ამ გარემოებამაც გაბზარა ისედაც ცუდ სპორტულ ფორმაში მყოფი მაია.

ეს ყველაფერი იმიტომ გიამბეთ, რომ საჭიროა აქედანვე სერიოზულად მოვეკიდოთ ჩვენი დიდოსტატების მზადებას პრეტენდენტთა ტურნირისთვის. ნონა გაფრინდაშვილი ამბობს, რომ დიდია ჩინელების პოტენციალი. მათთან ბრძოლა დიდ ძალისხმევას და შრომა-გარჯას მოითხოვს. ახლა სასწორზეა ქართული ჭადრაკის პრესტიჟი. მჯერა, რომ ჩვენი დიდოსტატები და ქართული ჭადრაკის მესვეურები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდებიან!

**თენგიზ გიორგაძე**

# მაყურებელი კვლავაც რომ გვყავდეს

**ამ დღეებში თბილისში, რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში მიმდინარეობს რესპუბლიკის სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, მათ შორის კალათბურთში. მისი დამთავრების შემდეგ ნავარაუდევია დაიწყოს რესპუბლიკის პირველი ეროვნული ჩემპიონატი ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის. ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ბატონი როლანდ ხომერიკი.**

● **კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაცია დიდი ხანი არ არის რაც შეიქმნა. გთხოვთ გვიამბოთ მის მუშაობაზე.**

— ისევე, როგორც სპორტის სხვა სახეობებისათვის, კალათბურთისთვისაც ეროვნულმა ფედერაციამ ბევრი რამ უნდა გააკეთოს, სხვების მსგავსად, ჩვენც უნდა მოვწყდეთ სახელმწიფოებრივ სტრუქტურას და გადავიდეთ ნახევრადმოყვარულ, ნახევრადპროფესიულ სისტემაზე. ამისათვის თბილისში და სხვა ქალაქებში, რაიონებში შექმნილია კალათბურთის კლუბები, რომლებსაც თავიდანვე სპონსორები აფინანსებენ. რესპუბლიკაში კალათბურთის შემდგომი აღმავლობის ერთ-ერთ მთავარ პირობად მიმაჩნია კლუბებში კონტრაქტული სისტემის შემოღება, ზრუნვა როგორც მოთამაშეებზე, ასევე მწვრთნელებზე, როგორც საზღვარგარეთ ხდება ხოლმე. უცხოეთის მსგავსად ჩვენც უნდა წავახალისოთ სპორტსმენები და მწვრთნელები, მივცეთ სტაბილური ხელფასი, აგრეთვე გადავუხადოთ გარკვეული გასამრჯელო ცალკეულ მოგებებზე. ვფიქრობ, წახალისების ამგვარი სისტემა სათანადო შედეგს გამოიღებს.

კალათბურთის რესპუბლიკურ ფედერაციასთან შევქმენით პრეზიდიუმი 23 კაცის შემადგენლობით. მასში გაერთიანებული არიან ისეთი სპორტსმენები, როგორებიც არიან: ოთარ კორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ზურაბ საკანდელიძე, ლია ქველიძე, ლევან მოსეშვილი და სხვები. წამყვანი ვეტერანი კალათბურთელები მუდმივ კურატორებად მიმაგრებული არიან რაიონებსა და ქალაქებს.

ცოტა ხნის წინ პრეზიდიუმის შესახებ მოგახსენეთ. ახლა მინდა დაგიკონკრეტოთ რა და რა სექციებია ამ პრეზიდიუმში: მსაჯთა კოლეგია, სპორტულ-ტექნიკური, რეზერვების მომზადების, საერთაშორისო ურთიერთობათა და პროპაგანდის, ვეტერანთა, ფინანსებისა და ეკონომიკის, მწვრთნელთა საბჭო. თითოეულ სექციას თავისი გეგმები და ამოცანები აქვს დასახული, ყველა მათგანზე ახლა დაწვრილებით არ ვისაუბრებთ. თუ რას შეძლებენ ისინი, ამას მომავალი გვიჩვენებს.

● **რომელიმე ჩვენს კალათბურთელს ხომ არ ვიხილავთ მოკლე დროში საზღვარგარეთის გუნდში?**

— ახალგაზრდა იგორ მურაიტოვს. იგი სამი წლით მიიწვია ისეთმა სახელმოხვეჭილმა გუნდმა, როგორიცაა „არისი“, სადაც გამოდიოდა ცნობილი ბერძენი კალათბურთელი გალისი. მურაიტოვისთვის გადაიხდიან გარკვეულ თანხას, რომელსაც მიზნობრივად გამოიყენებს სპორტკლუბი „მართვე“ (სადაც იგი გაიზარდა), კალათბურთის ფედერაცია, სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო.

● **ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ რესპუბლიკურ ჩემპიონატებზე მსაჯებისათვის ანაზღაურება ძალიან დაბალი იყო. ხომ არაა ნავარაუდევი მისი გაზრდა მომავლისათვის?**

— თქვენ სავსებით მართალი ბრძანდებით, მსაჯი მართლაც ძალზე უმნიშვნელო თანხას იღებდა (ათი მანეთი), როცა რესპუბლიკური პირველობის მატჩებს სჯიდა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ისმენდა სიტყვიერ შეურაცხყოფას მწვრთნელებისა და მოთამაშეებისაგან. და ამიტომაც გული აღარ მიუწევდა მსაჯობისაკენ. ჩვენ გადავხედეთ მსაჯების მატერიალური ანაზღაურების საკითხს. კერძოდ, ასე გვაქვს წარმოდგენილი: რესპუბლიკური პირველობის მატჩებს თუ იმსაჯებენ საერთაშორისო და საკავშირო კატეგორიის მსაჯები, მიიღებენ თითოეულ მატჩზე 50 მანეთს, რესპუბლიკური 40-ს, დანარჩენები 30 მანეთს. როცა მოზარდების პირველობაა, ეს თანხა შესაბამისად ასე განაწილდება: 30-25-20. ვფიქრობთ, ეს ერთგვარ წახალისებას გამოიწვევს მსაჯებში. ისინი შეეცდებიან მაქსიმალურად, ობიექტურად იმსაჯონ, თუმცა, შეცდომებისაგან არავინაა დაზღვეული. მწვრთნელებმა და მოთამაშეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მსაჯიც ადამიანია.

● **როგორ ჩატარდება რესპუბლიკური ჩემპიონატი?**

— წელს ტურებად ჩატარდება, გაისად ორ წრედ, გაზაფხულიშემოდგომის სისტემით. ჩემპიონატის გარდა განზრახული გვაქვს მოვაწყოთ საერთაშორისო მატჩები სხვადასხვა ქვეყნების წამყვან გუნდებთან, ისე, რომ არ დაეცეს ქართული კალათბურთის თამაშის დონე, ხარისხი, ოსტატობა. ერთი სიტყვით, ყველაფერი გვინდა გავაკეთოთ კალათბურთისათვის, რომ მაყურებელი კვლავაც ბევრი გვყავდეს.

**საუბარი ჩაიწერა**
**თეიმურაზ მორგოშიამ**

# პრობლემები უამრავია

**60-იან** წლებში ქართულ ფარიკაობაში აღმავლობის ხანა იყო — გურამ კოსტავას, ნუგზარ ასათიანს, იური ოსიპოვს და სხვებს არაერთხელ გამოუჩენიათ თავი მაღალი რანგის შეჯიბრებებზე. შემდეგ კი თითქმის 20-წლიანი ვაკუუმი შეიქმნა, სანამ არ გამოჩნდა ვლადიმერ აფციაური. დიახ, 80-იანი წლების ქართველმოფარიკავეების აღიარებული ლიდერი გახლდათ რაპირისტი ვლადიმერ აფციაური — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ვლადიმერ აფციაურმა სპორტული კარიერა მიატოვა. ალბათ, უახლოეს მომავალში იგი მწვრთნელად დაუბრუნდება ქართველ მოფარიკავეთა ნაკრებს. მისი წასვლის შემდეგ კი კვლავ შეიქმნა სიცარიელე, რაც გამოიხატა იმაშიც, რომ ყურადღება აღარ ექცეოდა ახალგაზრდა კადრებს, თანდათანობით შენელდა ინტერესი ფარიკაობისადმი. დღეს ერთი-ორად საჭიროა, რომ ყურდღება გამახვილდეს ახალგაზრდულ ტურნირებზე, ვინ იცის, იქნებ, არაერთი ნიჭიერი მოფარიკავეც „ამოტივტივდეს“...

ამ რამდენიმე ხნის წინათ ვაკის სპორტულ კომპლექსში ჩატარდა საქართველოს პირველობა 1976-77 წლებში დაბადებულ მოფარიკავეთა შორის. ამ ტურნირში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და რუსთავის წარმომადგენლებმა. გაურკვეველი მიზეზების გამო, სოხუმელი სპორტსმენები შეჯიბრებაზე არ ჩამოვიდნენ. აღსანიშნავია დაშნით მოფარიკავეთა შედეგი. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ თბილისელები გიორგი რუაძე, გიორგი ბაბუცაძე და ავთო ბასილაია. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სამივე სპორტსმენი ახალგაზრდა მწვრთნელის, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის ჯემალ გომიაშვილის აღზრდილია. დაშნით მოფარიკავე გოგონებში საუკეთესო შედეგი აჩვენა ქუთაისელმა ნათია გოდერიძემ. რაპირისტებში გაიმარჯვეს თბილისელებმა მეგი გრძელიძემ და კონსტანტინე კკალიშვილმა, ხოლო ხმალში პირველი ადგილი წილად ერგო ქუთაისელ გიორგი ჭოლაძეს.

— ასპარეზობის საერთო დონე დამაკმაყოფილებელი იყო, — გვითხრა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სვეტა სვანიძემ. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ორი მოფარიკავე: თბილისელი რაპირისტი მეგი გრძელიძე და ქუთაისელი მოხმალავე გიორგი ჭოლაძე. დღეს ეს ორი მოფარიკავე ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდა სპორტსმენებად შეიძლება ჩაითვალოს. საერთოდ, ამ ტურნირის შედეგები დაგვეხმარება საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების დასაკომპლექტებლად, რომელიც ზაფხულში გაემგზავრება ქალაქ რიგაში, სუვერენული რესპუბლიკების სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის.

ტურნირის დამთავრების შემდეგ ჩვენ ასევე შევხვდით საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, წარსულში სახელოვან მოფარიკავეს ბატონ მორის სახვაძეს. მან აღნიშნა, რომ რაც საქართველოს ნაკრები მონაწილეობას აღარ ღებულობს საკავშირო ტურნირებში, თავისთავად იგრძნობა ცოტა შეფერხება, მაგრამ იმედისმომცემია, რომ იზრდება მოფარიკავეთა საკმაოდ პერსპექტიული თაობა, თუმცა ახალგაზრდა სპორტსმენებს არა აქვთ ნორმალური სავარჯიშო პირობები, არ არის საკმარისი რაოდენობით ინვენტარი, ვარჯიშების ჩატარება მიმდინარეობს აუტანელ პირობებში — 10 წელიწადია არ გვაქვს ცხელი წყალი, გათბობა, რის გამოც განსაკუთრებით გვიჭირს ზამთარში. მაგალითად, სწორედ ამ მიზეზით, შარშან მთელი ზამთრის განმავლობაში ვარჯიშები თითქმის არ ჩატარებულა. არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, კიდევ ერთხელ მივმართავთ სათანადო ორგანოებს, იქნებ, ამჯერად მაინც მოგვაქციონ ყურადღება.

დასასრულ, ყოველივე ზემოთქმულიდან ძნელი მისახვედრი არაა, რომ ამ ასპარეზობას მაყურებელი საერთოდ არ ჰყოლია და მთლიანობაში საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია მრავალი გადაუჭრელი პრობლემის წინაშე დგას...

**ნინო დაფქვიაშვილი,**
**თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.**

# ალორძინება არგო

გაზეთის ხარჯები ... ხელმძღვანელი ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.



ეროვნული ბიბლიოთეკა





## ფირმა „არგო“



# ყურადღება! სამი დღესასწაული გემზე

ჩვენო ძვირფასო და მუდმივო კლიენტებო!

ფირმა „ტს“ და ფირმა „არგო“ გთავაზობთ მოგზაურობას 24 დეკემბრიდან 4 იანვრამდე მარშრუტით:

**ოდესა-პირეოსი (საბერძნეთი)-პორტსაიდი (ეგვიპტე)-ხაიფა (იზრაელი)-სტამბული (თურქეთი)-ოდესა.**

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქრისტეს შობას, ახალ წელს და ბედობა დღეს შეხვდებით საუცხოო, ჯადოსნურ ატმოსფეროში ჩვენს მიერ შემოთავაზებული ფასი სრულიად არ მოგეჩვენებათ ძვირად.

იჩქარეთ, შეიძლება ერთი წუთის დაფიქრებამაც კი საგზურის გარეშე დაგტოვოთ.

გელოდებით დღეიდანვე 11სთ-დან მისამართზე:

ბუდაპეშტის 1. ტელეფონი: 37-58-25

ფირმა „ტს“ | ფირმა „არგო“

ფ ი რ მ ა „ტ ს“

ფ ი რ მ ა „ტ ს“

სარეკლამო-სააგენტო „არგო-ბლიკი“



გსურთ თუ არა, რომ მომავალ წელს წარმატება და სიხარული დაგებედოთ?

გინდათ, მეგობრებთან და სტუმრებთან ერთად ხალისიანად გარემოში გაატაროთ სადღესასწაულო საღამო?

რამდენი ხანია მეუღლე არსად დაგიპატიჟნიათ?

— მოკლედ, 2 იანვარს, ბედობა დღეს, გეპატიჟებით საახალწლო ბიზნეს შოუ-ბანკეტზე, რომელიც გაიმართება სასტუმრო „მეტეხი-ს“ საბანკეტო დარბაზში და საღამოს 8 საათიდან ღამის 3 საათამდე გასტანს.

რა გელოდებათ? — ყველაფერი, რასაც ისურვებთ: სუფრა — თავისი ჩიტის რძით, სასმელი — რამდენსაც მოერევით და უამრავი სიურპრიზები.

სავარაუდოა უცხოური და საბჭოთა კომერციული ფირმების წარმომადგენლების სტუმრობა.

გექნებათ შესაძლებლობა, საქმიანი კონტაქტების დამყარებისა.

შეგიძლიათ შეგვიკვეთოთ, თქვენი ფირმის სარეკლამო ფირნიში და სატელევიზიო სარეკლამო, საეთერო დრო.

ხელმძღვანელები, რომლებიც დაინტერესებული არიან საკუთარი ფირმის კეთილდღეობით, დარწმუნებული ვართ, არ დაიშურებენ მაკულატურადქცეულ საბჭოთა მანეთებს.

მგონი დაგაინტერესეთ?!

— ამიტომ, თუ არ გინდათ, რომ კიდევ ერთი საახალწლო საღამო გაატაროთ რესტორნიდან— რესტორანში, ერთი მჟღერი მაგიდის და ახალი წლიდან კიდევ უფრო გაძვირებული შამპანურის ძებნაში, დაგვირეკეთ ან მოგვაკითხეთ.

ბოლო ვადა 15 დეკემბრის 20 საათამდე.

ბუდაპეშტის ქ.№1. ფირმა „ტს“ – ფირმა „არგო“

ტელ.: 37-58-25

## ყურადღება, დანია!

3 იანვრიდან გეპატიჟებით ყველას საუცხოო მოგზაურობაში თბომავლით „სიმონოვი“ ხელმისაწვდომ ფასებში, მარშრუტით:

**თბილისი-სანკტ-პეტერბურგი-კოპენჰაგენი**

იჩქარეთ, შეიძლება ერთი წუთის დაფიქრებამაც კი საგზურის გარეშე დაგტოვოთ.

გელოდებით დღეიდანვე 11.00 სთ-დან.

მისამართზე: ბუდაპეშტის 1. ტელეფონი: 37-58-25

ფირმა „ტს“

სარეკლამო-სააგენტო „არგო-ბლიკი“.

## გიწვევთ გერმანიაში!

გეპატიჟებით მოგზაურობაში კომფორტაბელური თბომავლით „ანა კარენინა“, მარშრუტი

**თბილისი-სანკტ-პეტერბურგი-კილი.**

საშუალება გექნებათ შეიძინოთ და ჩამოიტანოთ უცხოური ავტომანქანები.

გემი სანკტ-პეტერბურგიდან გადის 20 დეკემბერს. ასე რომ, იჩქარეთ.

გელოდებით ყოველდღე 11.00სთ-დან.

მისამართზე: ბუდაპეშტის 1. ტელეფონი 37-58-25

ფირმა „ტს“

სარეკლამო-სააგენტო „არგო-ბლიკი“

მრავალდარგოვანი სამეცნიერო-საწარმოო კომერციული ფირმა „ვეძა“ გთავაზობთ:

1. კომპიუტერებს — IBM PC/AT 286, EGA მონიტორით, ფართო პრინტერით;
2. საბუღალტრო კალკულატორებს საბეჭდი მოწყობილობით — „CITIZEN-CX 123“, „CITIZEN-CX 56“;
3. პროგრამულ პაკეტებს;
4. მონაცემათა ბაზების შექმნას;
5. პროექტირებას და რეკლამას;
6. საბროკერო მომსახურებას ს-ს. „კავკასიის ბირჟაზე“ საბროკერო ფირმა „ვეძა“ 02831 მეშვეობით.

ჩვენი მისამართია: ქ.თბილისი ჯიქიას ქ.№12

ტ-31-36-24 დღის საათებში

ტ-35-39-40 საღამოს საათებში.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

## ვაქირავებ

ვაქირავებ 3 ოთახიან ბინას ვერაზე (I სართული, ტელეფონით), კომერციული და სხვა საქმიანობისათვის.

გთხოვთ დარეკოთ ტელეფონებზე: 31-00-38, 95-00-90

სარეკლამო-სააგენტო „არგო-ბლიკი“.



ახალგაზრდა ივერიელი

ტელეფონები: მისაღები — 93-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 93-81-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

ფასი 30 კაპ.

რედაქტორი ზაზა ხოზბერიძე

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 მ. კოსტავას ქ. № 14.